

# ქართული 11

## ენა და ლიტერატურა

## მასწავლებლის წიგნი

მაია მენაბდე
ნათია ფურცელაძე
ნინო ლომიძე
ნანა სახეჩიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს.

ქართული ენა და ლიტერატურა 11
მასწავლებლის წიგნი

ავტორები: **მაია მენაბდე, ნათია ფურცელაძე, ნინო ლომიძე, ნანა სახეჩიძე**

რედაქტორი **მარიამ გოჩიტაშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თორნიკე ლორთქიფანიძე**

პირველი გამოცემა, 2023
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა"
ალმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-439-2

Georgian 11
Teacher's Book

© Sulakauri Publishing, 2023
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი


მე-11 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია ............ 5

საშუალო საფეხურის სტანდარტი ............ 10

თემატური მატრიცები სახელმძღვანელოსთვის ............ 18

I თავი – ცხოვრების საზრისი – ძიება ............ 19

II თავი – მამულის თანამდევი, უკვდავი სული ............ 36

III თავი – დანაშაული, სასჯელი და პასუხისმგებლობა ............ 65

IV თავი – თავისუფალი ადამიანები ............ 81

კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ............ 98

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ............ 100

სოლოტაქსონომია ............ 103

როგორ შევქმნათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები? ............ 106

მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები ............ 111

დამხმარე მასალები ............ 115

პოემა ............ 115

ტროპის სახეები ............ 116

ბგერწერა და ლექსთწყობა ............ 117

დებატები ............ 118

პროექტი ............ 120

მეთოდური სტატიები ............ 128

როგორ დავწერო ანალიზი – გზამკვლევი, ნიმუშები ............ 128

მთავარი სათქმელი, მწერლის საზრისი და მკითხველის აღქმა ............ 131

დავალებების პასუხები ............ 134

მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები ............ 136

# მე-11 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია

## ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო

ჩვენი სახელმძღვანელოს ლიტერატურის ნაწილი აგებულია და ტექსტები გადანაწილებულია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით (როგორც სტანდარტშია მითითებული).

ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტები დავყავით თემატურ თავებადაც, რაც გაუადვილებს მოსწავლეებს ნაწარმოებში ასახულ უმთავრეს პრობლემაზე ყურადღების კონცენტრაციას. ასევე ზოგიერთ თავში შევიტანეთ თემის შესაბამისი ნაწარმოებები, ქართული ან მსოფლიო ლიტერატურიდან, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ორგანული ნაწილია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლიტერატურის განვითარების ქრონოლოგიურ აღქმას ხელს შეუწყობს თეორიული მასალა, რომელიც მოიცავს როგორც ეპოქის მიმოხილვას (კონტექსტის სრულყოფილად გააზრებისთვის), ასევე ლიტერატორთა საინტერესო მოსაზრებები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს სტანდარტით გათვალისწინებული ლიტერატურული ცნებებისა და ქვეცნებების სწორად გააზრებაში.

მუშაობისას ჩვენი პრინციპი იყო, სახელმძღვანელო იმდენად შეკრული, გასაგებად სტრუქტურირებული ყოფილიყო, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს ნავიგაცია, აქტივობებსა თუ დავალებებს მასწავლებლის გარეშე, დამოუკიდებლადაც, გაართვას თავი (მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალება მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულოს). ეს მიდგომა განაპირობა იმან, რომ მივიჩნევთ, თანამედროვე განათლება მუდმივად და დამოუკიდებლად მსწავლელი პიროვნების აღზრდას უნდა ემსახურებოდეს.

მეორე მხრივ, სახელმძღვანელო მასწავლებლისთვისაც უნდა იყოს კომფორტული და მაქსიმალურად უადვილებდეს ისედაც გადატვირთული მუშაობის რეჟიმში სრულყოფილი, ეფექტიანი და შედეგიანი გაკვეთილების ჩატარებას.

### თავების სტრუქტურა:

სახელმძღვანელოში შესულია მოცულობითი ტექსტები, რომლებიც დავყავით მცირე მონაკვეთებად. თითოეულის დამუშავებისთვის მოსწავლის წიგნში მოცემულია როგორც სააზროვნო კითხვები (რუბრიკა – **ტექსტის გასააზრებლად**), ისე **აქტივობები**, რომლებსაც მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს კომპლექსურ დავალებამდე.

**ტექსტის გასააზრებლად**

1. მწერალი დანანებით საუბრობს დახოცილ ახალგაზრდებზე. რა სადარდებელი აქვთ იმათ, ვინც გადარჩნენ?
2. რა ამშვიდებდათ გადარჩენილ მოხევეებს?
3. შებოჭილ სამ ადამიანს შორის ერთ-ერთია გუგუა, რომელსაც ბრალად ედებოდა მტრისთვის გზის ჩვენება. როგორ ფიქრობ, გუგუამ მართლა უღალატა ხევს? შენი აზრით, რა მოხდა? რატომ აღმოჩნდა გუგუა ეჭვმიტანილი?
4. რა რეაქცია ჰქონდა ონისეს, როდესაც შეიტყო, გუგუას ღალატს რომ აბრალებდნენ? რატომ შეიტანა მასში ეჭვი?
5. რას ნანობს გუგუა და რას აბრალებს თავისი მიზნის შეუსრულებლობას?
6. გუგუა ამბობს, რომ სიკვდილის არ ეშინია. ყველაზე მეტად რა ადარდებს მას?
7. როგორ იმოქმედა გუგუას სიტყვებმა ონისეზე?

**აქტივობა**

**კრიტიკული წერილის დამუშავება**

ქვემოთ მოცემულია ადაპტირებული ვერსია კრიტიკოს **აკაკი ბაქრაძის** წერილისა **„არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა“.**

ნაშრომი ეხება შენ მიერ შესწავლილ ორ მნიშვნელოვან ნაწარმოებს: აკაკი წერეთლის **„გამზრდელსა“** და ალექსანდრე ყაზბეგის **„ხევისბერ გოჩას“.**

სანამ წერილს წაიკითხავდე, დაფიქრდი და იმსჯელე, რა პარალელების გავლება შეიძლება ამ ორ ნაწარმოებს შორის.

კრიტიკული წერილის წაკითხვის შემდეგ:

- პუნქტობრივად ამოწერე საკითხები;
- გააკეთე T დიაგრამა, რომლის მარცხენა მხარეს ჩამოწერ კრიტიკოსის შეხედულებებს, ხოლო მარჯვნივ მიუწერ შენს კომენტარს: რამდენად მისაღებია, გასაგებია ესა თუ ის მოსაზრება?
- დაწერე მცირე შემაჯამებელი ტექსტი, რომელშიც ახსნი, როგორ უკავშირდება წერილის სათაური მის შინაარსს.

თითოეულ ტექსტზე მოცემულია ერთი ან რამდენიმე კომპლექსური დავალება (ტექსტის მოცულობის შესაბამისად).

თავის მხრივ, კომპლექსური დავალებები შედგენილია ორი მიმართულებით: როგორც წერითი, ისე ზეპირმეტყველების უნარებზე მორგებული.

მწერლის შემოქმედებას, ნაწარმოებებს, წინ უძღვის რუბრიკა **გაიცანი ავტორი,** რომელიც საკმაოდ მოცულობითია, რადგან ავტორის ბიოგრაფიის სიღრმისეულად გაცნობა უმნიშვნელოვანესია ნაწარმოების კონტექსტის გაგებისთვის.

სახელმძღვანელოში შევიტანეთ თითოეულ ავტორთან დაკავშირებული არა მშრალი ბიოგრაფიული ცნობები, არამედ შთამბეჭდავი მოგონებები, ამონარიდები ინტერვიუებიდან, სხვადასხვა ცნობილი ადამიანის მიერ მწერლის შემოქმედებისა თუ ცხოვრების ისეთი საინტერესო შეფასებები, რომლებიც მოსწავლეებს ემოციებს აღუძრავს და მყარად ჩაიბეჭდება მათ გონებაში.

უმეტესად მოცემულ ბიოგრაფიულ მასალებს ახლავს დამატებითი ინტერნეტრესურსები: საჯარო ლექცია, ბიოგრაფიული ფილმი და ა.შ.

თითოეული ტექსტი იწყება რუბრიკით **ტექსტის წაკითხვამდე** – რომელიც ან ერთგვარი შესავლის ფუნქციას ასრულებს, ან მოიცავს თემასთან გასააქტიურებელ ცნებასთან დაკავშირებულ საკვანძო შეკითხვებსა და აქტივობებს.



**ტექსტის წაკითხვამდე**

ადამიანი ცხოვრების გზაზე გამუდმებით იცვლება.
იცვლება არა მარტო ფიზიკურად, გარეგნულად, არამედ პიროვნულადაც.
ცვლილებები ზოგჯერ უმნიშვნელო და ძნელად შესამჩნევია, ზოგჯერ კი ძირეული და ყოვლისმომცველი. ადამიანის შინაგანი, პიროვნული გარდაქმნის აღსანიშნავად იყენებენ ხოლმე სიტყვას – ფერისცვალება.

- იფიქრე, შენი აზრით, რა შეიძლება იყოს პიროვნული ფერისცვალების გამომწვევი მიზეზი?
- თუ გქონია განცდა, რომ უწინდელი „მე“ ახლით ჩანაცვლდა, თუ გიგრძნია გარდამტეხი პიროვნული ცვლილებები?
- როგორ ფიქრობ, ამგვარი გარდამტეხი ცვლილებების გარეშე შესაძლებელია ადამიანის ცხოვრება? როგორი იქნება იგი? თუ შეგიძლია გაიხსენო რომელიმე პერსონაჟი ამის საილუსტრაციოდ? რომელ პერსონაჟს დაასახელებდი, როგორც პიროვნებას, რომელმაც „ფერი იცვალა“?

რა თქმა უნდა, თითოეულ თავს ახლავს სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი თეორიული მასალა.

ეს სტრუქტურა არა მხოლოდ მოზარდებს, არამედ მასწავლებლებსაც გაუადვილებს სასურველი შედეგის მიღებას: მათ აქვთ გამზადებული დავალებები ტექსტის შესწავლის ყველა ეტაპისთვის, მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობებით ტექსტს ისე დაამუშავებინებს, რომ დაფაროს საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ცნება და ჩამოუყალიბოს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც აუცილებლად უნდა დარჩეს მეთერთმეტეკლასელ მოსწავლეს ამ კურსის გავლის შემდეგ, ხოლო თითოეული აქტივობა შერჩეულია ისე, რომ მათი დამუშავებით მოსწავლემ, საბოლოოდ, ადვილად შეძლოს კომპლექსური დავალების დამოუკიდებლად შესრულება. ასეთი მიდგომა თავიდან აგვაცილებს ტექსტების გადარბენით სწავლა-სწავლებას. დანაწევრებული ტექსტები თავისთავად უჩენს განწყობას მასწავლებლებს, რომ შეუძლიათ, ერთ ტექსტს რამდენიმე გაკვეთილი მშვიდად დაუთმონ.

სახელმძღვანელოს შედგენისას გავითვალისწინეთ მდგრადი განვითარების პრინციპები, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც შევთავაზეთ ისეთი დავალებები, რომელთა შესრულება აამაღლებს მათ ცნობიერებას და დაეხმარება, მზად იყვნენ XXI საუკუნის გამოწვევებისათვის.

**სახელმძღვანელოში დამატებით გამოვყავით შემდეგი რუბრიკები:**

**კრიტიკული აზროვნებისთვის** – ეს რუბრიკა სისტემურად ახლავს ტექსტის თითოეულ მონაკვეთს და გულისხმობს იმ საკვანძო საკითხების გამოყოფას, რომლებთან დაკავშირებითაც მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს კრიტიკული დამოკიდებულება, გამოთქვას თავისი შეხედულება, დაეთანხმოს ან უარყოს ლიტერატორების, კრიტიკოსების კონკრეტულ საკითხზე გამოთქმული შეხედულებები.



**კრიტიკული აზროვნებისთვის**

როგორ ფიქრობ, რამდენად აქტუალურია სულიერი ობლობის, მარტოსულობის თემა თანამედროვე სამყაროში?

წაიკითხე თანამედროვე ინტერნეტმედიიდან მცირე ამონარიდი, რომელიც ეკუთვნის ჟურნალისტ სალომე ასათიანს (მან მოამზადა პოდკასტი მარტოობის თემაზე: „მარტოობა: ერთი ემოციის ისტორია“).

*„მსოფლიო მედიაში მარტოობა დღეს მწვავე განაცხადების და მყვირალა სათაურების თემაა – გვეუბნებიან, რომ „მარტოობის ეპიდემიაში“ ვცხოვრობთ, რომ მარტოობა ოცდამეერთე საუკუნის კეთრია. ამ ვითარებასთან საბრძოლველად 2018 წელს ბრიტანეთმა მარტოობის მინისტრის ოფიციალური თანამდებობაც კი შემოიღო, ანალოგიური ნაბიჯი გადადგა იაპონიამაც. მარტოობა, როგორც ასეთი, ერთ-ერთი თანმდევი თემაა პოპულარული კულტურის, მხატვრული ლიტერატურის, კინოს, მხატვრობის, მუსიკის სამყაროში“.*

რა შეიძლება დავასკვნათ პრობლემის აქტუალურობასთან დაკავშირებით?

**კიდევ ერთხელ გადაიკითხე ლექსი:**

- იმსჯელე, რამდენად იკვეთება მასში საზოგადოების ბრალეულობა ლირიკული „მეს“ ამგვარი განცდების გამო;
- როგორ ფიქრობ, ზოგადად, რამდენად განაპირობებს გარშემომყოფი საზოგადოება ინდივიდის სულიერ ობლობას? გაიხსენე ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია, წერილები – საინტერესოა, რამდენად ჩანს ამ კითხვაზე პასუხი მათში.

**ლექსიკაზე მუშაობა** – საინტერესო აქტივობებით, კოგნიტური სქემებით ჩაუღრმავდება მოსწავლე ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს, დააკვირდება გენეზისსა და ფუნქციას, რაც საბოლოოდ ტექსტის უკეთ აღქმას გააადვილებს. ეს რუბრიკა უბიძგებს მოსწავლეს, ყურადღებით დააკვირდეს მწერლების ენას.

**ლექსიკაზე მუშაობა**

**ა.** „*მარად ახსოვს მას დაკარგვა* ***სწორისა***“ – გადახედე უკვე შესწავლილ ლექსებს და მოძებნე, სად და რა კონტექსტში იყენებს ბარათაშვილი ხაზგასმულ სიტყვას. როგორ ფიქრობ, ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს ორივე კონტექსტში? ჩამოწერე ამ სიტყვის სინონიმები.

**ბ.** ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ლექსებში ცხოვრების აღმნიშვნელად იყენებს სიტყვა „**სოფელს**“. როგორც იცი, დღეს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას.

გაიხსენე წინა კლასში შესწავლილი ძველი ქართული ტექსტები. გხვდებოდა თუ არა ეს სიტყვა „ცხოვრების“ მნიშვნელობით? დაიხმარე ინტერნეტი, ქართული ენის განმარტებითი (სულხან-საბას „სიტყვის კონა“ და თანამედროვე გამოცემა) და სინონიმთა ლექსიკონები, დააკვირდი ამ სიტყვის ეტიმოლოგიას, შინაარსობრივ ცვლილებას.

**გაიფართოვე თვალსაწიერი** – მასალები, რომლებიც მოსწავლეებისთვის საინტერესოდ წასაკითხია, გაუღრმავებს ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და აუმაღლებს სწავლის მოტივაციას. თითოეულ რუბრიკას ახლავს კითხვები მიწოდებული მასალის გასააქტიურებლად.



**გაიფართოვე თვალსაწიერი**

**როდის დაიწერა „მერანი“**

1842 წლის გაზაფხულზე შამილის რაზმელებმა ერთ-ერთი შეტაკების დროს ტყვედ ჩაიგდეს რუსის ჯარის სამი ოფიცერი, მათ შორის ილია ორბელიანი, რომელიც გრიგოლ ორბელიანის ძმა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა იყო.

წაიკითხე ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელიც 1842 წლის 2 მაისით თარიღდება:

*„საყვარელო ძმაო გრიგოლ! – წერს ნ. ბარათაშვილი, – ილია მართლა ტყვეთ არის შამილთან! ეს ამბავი ადრევე მინდოდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმუხელები შეინახავდნენ დამშვიდებამდე. ფეზეს ოფიციალური მოხსენებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი ადიუტანტი, თავადი ორბელიანი, 20 მარტს გაგზავნილი იყო მინდობილობით ანდალალში და რომ ის იქ ტყვედ წაიყვანეს“.*

*„ილიკოს თან ჰყოლია ოცი, სულ დაწკეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავარიელები, ახმეტ ხანისგან გამოტანებულები; შამილს ოცივესთვის ილიას თვალწინ თავები დაუყრევინებია“.*

ილია ორბელიანის და შამილის დიალოგის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს:

*„შამილ, როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასო“.*

გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ამ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი „მერანის“ შექმნის შესახებაც საუბრობს. „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებო“ და უგზავნის რა გრიგოლ ორბელიანს თავისი „მერანის“ ხელნაწერს, დასძენს:

*„არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ისე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამე დღეს, ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცა. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწვდინო; ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“.*

შენ უკვე შეისწავლე „მერანი“, ისიც გაიგე, რომ ეს ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილმა მას შემდეგ დაწერა, რაც ბიძის, ილია ორბელიანის, დატყვევების შესახებ შეიტყო.

რა წარმოდგენა შეგექმნა ილია ორბელიანზე ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ? როგორი ხასიათი შეიძლებოდა ჰქონოდა ადამიანს, რომლის დატყვევებამ ნიკოლოზ ბარათაშვილს „მერანი“ დააწერინა?

**ჩვენ გირჩევთ** – ეს რუბრიკა მოიცავს რეკომენდაციებს, პრაქტიკულ რჩევებს კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი დახმარებით მოსწავლეები დაამუშავებენ სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალების შესასრულებელ სტრატეგიებს: კითხვის, გააზრების, წერის, ზეპირმეტყველების...

### ჩვენ გირჩევთ

ერთი შეხედვით მარტივი დავალებაც კი, შესაძლოა, საკმაოდ საგულისხმო აღმოჩნდეს, თუკი სრულყოფილად შეასრულებ.

- სანამ დავალების წერას დაიწყებდე, დაუკვირდი საკუთარ თავს, რამდენად სრულყოფილად გაიაზრე ნაწარმოებში ასახული კონფლიქტი, პოეტის მთავარი სათქმელი. შენი ეს შეხედულება უნდა დაედოს საფუძვლად პოემის გაგრძელებას. დაუსვი საკუთარ თავს კითხვები და ჩაინიშნე პასუხები:
  *რა გავლენას მოახდენდა საფარზე გამზრდელის სიკვდილი?*
  *როგორ გააგრძელებდა ცხოვრებას?*
  *რამდენად რადიკალურად შეცვლიდა ეს ტრაგიკული შემთხვევა საფარ-ბეგის ცხოვრების წესს?*
  *სხვა პერსონაჟები როგორ აღიქვამდნენ მთელ ამ ამბავს?*
- მნიშვნელოვანია ფორმის სწორი შერჩევაც. აკაკი წერეთლის პოემის რითმა და რიტმი იმდენად ადვილად აღსაქმელია, ბევრ მოზარდს არ უჭირს, მიმსგავსებული ფორმით დაწეროს პოემის გაგრძელება, რათა უფრო ბუნებრივი გამოვიდეს, თუმცა ეს არ არის აუცილებელი. მთავარია, სიუჟეტურად გაგრძელდეს.

ეპოქის სოციოკულტურული მახასიათებლები მნიშვნელოვანია როგორც მოქმედების დროისა და ადგილის განსასაზღვრად, ისე – პერსონაჟთა საქციელების ასახსნელად.

**მედიაწიგნიერება** – ეს რუბრიკა მოიცავს იმ ინტერნეტრესურსებს, რომელთა გაცნობაც მოსწავლეს გაუჩენს მეტ ინტერესს და გაუღრმავებს ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასევე სახელმძღვანელოში შეგხვდებათ რუბრიკა წიგნიერებაც, რომელიც მოიცავს არა კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ, არამედ ტექსტებზე მუშაობის ზოგად, მაგრამ ძალიან საჭირო რჩევებსა და სტრატეგიებს.

### წიგნიერება

#### ვრცელ ტექსტებზე მუშაობის სტრატეგიები

კითხვა, როგორც სასწავლო ქმედება, მაშინაა შედეგიანი, თუ აქტიურად იქნები ჩართული პროცესში.

ეს ნიშნავს დეტალების შემჩნევასა და მათზე დაკვირვებას, კითხვების მეშვეობით წაკითხულის გააზრებას, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენას, წაკითხულის დაკავშირებას წინარე ცოდნასთან, საკუთარ ყოველდღიურობასთან.

ვრცელი ტექსტების კითხვისას გაითვალისწინე აქ თავმოყრილი რჩევები. ეს დაგეხმარება, უკეთ გაიაზრო და დაიმახსოვრო წაკითხული.

#### დააკვირდი

დააკვირდი სათაურს, ტექსტის სტრუქტურას:

- დაყოფილია თუ არა თავებად?
- დასათაურებულია თუ არა თავები?
- აქვს თუ არა ტექსტს პროლოგი ან ეპილოგი? ეპიგრაფი?

### მედიაწიგნიერება

ინტერნეტში უამრავი საინტერესო, შემეცნებითი, საჭირო, სახალისო მასალისა და ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი. ჩვენ გირჩევთ:

- უყუროთ **გოდერძი ჩოხელის** მიერ გადაღებულ ფილმს **„ცოდვის შვილები“,** რომელიც ვაჟა-ფშაველას პოემების მოტივებზეა აგებული.
  https://www.youtube.com/watch?v=OOjM5csNrEw
- ნახოთ მხატვრული ფილმი **„ვედრება“,** რომელიც **თენგიზ აბულაძემ** გადაიღო ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით.
  https://www.youtube.com/watch?v=VELcuM0qy3M&t=1669s
- წაიკითხოთ სტატია, რომელიც ეხება საინტერესო ფაქტს: „სტუმარ-მასპინძელი“ იაპონურად თარგმნა ენათმეცნიერმა **იასუჰირო კოჯიმამ,** ხოლო მხატვარმა **თინა ცხადაძემ** იაპონური მანგა (იაპონური კომიქსი) შექმნა.
  იხილეთ ინტერვიუ და ილუსტრაციები სტატიაში:
  https://www.radiotavisupleba.ge/a/32212306.html
- უყურეთ ნაწყვეტს ანიმაციიდან, რომელიც პოემა „სტუმარ-მასპინძელზე“ მხატვარ-ანიმატორმა გიორგი გაგლოშვილმა შექმნა:
  https://www.youtube.com/watch?v=UARiMvxE7Go

**დამატებითი რესურსი:**

ტექსტებსა და სავარჯიშოებს ხშირად ახლავს ინტერნეტმასალები: ვიდეო და აუდიორეპორტაჟები, ინტერვიუები, მოზარდებისთვის საინტერესო საიტები, დამატებით საკითხავი ტექსტები თემატური პარალელებისთვის – ისინი ჩაისმება არა დაკოპირებული ბმულების სახით (მათი აკრეფა ხშირად მოზარდისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს და უქრება მოტივაცია, გაეცნოს დამატებით საინტერესო მასალას), არამედ სახელმძღვანელოში ჩასმული QR კოდის სახით. მობილური ტელეფონის ფოტოაპარატის სახელმძღვანელოში განთავსებულ სპეციალურ QRკოდზე დანათებით მოსწავლე მარტივად შეძლებს, ნახოს მითითებული მასალა.

**გრამატიკა**

საშუალო საფეხურზე ცნება „გრამატიკა“ ცალკე კომპონენტი არ არის, მაგრამ სახელმძღვანელოში მაინც წარმოდგენილია „ენის სამყაროს“ სამი თავი. სამივე ეხება სტილის საკითხებს. თითოეულ თავს ახლავს ტექსტის რედაქტირება. „ენის სამყარო“ ხელს შეუწყობს მასწავლებელს, გაბმულად რამდენიმე გაკვეთილი დაუთმოს ამ საკითხებს, რათა მოსწავლეებს განუმტკიცდეთ ამა თუ იმ ენობრივ საკითხთან დაკავშირებული ცოდნა.

**1 ენის სამყარო**

# 1. სტილის რაობისთვის

სიტყვა „სტილი“ განსაკუთრებულს, თავისებურს აღნიშნავს, ამიტომ ის სხვადასხვა დარგში გამოიყენება. რამდენიმე ერთნაირი შენობა ჩაითვლება ჩვეულებრივად, ხოლო ერთი მათგანი თუ განსხვავებულია, მასზე იტყვიან, განსაკუთრებული სტილისააო. სანამ სტილთან დაკავშირებულ ძირითად ენობრივ საკითხებს განვიხილავთ, დაფიქრდი, ზოგადად, რა არის სტილის არსი ნებისმიერ სფეროში, ეს იქნება ადამიანის გარეგნობა, სახლის გარე თუ შიდა დიზაინი, მეტყველება და ა.შ.

„სტილი არის თვალსაზრისის სრულყოფა“, – ნათქვამია ენობრივი სტილის შესახებ. მეტყველებისა თუ წერით სტილი კარგად ავლენს ადამიანის ინტელექტუალურ თუ შემეცნების უნარებს. უნდა აღნიშნოს, რომ განასხვავებენ მხატვრულ სტილსა და ენის სტილს.

მხატვრულ სტილს ქმნიან მწერლები, რომლებიც მრავალ ენობრივ-სტილისტურ საშუალებას იყენებენ აზრის მხატვრულად, ცხადად და მოხდენილად გადმოსაცემად (ტროპის სახეები).

ენის სტილი საკმაოდ მრავალფეროვანია, რადგან, ერთი მხრივ, გვაქვს მეტყველების სტილი, მეორე მხრივ, წერით სტილი. თუმცა ორივე ენობრივ კანონებს ექვემდებარება. ამიტომ სტილისტიკა – ენათმეცნიერების დარგი – თანაბრად შეისწავლის როგორც ზეპირმეტყველების სტილს, ასევე წერით მეტყველებას.

ჩვენ სხვადასხვა გარემოში სხვადასხვანაირად ვსაუბრობთ და ვწერთ. ოჯახში, მეგობრებთან და ახლობელ ადამიანებთან თავისუფალი მეტყველების სტილს ვიყენებთ, ხოლო სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში, ქუჩაში – განსხვავებულად ვმეტყველებთ.

# ქართული ენა და ლიტერატურა

## საშუალო საფეხურის სტანდარტი

**ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო კურსი საშუალო საფეხურზე გულისხმობს ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლებას.**

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები.**

სტანდარტის **შინაარსი** აღიწერება ქვეცნებებისა და თემების სახით.

ეროვნული სასწავლო გეგმა საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“ სავალდებულოდ განსაზღვრავს თემებს, სოლო მათ შესასწავლად საჭირო ქვეცნებებსა თუ საკითხებს სკოლები თავად ირჩევენ.

თემებს ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები.** ისინი მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. თითოეულ კრიტერიუმთან აღნიშნულია, თუ რომელ სამიზნე ცნებასთანაა ის დაკავშირებული.

**საფეხურის შედეგები:**

საშუალო საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. საშ. 1.**

**„ქართ.“**– აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

**„საშ.“** – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

**„1“–** მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

| ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები<br>საშუალო საფეხურზე | | |
|---|---|---|
| შედეგების ინდექსი | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | **სამიზნე ცნებები** |
| **ქართ.საშ.1** | ჟანრულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მთავარი იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟების, მხატვრული ხერხების) ცოდნის გამოყენება წაკითხული ნაწარმოების კრიტიკულად გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებისთვის. | **ჟანრი**<br>(ქართ.საშ.1,4,6,7) |
| **ქართ.საშ.2** | ნაწარმოების აღქმა-გააზრება კონტექსტური ფაქტორების (მაგ., ავტორის ბიოგრაფიის, სოციოისტორიულის) ცოდნის გამოყენებით და მისი ინტერპრეტირება როგორც შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში. | **კომპოზიცია**<br>(ქართ.<br>საშ.1,3,4,6,7) |
| **ქართ.საშ.3** | საკუთარი პოზიციისა თუ დამოკიდებულებების წარმოსაჩენად ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების გამოყენება მათში ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე მსჯელობის გზით. | **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(ქართ.საშ.4,6,7) |

| | | |
|---|---|---|
| **ქართ.საშ.4** | ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მათი საერთო მახასიათებლებისა თუ სპეციფიკურობის/ უნიკალურობის გამოსაკვეთად. | **კონტექსტი** (ქართ.საშ.2,5) |
| **ქართ.საშ.5** | ერთსა და იმავე ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის ერთმანეთთან შედარება ტექსტის განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების ჭრილში შესაფასებლად. | |
| **ქართ. საშ.6** | სხვადასხვა ფორმატის, ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა ამა თუ იმ მიზნით (მაგ., ტექსტის ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოსაცემად). | |
| **ქართ.საშ.7** | ტექსტების შედგენისას ჟანრულ-კომპოზიციური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მსჯელობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციების, მხატვრული ენის, სტილის ელემენტების) მიზნის შესაბამისად გამოყენება (მაგ., ტექსტის ინტერპრეტირებისას, შემოქმედებითი წერისას). | |

**სავალდებულო თემები**

სავალდებულო (საბაზისო) კურსი მოსწავლეებს სთავაზობს ლიტერატურის შესწავლას ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპის საფუძველზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. ამ გზით მოსწავლეები შეიქმნიან წარმოდგენას ქართული ლიტერატურის ძირითად პერიოდებზე და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. კერძოდ, მოსწავლეები ლიტერატურულ ნაწარმოებებს გააანალიზებენ მათი შექმნის თანადროული ეპოქის კონტექსტში, ეპოქისა, რომელიც განსაზღვრავდა ძირითად პრობლემატიკას, მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, მორალურ-ეთიკურ თუ ესთეტიკურ ორიენტირებს. მხატვრული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ ქართველი მწერლების პუბლიცისტური თხზულებები და ესეები, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკა, იდეები, ესთეტიკური შეხედულებები.

| |
|---|
| **V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა** |
| **XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა** |
| **XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა** |

თითოეული სასწავლო თემა ისწავლება ქვეთემების მეშვეობით, რომლებიც განისაზღვრება ლიტერატურის უნივერსალური თემების/მოტივების გათვალისწინებით (მაგ., ცხოვრების საზრისის ძიება, ადამიანი საზოგადოების პირისპირ, სიყვარული, ადამიანის კონფლიქტი ბუნებასთან და მისთ.).

**საკითხავი ლიტერატურა**

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს.

**<u>სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი</u>**

1. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“;
2. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“;
3. ილია ჭავჭავაძე – „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია-ადამიანი?!“;
4. აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“;
5. ვაჟა-ფშაველა – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“;
6. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“;
7. ტიციან ტაბიძე – „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“;
8. მიხეილ ჯავახიშვილი – სულ მცირე, ერთი მოთხრობა;
9. ნ. ლორთქიფანიძე – „შელოცვა რადიოთი“;
10. ლეო ქიაჩელი – „ჰაკი აძბა“;
11. გალაკტიონ ტაბიძე – „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“;
12. გიორგი ლეონიძე – „ყივჩაღის პაემანი“;
13. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
14. გურამ რჩეულიშვილი – *სულ მცირე, ერთი თხზულება;*
15. ჯემალ ქარჩხაძე – *სულ მცირე, ერთი თხზულება;*
16. ოთარ ჭილაძე – *სულ მცირე, ერთი თხზულება;*
17. გურამ დოჩანაშვილი – *სულ მცირე, ერთი თხზულება.*

სწავლა-სწავლების პროცესში სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და ქვეცნებების გაცნობიერებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით).

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**

**ჟანრი**

<u>მხატვრული ნაწარმოებები:</u> ლექსი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, რომანი, ეპოსი, დრამატურგიული ნაწარმოებები (კომედია, დრამა, ტრაგედია), ალეგორიული ჟანრის ლიტერატურა (მაგ., იგავ-არაკი), <u>არამხატვრული ნაწარმოებები:</u> ბიოგრაფიული ტექსტები, მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო (სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატია); საგაზეთო სტატია, სხვადასხვა პერიოდის პუბლიცისტიკა; სხვადასხვა სახის ესეი, რეფერატი.

**კომპოზიცია**

*<u>შინაარსობრივი მხარე:</u>*

თემა, დედააზრი/მთავარი იდეა, მთავარი/ძირითადი საკითხი; ქვეტექსტური ინფორმაცია;

ავტორი, პერსონაჟი, ლირიკული გმირი; პერსონაჟთა სახეები; ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის);

მონოლოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი; მონოლოგის სახეები;

დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქციები;

პეიზაჟი, ინტერიერი და მათი ფუნქციები; განწყობა;

ავტორისეული ჩანართები; ლირიკული გადახვევა;

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, თავი, ქვეთავი, პარაგრაფი, ეპიგრაფი);

წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური);

მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურები (პროლოგი, ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი);

*სტრუქტურა-ორგანიზება:* ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, ეპიგრაფი, პარაგრაფი, თავი, ქვეთავი); რითმა, მეტრი;

სხვადასხვა სახის საორგანიზაციო ყალიბები (მაგ., შედარება-შეპირისპირება, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, ახსნა-განმარტებითობა, პრობლემა და მისი გადაწყვეტა).

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

*ფუნქციური სტილი* – სასაუბრო, მწიგნობრული; სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული;

*ენობრივი ფიგურები* – ფონოლოგიური ფიგურები (ალიტერაცია, ევფონია), სემანტიკური ფიგურები (მაგ., იდიომები, ევფემიზმი); სტილისტური ფიგურები (ელიფსისი, გამეორება, ანაფორა);

ინტერტექსტუალური მიმართებები და მათი გამოხატვის საშუალებები – ალუზია, ციტატა.

*ენობრივ-გრამატიკული ფორმები* – დროით-სივრცული და ლოგიკური მიმართებების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტებში; ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები, დამხმარე ზმნების სტრუქტურა და ფუნქციები.

*მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები* – ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, ჰიპერბოლა, სიმბოლო და სხვ.;

*ლექსიკისა და სტილის საკითხები* – არქაიზმი; სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები; ტავტოლოგია; კალკი, ატროფია; პარონიმები; ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი; კლიშე.

*რიტორიკის ელემენტები* – თეზისი, არგუმენტი, კონტრარგუმენტი, რიტორიკული ხერხები (მაგ., რიტორიკული შეკითხვა); რიტორიკული სტილის მახასიათებლები.

*საკომუნიკაციო სიტუაცია* – თემა, მიზანი, აუდიტორია, კომუნიკაციის სახეები, არხები, ფორმები; სოციოკულტურული გარემო.

**კონტექსტი**

*ისტორიული და სოციოკულტურული* – ქართული ლიტერატურის პერიოდები; თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე, დამოკიდებულებები, შეხედულებები განათლებაზე/სწავლა-აღზრდაზე; მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობები.

*ბიოგრაფიული კონტექსტი* – მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო, განათლება, სულიერი გამოცდილება; კულტურათა დიალოგი.

**თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა**

**თემის ფარგლებში განიხილება:**

*რომანტიზმი* – რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის მთავარი მოტივები (მაგ., სწრაფვა უსაზღვროებისკენ, აწმყოთი უკმაყოფილება, გაიდეალება წარსულის, სიყვარულის, ბუნების), ჟანრები; რომანტიკული გმირი/პერსონაჟი და მისი ტრაგიზმი; კონფლიქტი/გაუცხოება საზოგადოებასთან, რომანტიკული მსოფლაღქმა: ფოკუსირება ინდივიდზე/ინდივიდუალურზე, ემოციებზე, სუბიექტურზე; ორი სამყაროს (ცნობიერისა და იდეალურის/ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი.

*რეალიზმი* – რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის სახასიათო ჟანრები; რეალისტური ნაწარმოებების პერსონაჟი, ტიპობრივი პერსონაჟი; კომპლექსური ურთიერთობები რეალისტური კონცეფციის გმირებს/პერსონაჟებსა და საზოგადოებას შორის; თერგდალეულთა მოძრაობა.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით**

**ჟანრი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

**კომპოზიცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);

- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

**კონტექსტი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეული გამოცდილების) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

**თემა: XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა**
**თემის ფარგლებში განიხილება:**

<u>მოდერნიზმი</u> – ახალი ფორმების, ახალი პოეტური ტექნიკების ძიება; მოდერნისტული ნაწარმოებების გმირი/პერსონაჟი; ორი სამყაროს (ცნობადისა და ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი; ფოკუსირება ინდივიდზე, მის შინაგან სამყაროზე (/არაცნობიერზე); ასოციაციურობა (ასოციაციური თხრობა, ცნობიერების ნაკადი); სამყარო/საზოგადოება, როგორც გამოწვევა ინდივიდის მთლიანობისთვის; ცისფერყანწელთა ორდენი.

<u>პოსტმოდერნიზმი</u> – პოსტმოდერნიზმის მახასიათებლები: მაგ.: თამაში, ფრაგმენტულობა, პირობითობა, ირონია; სუბიექტური მთხრობელი, თვითრეფლექსია; ინტერტექსტუალურობა; პოსტმოდერნიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ეკლექტური ბუნება.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით**

**ჟანრი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

**კომპოზიცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენება;

- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

**კონტექსტი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

# თემატური მატრიცები სახელმძღვანელოსთვის

ამ თავში წარმოდგენილია თემატური მატრიცები, სახელმძღვანელოს თითოეულ თავზე რამდენიმე მატრიცაა კომპლექსური დავალებების რაოდენობის მიხედვით. ისინი მოიცავს თავში შემავალ ყველა ტექსტს. მატრიცებში შეტანილია ყველა ის აქტივობა და რუბრიკა, რომლებიც აუცილებელია კომპლექსური დავალებების დასამუშავებლად. მასწავლებელს სურვილისამებრ შეუძლია აირჩიოს კომპლექსური დავალებიდან ერთი ან მეტი დავალება/დავალებები (მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით).

**მატრიცის სტრუქტურა**

მატრიცის პირველ სვეტში მოცემულია ქართულის საგნობრივი სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. სახელმძღვანელოში შეტანილი კომპლექსური დავალებების უმეტესობა პოლიცნებურია. უკეთ ორიენტირებისთვის დავალებები ჩავსვით სახელმძღვანელოს მიმდევრობის მიხედვით. მეორე სვეტში მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა და კრიტერიუმები, საკითხი და ქვესაკითხები, რომლებიც მუშავდება კომპლექსურ დავალებაში.

ქვემოთა, თეთრი ნაწილი ეთმობა სახელმძღვანელოდან გადმოტანილ აქტივობებს, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება და ამზადებს მოსწავლეს, მოცემული კომპლექსური დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს. თითოეულ ტექსტს ახლავს ერთი ან მეტი კომპლექსური დავალება და რამდენიმე აქტივობა. რუბრიკა **„ტექსტის გასააზრებლად“** არა მხოლოდ კითხვებს მოიცავს, არამედ მცირე აქტივობებსაც და ის ეხმარება მოსწავლეს ტექსტის სიღრმისეულად დამუშავებაში. მატრიცაში მითითებულია ამ რუბრიკის გვერდები.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ორი სისტემური სახის რუბრიკა **„კრიტიკული აზროვნებისთვის“** და **„ლექსიკაზე მუშაობა“** შეტანილია მატრიცაში იმ შემთხვევაში, თუ უკავშირდება კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას. ზოგჯერ ისინი მიემართება არა რომელიმე კომპლექსურ დავალებას, არამედ ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულად გააზრებას, ლექსიკაზე სათანადოდ დაკვირვებასა და რაც მთავარია, საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას.

განსხვავებული ფუნქცია აქვს რუბრიკას **„გაიფართოვე თვალსაწიერი“**, ის ზოგჯერ უშუალოდ კომპლექსურ დავალებას უკავშირდება, ზოგჯერ კი ეხმარება მოსწავლეს საგნობრივი სამიზნე ცნებების, კომპოზიციისა (თემა, იდეა, პერსონაჟი) და კონტექსტის (ნაწარმოების შექმნის ეპოქა, ავტორი) გააზრებაში. მაგალითად, ინფორმაცია გაძიძავების ტრადიციის შესახებ (გვ.409, 410) ეხმარება მოსწავლეს, უკეთ გააცნობიეროს ნაწარმოების ისტორიული კონტექსტი.

ძალიან საჭირო რუბრიკაა **„ლიტერატურის თეორია“**. ამ რუბრიკაში მოქცეული საკითხები ეხმარება მოსწავლეს ტექსტის კონკრეტული მონაკვეთისა და სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებაში თანდართული კითხვების დახმარებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლის წიგნში სისტემურადაა მოცემული ენობრივ-გრამატიკული ნაწილი **„ენის სამყარო“**, რომელიც წინა კლასებში შესწავლილი საკითხების ერთგვარი გამეორება-გააქტიურებაა. ძირითადად, შევიტანეთ სტილის საკითხები, რომლებიც ერთგვარი აქილევსის ქუსლია მოსწავლეებისთვის. ასევე სახელმძღვანელოში მოცემულია რედაქტირებებიც – ძალიან კარგი საშუალება აქამდე შესწავლილი გრამატიკული საკითხების გასახსენებლად და გასამყარებლად.

# I თავი – ცხოვრების საზრისი – ძიება

მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქედან

**საგანი:** ქართული ენა და ლიტერატურა
**ძირითადი რესურსი:** სახელმძღვანელო „ქართული“, XI კლასი, I თავი, ცხოვრების საზრისი – ძიება
**კლასი:** XI

## ქართული ენა და ლიტერატურა
## საშუალო საფეხური

**თემა:** ცხოვრების საზრისი – ძიება
**თემაში გამოყენებული ტექსტები:**
1. რომანტიზმი
2. ქართული რომანტიზმი
3. გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია
4. თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში – გრიგოლ ორბელიანი
5. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია
6. ხმა იდუმალი – ნიკოლოზ ბარათაშვილი
7. სულო ბოროტო – ნიკოლოზ ბარათაშვილი
8. სული ობოლი – ნიკოლოზ ბარათაშვილი
9. შემოღამება მთაწმინდაზედ – ნიკოლოზ ბარათაშვილი
10. მერანი – ნიკოლოზ ბარათაშვილი
11. ადამ მიცკევიჩი – ფარისი (ამონარიდები)
12. პერსი ბიში შელი – სიყვარულის ფილოსოფია
13. შარლ პიერ ბოდლერი – უცხო

| საკითხები | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები** | **საკითხი 1.** გრიგოლ ორბელიანის ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა. | **საკითხი 2.** პროგრამა Power Point-ის დახმარებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ორი ლექსის, „ხმა იდუმალი“ და „სულო ბოროტო“, შედარება. | **საკითხი 3.** ლიტერატურული ესეის, მკითხველის გამოხმაურების, დაწერა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების („სული ობოლი“ და შემოღამება მთაწმინდაზე“) მიხედვით. | **საკითხი 4.** ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის გამოყენებით მწერლის ჩეტბოტისთვის საჭირო მასალების შექმნა. |
| **ჟანრი ქვეცნება:** მხატვრული ჟანრი არამხატვრული ჟანრი | **ქვესაკითხები:** ლექსი, ანალიტიკური ესეი | **ქვესაკითხი:** ლექსი | **ქვესაკითხები:** ლექსი, ლიტერატურული ესეი | |
| **კომპოზიცია ქვეცნება:** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები ორგანიზაციული ყალიბი | **ქვესაკითხები:** ლირიკული გმირი და მისი განცდები, დამოკიდებულებები; ლექსის თემა, იდეა; | **ქვესაკითხები:** ლირიკული გმირი და მისი განცდები, დამოკიდებულებები; ლექსის თემა, იდეა; | **ქვესაკითხები:** ლექსის თემა, იდეა, ლირიკული გმირი და მისი განცდები, დამოკიდებულებები | **ქვესაკითხები:** ლექსის თემა, იდეა, ლირიკული გმირი და მისი განცდები, დამოკიდებულებები; |
| **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ქვეცნება:** ენობრივი ფიგურები რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები | **ქვესაკითხები:** ტროპის სახეები; არგუმენტები, მაგალითები, ციტატები | **ქვესაკითხები:** ტროპის სახეები | **ქვესაკითხები:** ტროპის სახეები; არგუმენტები, მაგალითები, ციტატები | |
| **კონტექსტი ქვეცნებები:** კონტექსტური ფაქტორები | | **ქვესაკითხები:** ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალები, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები. | | **ქვესაკითხები:** ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალები, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობბები, დამოკიდებულებები. |
| | **კომპლექსური დავალება 1.** ანალიტიკური ესეი | **კომპლექსური დავალება .** პრეზენტაცია – ორი ლექსის შედარება | **კომპლექსური დავალება 3.** ლიტერატურული ესეი – მკითხველის გამოხმაურება. | **კომპლექსური დავალება 4.** ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩეტბოტი |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br><br>**ქვეცნება –**<br>მხატვრული ჟანრი<br>არამხატვრული ჟანრი<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები | **საკითხი** – გრიგოლ ორბელიანის ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა.<br><br>**ქვესაკითხები** – ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ თემა და იდეა, ლირიკული გმირი – მისი ემოციები, დამოკიდებულებები, არგუმენტები, მაგალითები, ციტატები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები**<br>• როგორ გამოვიყენო ლექსისა და ესეის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, არგუმენტებისა და მაგალითების ცოდნა?<br>• როგორ წარმოვაჩინო ლირიკული გმირის ემოციები?<br><br>**კომპლექსური დავალება – ანალიტიკური ესეი**<br>ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ მიხედვით დაწერე ანალიტიკური ესეი, რომელშიც გააანალიზებ, თუ როგორ არის ასახული მასში ლირიკული გმირის ემოციები, შეხედულებები, დამოკიდებულებები. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br><br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები**<br>**ნამუშევარში:**<br>• წარმოაჩინე ლირიკული გმირის შინაგანი სამყარო, ემოციები, შეხედულება საკუთარ თავზე; (კომპოზიცია, ჟანრი)<br>• ახსენი მისი დამოკიდებულება თამარ მეფისადმი, რომელსაც ლირიკული გმირი მიმართავს; (კომპოზიცია, ჟანრი)<br>• გამოკვეთე ლირიკული გმირის ხედვა სამშობლოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ; (კომპოზიცია, ჟანრი)<br>• იმსჯელე, რით არის ლირიკული გმირის სახე შენთვის საინტერესო? (კომპოზიცია, ჟანრი)<br>• მოიყვანე ლექსიდან კონკრეტული მაგალითები, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს; (კომპოზიცია, ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• გაითვალისწინე ესეის სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი<br>• ნაწილი და დასკვნა. (ჟანრი) |

**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

(შედეგები: 1, 6, 7)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ამოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**რესურსი:** გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი** 1 –

- წარმოაჩინე ლირიკული გმირის შინაგანი სამყარო, ემოციები, შეხედულება საკუთარ თავზე; (კომპოზიცია, ჟანრი)
- ახსენი მისი დამოკიდებულება თამარ მეფისადმი, რომელიც, ფაქტობრივად, ლირიკული გმირის მიმართვის ობიექტია; (კომპოზიცია, ჟანრი)
- გამოკვეთე ლირიკული გმირის ხედვა სამშობლოს წარსულის, აწმყოსა
- და მომავლის შესახებ; (კომპოზიცია, ჟანრი)
- იმსჯელე, რით არის ლირიკული გმირის სახე შენთვის საინტერესო? (კომპოზიცია, ჟანრი)
- მოიყვანე ლექსიდან კონკრეტული მაგალითები, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს; (კომპოზიცია, ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა** 1

ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე შესავალში მოცემული ინფორმაციის (რომანტიზმის შესახებ) გაცნობა-დამუშავება.

**აქტივობა** 2

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 17

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ დამუშავება:** მუშაობა ლექსის თემასა და იდეაზე;

**აქტივობა 4 – წაკითხულის გააზრება:** დახურული კითხვების საშუალებით მოსწავლეები ამუშავებენ, როგორც ლექსის თემასა და იდეას, ასევე აკვირდებიან ლირიკული გმირის განცდებს, შეფასებებს, დამოკიდებულებებს.

**აქტივობა 5 – ლექსიკაზე მუშაობა:** კონკრეტული ლექსიკური სავარჯიშოების დახმარებით მოსწავლეები აკვირდებიან როგორც რეალობას, მოცემულობას, რომელსაც ლირიკული გმირი აღნიშნავს, ასევე მის სურვილსა და ოცნებებს.

| ზმნები, რომლებიც გამოხატავს რეალობას, უკვე არსებულს | ზმნები, რომლებიც გამოხატავს ლირიკული გმირის სურვილს, ოცნებას |
|---|---|
| | |
| | |
| | |

**აქტივობა 6 – დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე:** ამ აქტივობის მიხედვით მოსწავლე იაზრებს ლექსის დაწერის კონტექსტს, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, უკავშირებს თანამედროვეობას.

**აქტივობა 7 – თეორია „ლირიკული გმირი“** – ამ რუბრიკის წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეები დააკვირდ-ებიან, რამდენად შესაძლებელია, კონკრეტულ ლექსი გავაიგივოთ პოეტი და ლირიკული გმირი.

**ნაბიჯი 2** –

- გაითვალისწინე ესეის სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. (ჟანრი)

**აქტივობა 8** – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“ – ამ რუბრიკით მოსწავლე ეცნობა კონკრეტული სტრატეგიებს, როგორ იმუშაოს დავალებაზე, როგორ ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებების არგუმენტირებულად, როგორ დაიმოწმოს ციტატები.

**აქტივობა 9** – ენის ნაწილში პარაგრაფის „რიტორიკის ელემენტების“ დამუშავება; გვ. 68

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ თვლი, რომ შენი ნამუშევარი ანალიტიკური ესეია?
- ლექსის იდეის გაგებისთვის რატომ არის მნიშვნელოვანი ლირიკული გმირის განცდებსა და დამოკიდებულებებზე დაკვირვება?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N2 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>4) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br><br>**ქვეცნებები –**<br>მხატვრული ლიტერატურა<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>ენობრივი ფიგურები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი :**<br>პროგრამა Power Point-ის დახმარებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ორი ლექსის, „ხმა იდუმალი“ და „სულო ბოროტო“, შედარება.<br><br>**ქვესაკითხები** – ლექსების „ხმა იდუმალი“ და „სულო ბოროტო“ თემა, იდეა, ლირიკული გმირები, ტროპის სახეები, მწერლის ცხოვრება, პირადი წერილები;<br><br>**საკვანძო შეკითხვები**<br>• როგორ ამოვიცნო ლექსის თემა და იდეა?<br>• როგორ წარმოვაჩინო ლირიკული გმირი?<br>• როგორ გამოვსახო ვიზუალურად ჩემი სათქმელი?<br>• როგორ დავაკავშირო მწერლის ბიოგრაფიის ნაწილი მის ნაწარმოებებთან?<br>•<br>**კომპლექსური დავალება – პრეზენტაცია – ლექსების შედარება**<br>მოამზადე პრეზენტაცია Power Point-ში, შეადარე ერთმანეთს ლექსები: „ხმა იდუმალი“ და „სულო ბოროტო“. მათი თავისებურებები და მთავარი სათქმელი ვიზუალურადაც წარმოაჩინე. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br><br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>პრეზენტაციაში წარმოაჩინე:<br>• ორივე ლექსის იდეა როგორც წერილობით, ასევე ვიზუალურად: იდეურად შესაბამისი ნახატით, ფოტოთი; (კომპოზიცია)<br>• ლირიკულ გმირთა ემოციები და მისწრაფებები: საერთო და განმასხვავებელი (აქაც გამოიყენე ვიზუალიზაციის ელემენტები: ფერები, ღიმილაკები, „გიფები“, ნახატები, მუსიკა...); (კომპოზიცია, ჟანრი)<br>• ორივე ნაწარმოების მხატვრული თავისებურებები კონკრეტული მაგალითების, ციტატების საშუალებით; (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)<br>• შეგიძლია, გაავლო პარალელები ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასთან, გამოიყენო მისი პირადი წერილები; (კონტექსტი) |

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**4) კონტექსტი**<br>(შედეგები: 1, 4)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსები:** ნიკოლოზ ბარათაშვილის ორი ლექსი: „ხმა იდუმალი“ და „სულო ბოროტო“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი** 1 –

- ორივე ლექსის იდეა როგორც წერილობით, ასევე ვიზუალურად: იდეურად შესაბამისი ნახატით, ფოტოთი; (კომპოზიცია)
- ლირიკულ გმირთა ემოციები და მისწრაფებები: საერთო და განმასხვავებელი (აქაც გამოიყენე ვიზუალიზაციის ელემენტები: ფერები, ღიმილაკები, „გიფები“, ნახატები, მუსიკა...); (კომპოზიცია, ჟანრი)

**აქტივობა 1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 31, გვ. 36

**აქტივობა 2 – რუბრიკები „კრიტიკული აზროვნებისთვის“** – ამ რუბრიკების დახმარებით მოსწავლე უკეთ ჩაუღრმავდება ლექსების თემასა და იდეას, ასევე შეაპირისპირებს ორივე ლექსს.

**აქტივობა 3 – ლირიკული გმირის ემოციები** – ამ აქტივობით მოსწავლე ერთდროულად მუშაობს ემოციებსა და მხატვრულ ხერხებზე. მან ჯერ თავად უნდა აღწეროს ნახატების მიხედვით ემოციები, ხოლო შემდეგ მიუბრუნდეს ლექსს „ხმა იდუმალი“ და ლირიკული გმირის განცდები დაუკავშიროს სახელმძღვანელოში მოცემულ ნახატებს. განმარტავს, რომელი მხატვრული სახეებითაა გადმოცემული ლექსში ესა თუ ის ემოცია.

სახელმძღვანელოში მოცემულია ნახატები: ვან გოგი, „დამწუხრებული მოხუცი (მარადისობის კარიბჭესთან)“, პაბლო პიკასო, „მელანქოლიური/სევდიანი ქალი“, ედვარდ მუნკი, „ყვირილი“, გუსტავ კურბე, „სასოწარკვეთილი ადამიანი (ავტოპორტრეტი)“. ჩანაწერების შესრულების შემდეგ მასწავლებელს შუძლია მიაწოდოს ეს ინფორმაცია მოსწავლეებს, რაც მათ საშუალებას მისცემს“, გადაამოწმონ“ ჩანაწერებში გამოთქმული ვარაუდები და შეაჯამონ აქტივობა“.

***შენიშვნა: ეს აქტივობა შეესაბამება ასევე ნაბიჯ 2-ს, რომელიც მხატვრულ სახეებზე დაკვირვებას მოიცავს.***

**აქტივობა 4 – რუბრიკა „ლექსიკაზე მუშაობა“** – ამ რუბრიკით მოსწავლე ეძებს 5 სიტყვას, რომლებიც მნიშვნელოვანია ლექსის იდეის გაგებისთვის, ალაგებს მათ მნიშვნელოვნების მიხედვით და ხსნის თავის არჩევანს.

**აქტივობა 5 – საგანგებო სქემის მეშვეობით** მოსწავლე განიხილავს ლექსს „სულო ბოროტო“:

- ვის და რატომ მიმართავს ლირიკული გმირი?
- როგორ მიმართავს? როგორია ლირიკული გმირის ემოცია, დამოკიდებულება?
- ამოწერე და განმარტე ფრაზები, რომლებშიც ლირიკული გმირის დახასიათება ჩანს.
- რომელ ფერებს მიუსადაგებდი ამ ლექსს და რატომ?
- გადაიკითხე კიდევ ერთხელ ლექსი, შეურჩიე მუსიკა და ახსენი შენი არჩევანი.
- უპასუხე წარმოსახვით ლირიკულ გმირს ბოროტი სულის მაგიერ.
- ლექსთან დაკავშირებით დამატებით რაიმეს თქმის სურვილი ხომ არ გაგიჩნდა?

**ნაბიჯი 2 –**

- ორივე ნაწარმოების მხატვრული თავისებურებები კონკრეტული მაგალითების, ციტატების საშუალებით; (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)

**აქტივობა 6 – მწერლის ენაზე დაკვირვება** – ამ რუბრიკით მოსწავლე კიდევ ერთხელ მიუბრუნდება ორივე ლექსს, დააკვირდება, როგორ სიტყვებს, ფრაზებს იყენებს ავტორი მხატვრული სახეების შექმნისას.

**ნაბიჯი 3 –**

- შეგიძლია, გაავლო პარალელები ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასთან, გამოიყენო მისი პირადი წერილები; (კონტექსტი)

**აქტივობა 7 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ"** – ამ რუბრიკაში მოცემული მითითების მიხედვით, მოსწავლე მიუბრუნდება **რუბრიკას „გაიცანი ავტორი",** მწერლის ცხოვრებიდან საინტერესო მომენტებს და მათ შორის, ამონარიდებს მისი პირადი მიმოწერიდან, რაც დაეხმარება, კომპლექსურში ერთმანეთს დაუკავშიროს ლექსები და წერილები.

**აქტივობა 8** – ამავე თემას ეხება **რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის",** რომელშიც კიდევ ერთი ამონარიდია პოეტის წერილიდან – გვ. 31-32

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად დაგეხმარა ვიზუალური მასალის მოხმობა ლექსების თემისა და იდეის უკეთ გამოსახვაში?
- რა საერთო აღმოაჩინე მოცემული ლექსების ლირიკულ გმირებსა და მწერლის ბიოგრაფიას შორის?
- რამდენად საინტერესო აღმოჩნდა შენთვის ლექსებზე ამ კუთხით მუშაობა – ვიზუალური პრეზენტაციის გაკეთება?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N3 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ჟანრი<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>ენობრივი ფიგურები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები | **საკითხი** – ლიტერატურული ესეის, მკითხველის გამოხმაურების, დაწერა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების („სული ობოლი“ და შემოღამება მთაწმინდაზე“) მიხედვით.<br><br>**ქვესაკითხები** – ესეი და მისი სტრუქტურა, დასახელებული ლექსების თემა,<br>იდეა, ლირიკული გმირები, ტროპის სახეები.<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>● როგორ გამოვამჟღავნო ესეის სტრუქტურის ცოდნა?<br>● დავწერო მკითხველის გამოხმაურება კონკრეტული ლექსების მიხედვით?<br>● როგორ ამოვიკითხო ლექსის თემა და იდეა?<br>● როგორ წარმოვაჩინო ლირიკული გმირის ემოციები?<br>● როგორ, რა ფორმით გადმოვცე ჩემი შთაბეჭდილებები ნაწარმოებზე?<br>● როგორ გამოვიყენო ტროპის სახეების ცოდნა?<br>●<br>**კომპლექსური დავალება** – ლიტერატურული ესეი: მკითხველის გამოხმაურება პოეტს (ამ შემთხვევაში – ლირიკულ გმირსაც).<br>შესწავლილი ლექსების („სული ობოლი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“)<br>გათვალისწინებით დაწერე ლიტერატურული ესეი, რომელშიც თავს მოუყრი<br>შენს ფიქრებს, განცდებს, სათქმელს, ლექსებმა რომ აღძრა შენში. შეგიძლია,<br>თავად მწერალსაც მიმართო.<br>მსჯელობისას დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები. |

**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:

**1) ჟანრი**

(შედეგები: 1, 3, 7)

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.

2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად.

**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

(შედეგები: 1, 6, 7)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**შეფასების კრიტერიუმები – ნამუშევარში:**

- გამოკვეთე მთავარი თემები: სულიერი მარტოობა და ბუნება, როგორც მძიმე ფიქრთა განმქარვებელი; (კომპოზიცია)
- იმსჯელე ამ თემების აქტუალობასა და შენს დამოკიდებულებაზე; (კომპოზიცია)
- განიხილე, რა გზით, რომელი მხატვრული ხერხებით საუბრობს პოეტი
- ამ თემებზე; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- აღწერე შენი შთაბეჭდილებები და ემოციები, რომლებიც ლექსებმა აღძრა შენში (შეგიძლია, გამოიყენო მხატვრული ხერხებიც საკუთარი ემოციების გამოსახატავად); (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- იმსჯელე არგუმენტირებულად, დაიმოწმე ციტატები. (ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი)

**რესურსები:** ნიკოლოზ ბარათაშვილის „სული ობოლი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1**

- გამოკვეთე მთავარი თემები: სულიერი მარტოობა და ბუნება, როგორც მძიმე ფიქრთა განმქარვებელი; (კომპოზიცია)
- იმსჯელე ამ თემების აქტუალობასა და შენს დამოკიდებულებაზე; (კომპოზიცია)
- აღწერე შენი შთაბეჭდილებები და ემოციები, რომლებიც ლექსებმა აღძრა შენში (შეგიძლია, გამოიყენო მხატვრული ხერხებიც საკუთარი ემოციების გამოსახატავად); (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 1 – რუბრიკები „ტექსტის წაკითხვამდე“ (ორივე ლექსზე)** – პირველ რუბრიკაში მოსწავლე წაიკითხავს ნიკოლოზ ბარათაშვილის კიდევ ერთ პირად წერილს, მოიკითხავს პოეტის ემოციებს. ეს დაეხმარება იმაში, რომ შემდეგ შეადაროს ლირიკული გმირის ემოციებს, გაავლოს პარალელი მანამდე შესწავლილ ლექსებთანაც.მეორე რუბრიკაში რომანტიკოსი მხატვრის გასპარ დევიდ ფრიდრიხის ნახატის საშუალებით, კიდევ ერთხელ მიუბრუნდება ადამიანის  განმარტოებისა და ბუნებასთან თანაზიარობის თემას რომანტიზმში.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 42, გვ. 47

**აქტივობა 3 – რუბრიკები „კრიტიკული აზროვნებისთვის“** – ორივე რუბრიკის საშუალებით მოსწავლე დაფიქრდება ლექსებში ასახული თემების (სულიერი მარტოობა  და ბუნება) აქტუალობასა და სიმწვავეზე. ასევე გაიხსენებს ნიკოლოზ ბარათაშვილის კიდევ ერთ ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“, რომელიც საბაზო საფეხურზე შეისწავლა. კომპლექსურ დავალებაში ნახსენები თემები ამ ლექსშიც ვლინდება.

**აქტივობა 4 – ლირიკული გმირის ანტიპოდის შექმნა (ჯგუფური სამუშაო)** – ამ აქტივობით მოსწავლეები დააკვირდე როგორც ლირიკული გმირის განცდებსა და დამოკიდებულებებს, ასევე – თავად ლექსის ფორმა, რითმისა რაგვარობასა და რიტმს. (იხილეთ მასწ. წიგნში საკითხი – რითმების სახეობები)

**ნაბიჯი 2 –**

- განიხილე, რა გზით, რომელი მხატვრული ხერხებით საუბრობს პოეტი ამ თემებზე; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 5 – რუბრიკა ლექსიკაზე მუშაობა („შემოღამება მთაწმინდაზე“)** – ამ რუბრიკაში ყურადღება გამახვილებულია რიტორიკულ მიმართვაზე, რომელიც ასე მრავლად გვხვდება ლექსში და მათზე დაფიქრება მოსწავლეს დაეხმარება, უკეთ გაიაზროს ლექსის თემა და იდეა.

**აქტივობა 6 – ტროპის სახეებზე მუშაობა** – ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეების გაიხსენებენ ტროპის კონკრეტულ სახეებს და იმსჯელებენ მათ ფუნქციაზე ლექსებში. (შენიშვნა: ეს აქტივობა მოცემულია ცოტა ქვემოთ (გვ. 50), მაგრამ ემსახურება ამ ნაბიჯში მოქცეული თემის გააქტიურებას.)

**ნაბიჯი 3 –**

- იმსჯელე არგუმენტირებულად, დაიმოწმე ციტატები. (ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 7 – თეორია „ბუნება რომანტიკოსთა შემოქმედებაში“** – ეს აქტივობა კიდევ ერთხელ მიაპყრობინებს მოსწავლეს ყურადღებას ძირითად თემაზე და ამავე დროს არის გარდამავალი საფეხური შემდეგ აქტივობაზე, რომელიც არგუმენტირებულ მსჯელობას უკავშირდება.

**აქტივობა 8 – არგუმენტირებული მსჯელობა** – ლიტერატურული კრიტიკიდან ამოღებული ფრაგმენტის მიხედვით, მოსწავლემ უნდა იმსჯელოს, რამდენად იზიარებს ლიტერატორთა შეხედულებას და დაასაბუთოს თავისი შეხედულება არგუმენტირებულად.

**აქტივობა 9 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** მოსწავლეებს დაეხმარება, კიდევ ერთხელ გაიხსენონ ესეის ჟანრობრივი, სტრუქტურული მახასიათებლები და განსხვავება სხვადასხვა სახის ესეებს შორის.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ თვლი, რომ შენი ნამუშევარი ლიტერატურული ესეია?
- რამდენად რთული აღმოჩნდა შენთვის, ერთი მხრივ, ლირიკული გმირის ემოციებზე წერა და, მეორე მხრივ, საკუთარი შთაბეჭდილებების გადმოცემა წერილობით?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N4 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები** –<br>1)კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>2) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br>**ქვეცნებები** –<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი** – ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის გამოყენებით მწერლის ჩეტბოტისთვის საჭირო მასალების შექმნა.<br><br>**ქვესაკითხები** – ლექსების თემა და იდეა;<br>ნ. ბარათაშვილის გამოცდილება (ცხოვრებისეული და სულიერი) – ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალები, სოციოკულტურული გარემო;ფასეულობები, დამოკიდებულებები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ ჩამოვაყალიბო კითხვები პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე დაყრდნობით?<br>• როგორ ჩამოვაყალიბო პასუხები პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გათვალისწინებით?<br>• როგორ დავიმოწმო ციტატები შესაფერის კონტექსტში?<br>•<br>**კომპლექსური დავალება: ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩეტბოტი**<br>წარმოიდგინე, რომ კლასელებთან ერთად მოხვდი სამუშაო ჯგუფში, რომელმაც<br>უნდა შექმნას ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩეტბოტი*.<br>თქვენი მიზანია, მოამზადოთ იმ კითხვების ერთგვარი ბანკი, რომლებიც თქვენ, ბარათაშვილის შემოქმედების მკითხველებს, გიჩნდებათ/გაგიჩნდებოდათ ვირტუალური ჩეტბოტის გამოყენებისას.<br>ასევე, უნდა მოიფიქროთ სავარაუდო პასუხებიც, რომლებიც სახელმძღვანელოში თავმოყრილ ბიოგრაფიულ მასალასა და შესწავლილ ლექსებს დაეყრდნობა. |

| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები | შეფასების კრიტერიუმები: |
|---|---|
| მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br>გასააზრებლად, ნიუანსების ალმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**2) კონტექსტი**<br>(შედეგები: 1, 4)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | ჩეტბოტი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br>• მას უნდა ჰქონდეს კითხვა-პასუხის ფორმა (შესაძლოა, პასუხის რამდენიმე ვარიანტით); (კომპოზიცია)<br>• პასუხები შეადგინეთ მწერლის ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ციტატებით ან ბიოგრაფიულ პასაჟებზე დაყრდნობით; (კომპოზიცია, კონტექსტი)<br>• კითხვები ჩამოაყალიბეთ ისე, რომ გულისხმობდეს მწერლის ბიოგრაფიის, შემოქმედებისა და ეპოქის კონტექსტის ცოდნას. (კონტექსტი) |

**რესურსები:** ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია და სახელმძღვანელოში შესული ყველა ლექსი.

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

*შენიშვნა: ეს კომპლექსური დავალება, ფაქტობრივად, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შემაჯამებელია. პოეტის ჩეტბოტისთვის მზადება პოეტის ბიოგრაფიისა და უკვე შესწავლილი ნაწარმოებების კარგად დამუშავებას გულისხმობს. რადგან მოსწავლეებს უკვე შესრულებული აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება და მათთან დაკავშირებული არაერთი აქტივობა, ამ მატრიცაში შევა მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც თავში შემავალ ბოლო და ძალიან მნიშვნელოვან ლექსს, „მერანს“, უკავშირდება.*

**ნაბიჯი 1 –**

- მას უნდა ჰქონდეს კითხვა-პასუხის ფორმა (შესაძლოა, პასუხის რამდენიმე ვარიანტით); (კომპოზიცია)
- პასუხები შეადგინეთ მწერლის ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ციტატებით ან ბიოგრაფიულ პასაჟებზე დაყრდნობით; (კომპოზიცია, კონტექსტი)
- კითხვები ჩამოაყალიბეთ ისე, რომ გულისხმობდეს მწერლის ბიოგრაფიის, შემოქმედებისა და ეპოქის კონტექსტის ცოდნას. (კონტექსტი)

**აქტივობა** 1 – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 57

**აქტივობა 2 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** – ამ რუბრიკაში მოხმობილია კრიტიკოს გურამ ასათიანის სიტყვები, რომლებზეც დაფიქრება და მსჯელობა მოსწავლეს გაუადვილებს ლექსის იდეის გააზრებას.

**აქტივობა 3** – კრიტიკული წერილის გაცნობა (ჯგუფური მუშაობა) – მოსწავლეები წაიკითხავენ რევაზ სირაძის კრიტიკულ წერილს, რომელშიც განხილულია ლექსის ორი მთავარი სიმბოლო: მერანი და ყორანი. ამ წერილის დამუშავება მოსწავლეს დაეხმარება, დაფიქრდეს როგორც ლექსის თემასა და იდეაზე, ასევე – მის მხატვრულ მხარეზე.

**აქტივობა 4 – მხატვრული ხერხები და მათი ფუნქცია** – მუშაობა კონკრეტულ მხატვრულ სახეებზე.

**აქტივობა 5 – ლიტერატურული პარალელი** – ამ აქტივობაში მოსწავლეები გაეცნობიან ნაწყვეტს ადამ მიცკევიჩის ცნობილი ლექსიდან, გაეცნობიან კრიტიკოსთა განსხვავებულ შეხედულებებს და გაავლებენ პარალელს „მერანთან“.

**აქტივობა 6 – კითხვების საშუალებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შეჯამება (ჯგუფური სამუშაო)** – ეს აქტივობა უშუალოდ კომპლექსური დავალების განსხვავებული ფორმატისთვის ამზადებს მოსწავლეებს. მათ ევალებათ, მოიფიქრონ შეკითხვები შესწავლილ ლექსებზე, ხოლო შემდეგ უპასუხონ ერთმანეთის კითხვებს.

**აქტივობა 7 – რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერი“ – როდის დაიწერა მერანი?** – ამ რუბრიკაში მოსწავლე გაეცნობა იმ რეალობა, რამაც ლექსი „მერანი“ დააწერინა პოეტს. გაავლებს პარალელს ლირიკულ გმირსა და მის პროტოტიპს, ილია ორბელიანს, შორის.

**აქტივობა 8 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** – ამ რუბრიკაში მოსწავლეები გაეცნობიან ჩეტბოტის სპეციფიკას კონკრეტულ მაგალითზე. ასევე სტრატეგიებს დავალებაზე სამუშაოდ.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ ფორმით მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შეჯამება?
- რამდენად საინტერესო იყო ჩეტბოტის კონკრეტული მაგალითის და მომზადების სტრატეგიების გაცნობა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

# II თავი – მამულის თანამდევი, უკვდავი სული

მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქედან

**საგანი:** ქართული ენა და ლიტერატურა
**ძირითადი რესურსი:** „ქართული“, XI კლასი, II თავი, მამულის თანამდევი, უკვდავი სული
**კლასი:** XI

## ქართული ენა და ლიტერატურა
## საშუალო საფეხური

**თემა:** სამშობლო
**თემაში გამოყენებული ტექსტები:**

1. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია
2. „მგზავრის წერილები“ – ილია ჭავჭავაძე
3. „კაცია-ადამიანი“ – ილია ჭავჭავაძე
4. „ოთარაანთ ქვრივი“ – ილია ჭავჭავაძე
5. „ჩემო კალამო“ – ილია ჭავჭავაძე
6. „ბედნიერი ერი“ – ილია ჭავჭავაძე
7. „ ჩემო კარგი ქვეყანავ“ – ილია ჭავჭავაძე
8. პუბლიცისტური წერილები: „ზოგიერთი რამ“, „ქალთა სასწავლებელი“, „მაჰმადიანთ გაქრისტიანება“ (ამონარიდები) – ილია ჭავჭავაძე
9. „არაფრობის უარყოფა“ – აკაკი ბაქრაძე
10. „საქმით მეტყველი სული“ – აკაკი ბაქრაძე
11. „მოგზაურობა კახეთში 1855 წ.“ – აკა მორჩილაძე
12. „ულირსი დედაბერი“ – ბერტოლტ ბრეხტი

| საკითხები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები** | **საკითხი 1.** სტატიის დაწერა პერსონაჟთა მეტყველების მნიშვნელობაზე ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ მიხედვით. | **საკითხი 2.** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ წამოჭრილი პრობლემების მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა. | **საკითხი 3.** ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ მიხედვით ღია წერილის დაწერა – მკითხველის მიმართვა ავტორს. | **საკითხი 4.** ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ მიხედვით, ერთწუთიანი მონოლოგის მომზადება პრობლემაზე, რომელიც ნაწარმოებში აისახა. | **საკითხი 5.** ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით გლეხკაცის მონოლოგის დაწერა | **საკითხი 6.** მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით, არამთავარი პერსონაჟის, სოსია მეწისქვილის, დახასიათების დაწერა. | **საკითხი 7.** ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების გათვალისწინებით მწერლის წარმოსახვითი საკონკურსო აპლიკაციის შევსება – მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შეჯამება |
| **ჟანრი ქვეცნება:** არამხატვრული ჟანრი არამხატვრული ჟანრი | **ქვესაკითხი:** სტატია და მისი სტრუქტურა | **ქვესაკითხი:** ანალიტიკური ესეი და მისი სტრუქტურა | **ქვესაკითხი:** ღია წერილი და მისი სტრუქტურა | | | **ქვესაკითხი:** დახასიათებითი ესეი და მისი სტრუქტურა. | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **კომპოზიცია ქვეცნება:** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები ორგანიზაციული ყალიბი | **ქვესაკითხები:** „მგზავრის წერილებში“ – პერსონაჟები, მათი თვისებები და დამოკიდებულებები; რუსი ოფიცრისა და ლელთ ღუნიას მეტყველება; | **ქვესაკითხები:** „მგზავრის წერილებში“ წამოჭრილი პრობლემები, ნაწარმოების თემა და იდეა, | **ქვესაკითხები:** „მგზავრის წერილებში“ წამოჭრილი პრობლემები, ნაწარმოების თემა და იდეა, | **ქვესაკითხები:** „მგზავრის წერილებში“ წამოჭრილი პრობლემები, ნაწარმოების თემა და იდეა, მონოლოგი. | **ქვესაკითხები:** მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ თემა და იდეა,პერსონაჟები, მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები, | **ქვესაკითხები:** მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ თემა და იდეა, მთავარი და არამთავარი პერსონაჟები, მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები, | **ქვესაკითხები:** ნაწარმოების თემა და იდეა; |
| **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ქვეცნება:** რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები | **ქვესაკითხები:** დიალექტი, ფრაზეოლოგიზმები, ტროპის სახეები. | **ქვესაკითხები:** თეზისი, არგუმენტები, მაგალითები, ციტატები. | **ქვესაკითხები:** არგუმენტები, მაგალითები, ციტატები. | **ქვესაკითხები:** არგუმენტები, მაგალითები, ციტატები. | **ქვესაკითხები:** არგუმენტები და კონტრარგუმენტები, მაგალითები. | **ქვესაკითხები:** არგუმენტები და კონტრარგუმენტები, მაგალითები. | |
| **კონტექსტი ქვეცნებები:** კონტექსტური ფაქტორები | | **ქვესაკითხები:** „მგზავრის წერილების“ შექმნის ეპოქა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალიები; | | **ქვესაკითხები:** „კაცია-ადამიანის“ შექმნის ეპოქა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალიები; | | | **ქვესაკითხები:** ილია ჭავჭავაძის გამოცდილება (ცხოვრებისეული და სულიერი) – ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალები, სოციოკულტურული გარემო;-ფასეულობები, დამოკიდებულებები. |
| | **კომპლექსური დავალება 1.** სტატია ლიტერატურული გაზეთისთვის ესეი | **კომპლექსური დავალება 2.** ანალიტიკური ესეი ცია – ორი ლექსის შედარება | **კომპლექსური დავალება 3.** ღია წერილის – მკითხველის მიმართვა ავტორს. | **კომპლექსური დავალება 4.** მონოლოგი ბარათაშვილის ჩეტბოტი | **კომპლექსური დავალება** გლეხკაცის მონოლოგი | **კომპლექსური დავალება** დახასიათებითი ესეი | **კომპლექსური დავალება** საკონკურსო აპლიკაცია – მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შეჯამება |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ლიტერატურა<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები<br>ენობრივი ფიგურები<br>ლექსიკა, სტილი | **საკითხი** – სტატიის დაწერა პერსონაჟთა მეტყველების მნიშვნელობაზე ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ მიხედვით.<br><br>**ქვესაკითხები** – სტატია და მისი სტრუქტურა, „მგზავრის წერილებში“ – პერსონაჟები, მათი თვისებები და დამოკიდებულებები; რუსი ოფიცრისა და ლელთ ღუნიას მეტყველება, დიალექტი, ფრაზეოლოგიზმები, ტროპის სახეები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები** – როგორ დავწერო სტატია?<br>როგორ, რა კუთხით დავაკვირდე პერსონაჟის მეტყველებას, რათა გავაანალიზო, რაზე მიგვანიშნებს ესა თუ ის თავისებურებები?<br><br>**კომპლექსური დავალება – სტატია**<br>დაწერე სტატია ლიტერატურული გაზეთისთვის, რომელშიც ისაუბრებ პერსონაჟის მეტყველების მნიშვნელობაზე და განიხილავ ამ საკითხს „მგზავრის წერილების“ პერსონაჟების, რუსი ოფიცრისა და ლელთ ღუნიას, მაგალითზე.<br>გაითვალისწინე მართლწერისა და პუნქტუაციის წესები. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1.ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2.ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>**ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:**<br>• დაახასიათე რუსი ოფიცერი და ლელთ ღუნია; ძირითად ნაწილში მიმოიხილე ორივე პერსონაჟის მეტყველების მახასიათებლები და მათი ფუნქცია ახსენი არგუმენტირებულად. დაიმოწმე ციტატები; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• ახსენი, როგორ გვეხმარება პერსონაჟის ენაზე დაკვირვება ტექსტის გაგებაში; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• შეარჩიე წერილისთვის ეფექტური/საინტერესო სათაური, დაიცავი სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; (ჟანრი) |

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ამოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსი:** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- დაახასიათე რუსი ოფიცერი და ლელთ ღუნია; ძირითად ნაწილში მიმოიხილე ორივე პერსონაჟის

  მეტყველების მახასიათებლები და მათი ფუნქცია ახსენი არგუმენტირებულად. დაიმოწმე ციტატები; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- ახსენი, როგორ გვეხმარება პერსონაჟის ენაზე დაკვირვება ტექსტის გაგებაში; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 1– რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“ და თანდართული თეორია „მოგზაურის ჩანაწერები“** – ამ რუბრიკების დამუშავება მოსწავლეს დააფიქრებს ნაწარმოების ჟანრობრივ თავისებურებებზე, რომლებიც შემდეგ დაეხმარება, უკეთ გაიაზროს ნაწარმოების თემა და იდეა, დააკვირდეს პერსონაჟებს;

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში **„ტექსტის გააზრებისთვის“** – გვ. 94, გვ. 108

**აქტივობა 3 – ლიტ.თეორია „რეალიზმი“** – ამ რუბრიკაში მოსწავლეები გაეცნობიან მათთვის ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის, რეალიზმის, თავისებურებებს, რაც დაეხმარებათ, უკეთ გაანალიზონ ტექსტი, მასში ასახული პრობლემები თუ პერსონაჟები.

**აქტივობა 4 – რუბრიკა „ლექსიკაზე მუშაობა“** (გვ. 109) – ამ რუბრიკის საშუალებით მოსწავლეები დააკვირდებიან და გაანალიზებენ რუსი ოფიცრის მეტყველების იმ თავისებურებებს, რომლებითაც გამოირჩევა ეს პერსონაჟი.

**აქტივობა 5 – პერსონაჟის მეტყველება: ფორმა და შინაარსი** – ამ აქტივობაში მოსწავლეები მუშაობენ ორი ძირითადი შეკითხვის მიხედვით:

- რა წარმოდგენას გიქმნის პერსონაჟზე მისი მეტყველების მანერა, ფორმა?
- რას გეუბნება რუს ოფიცერსა და მის დამოკიდებულებაზე სხვა ეროვნების ხალხის (კონკრეტულად, ქართველებისა და სომხების) მიმართ მისი მონოლოგი?

კონკრეტული ამონარიდის დამუშავების შემდეგ მათ უნდა შექმნან პერსონაჟის პორტრეტი: თვისებები, დამოკიდებულებები, ღირებულებები.

**აქტივობა 6 – რუბრიკა „ლექსიკაზე მუშაობა“** (გვ. 127) – ამ რუბრიკაში მოსწავლეები აკვირდებიან ლელთ ღუნიას მეტყველებას, მის დიალექტს, საუბარში გამოყენებული ცალკეული სიტყვების მნიშვნელობებს და ეძებენ ლიტერატურულ ქართულში შესატყვისებს.

ასევე განიხილავენ ფრაზეოლოგიზმებს, მათ მნიშვნელობასა და ადგილს ტექსტში.

**აქტივობა 7 – პერსონაჟთა პორტრეტების შეპირისპირება** – ამ აქტივობის დახმარებით მოსწავლეები ერთმანეთს შეუპირისპირებენ ორ პერსონაჟს, რუს მეეტლესა და ლელთ ღუნიას, რათა გამოკვეთონ მწერლის მიზანი (რატომ შემოჰყავს და ახასიათებს ასეთი ფორმით ამ პერსონაჟებს) და აღწერონ თავიანთი შთაბეჭდილებები ამ პერსონაჟებზე.

**აქტივობა 8 – ორი პერსონაჟის დახასიათება ცხრილის მიხედვით** – ამჯერად მოსწავლეები შეუპირისპირებენ ერთმანეთს მგზავრსა და ლელთ ღუნიას, რათა უკეთ დაინახონ, რა საერთო ღირებულებები, შეხედულებები აქვთ მათ და რომ მათი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე ემთხვევა თავად მწერლის პოზიციას.

(დამატებით იხილეთ მასწავლებლის წიგნში თეორიული მასალა: დიალექტი და დიალექტიზმი )

**ნაბიჯი 2 –**

- შეარჩიე წერილისთვის ეფექტური/საინტერესო სათაური, დაიცავი სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; (ჟანრი)

მასწავლებლის წიგნში მოცემულია მასალა სტატიის სპეციფიკასა და მისი დაწერის სტრატეგიებზე, რომლებიც მოსწავლეებისთვის ცნობილია წინა კლასებიდან. კომპლექსური დავალების დაწერამდე ეს მასალა უნდა გაახსენოთ.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი სტატიაა? რომელ ჟანრობრივ მახასიათებლებს გამოყოფდი?
- რამდენად დაგეხმარა პერსონაჟების მეტყველებაზე დაკვირვება მთლიანი ნაწარმოების უკეთ გაგებაში? პასუხი დაასაბუთე.
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

<table>
<tr><th>გრძელვადიანი მიზანი</th><th>შუალედური სასწავლო მიზანი N2</th></tr>
<tr><td>

**სამიზნე ცნებები –**

1) ჟანრი

(შედეგები: 1, 3, 7)

2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

(შედეგები: 1, 6, 7)

4) კონტექსტი

(შედეგები: 1, 4)

**ქვეცნებები –**

არამხატვრული ჟანრი

კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები

რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხ-ები

კონტექსტური ფაქტორები

</td><td>

**საკითხი** – ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ წამოჭრილი პრობლემების მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა.

**ქვესაკითხები** – ანალიტიკური ესეი და მისი სტრუქ-ტურა, „მგზავრის წერილებში“ წამოჭრილი პრობლე-მები, ნაწარმოების თემა და იდეა, თეზისი, არგუმენ-ტები, მაგალითები, ციტატები.

„მგზავრის წერილების“ შექმნის ეპოქა, საზოგადოე-ბრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალი-ები;

**საკვანძო შეკითხვები:**

როგორ გამოვიყენო ესეის ჟანრობრივი მახასიათე-ბლების ცოდნა?

როგორ წარმოვაჩინო მთავარი პრობლემა არგუმენ-ტირებულად?

როგორ ვიმსჯელო მაგალითებისა და ციტატების გამოყენებით?

**კომპლექსური დავალება – ანალიტიკური ესეი**

„მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას შეეხო. ესენია:

- სტუდენტური წლების მნიშვნელობა ახალგაზრ-და ადამიანისთვის;
- დროებით ემიგრანტად წასული ადამიანისა და ქვეყნის ურთიერთობა;
- მოძრაობა, ქმედება როგორც ადამიანის, ისე ქვეყნის სრულფასოვანი ცხოვრების განმსაზ-ღვრელი.
- ქვეყნის თავისუფლების მნიშვნელობა რიგითი მოქალაქისთვის;

აირჩიე ერთ-ერთი მათგანი და დაწერე ანალიტიკუ-რი ესეი. წერისას დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

</td></tr>
<tr><td>

**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:

**1) ჟანრი**

(შედეგები: 1, 3, 7)

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრო-ბრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენო-ბრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაცი-ული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.

2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად.

</td><td>

**შეფასების კრიტერიუმები**

**ნამუშევარში წარმოაჩინე:**

- რატომ აირჩიე ეს პრობლემა; (კომპოზიცია, ენო-ბრივ-გამომსახველობითი)
- როგორაა ეს პრობლემა ასახული ნაწარმოებში; (კონტექსტი,კომპოზიცია)
- შესაბამისი არგუმენტები და ციტატები ტექს-ტიდან; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველო-ბითი)
- პრობლემის აქტუალობა თანამედროვე ცხოვრე-ბაში. (კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი)
- ესეის სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. (ჟანრი)

</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**4) კონტექსტი**<br>(შედეგები: 1, 4)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსი:** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- რატომ აირჩიე ეს პრობლემა; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- როგორაა ეს პრობლემა ასახული ნაწარმოებში;(კონტექსტი,კომპოზიცია)
- შესაბამისი არგუმენტები და ციტატები ტექსტიდან; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 1– რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“ და თანდართული თეორია „მოგზაურის ჩანაწერები“** – ამ რუბრიკების დამუშავება მოსწავლეს დააფიქრებს ნაწარმოების ჟანრობრივ თავისებურებებზე, რომლებიც შემდეგ დაეხმარება, უკეთ გაიაზროს ნაწარმოების თემა და იდეა, დააკვირდეს პერსონაჟებს;

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში **„ტექსტის გააზრებისთვის“** – გვ. 114, გვ. 125

**აქტივობა 3 – ლიტ.თეორია „რეალიზმი“** – ამ რუბრიკაში მოსწავლეები გაეცნობიან მათთვის ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის, რეალიზმის, თავისებურებებს, რაც დაეხმარებათ, უკეთ გაანალიზონ ტექსტი, მასში ასახული პრობლემები თუ პერსონაჟები.

**აქტივობა 4 – რუბრიკები „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 109, 114, 126 – ამ რუბრიკებში ხაზგასმულია ის აქტუალური საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ნაწარმოებში წამოჭრილი ამა თუ იმ პრობლემის უკეთ გააზრებისთვის, მასზე მსჯელობისთვის.

**აქტივობა 5 – შეპირისპირებულ სიმბოლოთა ანალიზი სქემის დახმარებით** – ქვემოთ მოცემული სქემის საშუალებით მოსწავლეები დააკვირდებიან „მგზავრის წერილებში“ მოცემულ ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლურ წყვილებს, მათზე საუბარი და ბოლომდე გაცნობიერება მოსწავლეს ეხმარება, ადვილად გაიაზროს ნაწარმოების იდეა.

| | დღე | ღამე | მყინვარი | თერგი |
|---|---|---|---|---|
| როგორ აღწერს მწერალი თითოეულ სახე-სიმბოლოს? (გადმოეცი შენი სიტყვებით) | | | | |
| რა სიმბოლური დატვირთვა აქვს თითოეულს? | | | | |
| როგორია ილიას დამოკიდებულება? | | | | |
| ჩემი დამოკიდებულება/შეფასება (ეთანხმები თუ არა ილიას? რატომ?) | | | | |

ამ აქტივობას მოჰყვება რუბრიკა ლიტერატურის თეორია „ანტითეზა“, რომელიც იმავე საკითხს უკავშირდება.

**აქტივობა 6 – ორი პერსონაჟის დახასიათება ცხრილის მიხედვით** – ამჯერად მოსწავლეები შეუპირისპირებენ ერთმანეთს მგზავრსა და ლელთ ღუნიას, რათა უკეთ დაინახონ, რა საერთო ღირებულებები, შეხედულებები აქვთ მათ და რომ მათი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე ემთხვევა თავად მწერლის პოზიციას.

**ნაბიჯი 2 –**

- პრობლემის აქტუალობა თანამედროვე ცხოვრებაში.(კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 7 – ნაწარმოებში აღწერილი ეპოქა** – ამ აქტივობის დახმარებით მოსწავლე დააკვირდება ნაწარმოების შექმნის ეპოქას, დაახარისხებს იმ პრობლემებს, რომლებიც ამ პერიოდის საქართველოში გამოიკვეთა და ისაუბრებს მათ აქტუალობაზე.

**აქტივობა 8 – რუბრიკა „ გაიფართოვე თვალსაწიერი“ – საქართველოს ხალხის მემორანდუმი** – ამ რუბრიკაში მოსწავლეები გაეცნობიან ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ის პრობლემები, რომელთა წინაშეც XIX საუკუნის საქართველო იდგა. ისინი წაიკითხავენ და ამოწერენ პუნქტებად ამ პრობლემებს. მერე კი შეადარებენ ლელთ ღუნიას მონოლოგს.

**ნაბიჯი 3 –**

- ესეის სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. (ჟანრი)

ანალიტიკური ესეი მოსწავლეებისთვის უკვე საკმაოდ ნაცნობი არამხატვრული ჟანრია. წინა თავში მათ უკვე დაწერეს ამ სახეობის ესეი, ამიტომ სტრუქტურასა და სტრატეგიებზე მუშაობისას შეუძლიათ, გამოიყენონ სახელმძღვანელოს პირველ თავში მოცემული, პირველივე კომპლექსურის შემდეგ მოცემული რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“. ასევე, შეუძლიათ, კიდევ ერთხელ გადახედონ ენის ნაწილში პარაგრაფს „რიტორიკის ელემენტები“ – გვ. 68

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ თვლი, რომ შენი ნამუშევარი ანალიტიკური ესეია?
- რომელი პრობლემები აღმოჩნდა შენთვის ყველაზე აქტუალური?
- რამდენად დაგეხმარა აქტივობები, უკეთ ჩაღრმავებოდი პრობლემებს?
- რამდენად რთული იყო შენთვის ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემების აქტუალობის განსაზღვრა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N3 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ლიტერატურა<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები | **საკითხი** – ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ მიხედვით ღია წერილის დაწერა – მკითხველის მიმართვა ავტორს.<br><br>**ქვესაკითხები** – ღია წერილი და მისი მახასიათებლები, „კაცია-ადამიანის“ თემა, იდეა, ავტორის პოზიცია, არგუმენტები და მაგალითები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>როგორ გამოვიყენო ღია წერილის მახასიათებლების ცოდნა?<br>როგორ გავითვალისწინო ავტორის პოზიცია ღია წერილის წერისას?<br>როგორ წარმოვაჩინო ჩემი, როგორც მკითხველის, პოზიცია?<br><br>**კომპლექსური დავალება – ღია წერილი ავტორს**<br>კითხვებითა და აქტივობებით შენ კარგად დაინახე, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „კაცია-ადამიანში“ მკითხველისადმი მიმართვას.<br>მწერალი სხვადასხვა მიზნით უშუალოდ ესაუბრება მკითხველს.<br>წარმოიდგინე, რომ შეგიძლია, ხმა მიაწვდინო მწერალს და მისწერე პასუხი ილიას. ნაშრომს მიეცი საჯარო, ღია წერილის ფორმა. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები**<br>**ნამუშევარში:**<br>• წარმოაჩინე ყველა ის საკითხი, რომლებიც უშუალოდ მკითხველთან<br>• მიმართვისას გამოიკვეთა; (კომპოზიცია)<br>• განიხილე, როგორია ავტორის პოზიცია; (კომპოზიცია)<br>• გამოკვეთე საკუთარი პოზიციაც და დაასაბუთე; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• გაითვალისწინე ღია წერილის მახასიათებლები. (ჟანრი) |

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსი:** ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**აქტივობა 1** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 134, 138 გვ. 146.

შენიშვნა: „კაცია ადამიანში“ გვხვდება პერსონაჟთა ქსენოფობიური განცხადებები და ძალადობის გამართლება კონკრეტული კუთხით. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა დასვას კრიტიკული შეკითხვები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

**ნაბიჯი 1**

- წარმოაჩინე ყველა ის საკითხი, რომლებიც უშუალოდ მკითხველთან მიმართვისას გამოიკვეთა; (კომპოზიცია)
- განიხილე, როგორია ავტორის პოზიცია; (კომპოზიცია)

**აქტივობა 2 – ლიტ.თეორია – ეპიგრაფი** – ამ რუბრიკაში მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულად გაიხსენებენ, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ნაწარმოებისთვის ეპიგრაფს, არამედ დაფიქრდებიან კონკრეტული ნაწარმოების დასაწყისზე, განმარტავენ ეპიგრაფს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მოთხრობის იდეას.

**აქტივობა 3 – პერსონაჟის შეხედულებები** – ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები თავს მოუყრიან ლუარსაბის შეხედულებებს სქემაში, დაურთავენ თავიანთ კომენტარებს (როგორ ესმით ესა თუ ის ნათქვამი? რამდენად იზიარებენ?) და ასევე მოიფიქრებენ კითხვებს, რომლებიც პერსონაჟს დაუსვამდნენ. ეს აქტივობა დაეხმარებათ, წარმოიდგინონ პერსონაჟი თანამოსაუბრედ, რაც გაუადვილებთ შემდგომ მწერალს მისწერონ ღია წერილი წარმოსახვითვე.

**აქტივობა 4 – ლიტ.თეორია „ავტორის ხმა“** – ამ რუბრიკით მოსწავლეები დააკვირდებიან რა ფუნქცია აქვს ნაწარმოებში „ავტორის ხმას“ და როგორ ეხმარება ის მკითხველს ნაწარმოების თემისა და იდეის გაგებაში.

**აქტივობა 5 – აქტივობა „მკითხველის პასუხი“** – ეს აქტივობა არის უშუალო შესავალი კომპლექსური დავალებისთვის, რადგან აღებულია ერთი კონკრეტული მონაკვეთი, რომელზეც მოსწავლემ, როგორც მკითხველმა, უნდა უპასუხოს ავტორს.

**აქტივობა 6 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 197 – ამ რუბრიკაში წარმოდგენილია მოთხრობა „კაცია ადამიანიდან“ ამონარიდი, რომელიც მოიცავს ავტორის მიმართვას პერსონაჟისადმი. მასში ცხადად ჩანს მწერლის პოზიცია. მოსწავლეებმა პარალელი უნდა გაავლონ „მგზავრის წერილებთან“, რომელშიც იგივე პრობლემაა (მოქმედების, მოძრაობის მნიშვნელოვნება) წარმოჩენილი.

**აქტივობა 7 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 226 – ამ რუბრიკის საშუალებით, ერთი მხრივ, მოსწავლეებმა შეაჯამებენ და იმსჯელებენ ნაწარმოებში ასახულ პრობლემებზე, მეორე მხრივ, დააკვირდებიან, რამდენად აქტუალურია XIX საუკუნეში არსებული პრობლემები თანამედროვე საზოგადოებისთვის. ასევე, იმსჯელებენ, რამდენად შთამბეჭდავი იყო მათთვის, როგორც მკითხველებისთვის, როცა მწერალი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ მიმართავდა.

**აქტივობა 8 – ნაწარმოების თემა, იდეა, კონტექსტი** – სათაური უკვე მოიცავს იმ ძირითად ასპექტებს, რომლებსაც ამ აქტივობის ფარგლებში დაამუშავებენ მოსწავლეები. კიდევ ერთხელ ისაუბრებენ ნაწარმოებში ასახულ პრობლემათა აქტუალობაზე XXI საუკუნეში.

**აქტივობა 9 – კრიტიკული წერილის ანალიზი** – აკაკი ბაქრაძის წერილის, „არაფრობის უარყოფის“, მიხედვით მოსწავლეები კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან ნაწარმოებში ასახულ პრობლემებზე და ეცდებიან, ამ პრობლემის მიმართ თავიანთი ხედვაც ჩამოუყალიბდეთ, იფიქრონ მათი გადაჭრის გზებზე.

**აქტივობა 10 – ნაწარმოებში წარმოჩენილი პრობლემების აქტუალობაზე დაკვირვება** – ეს აქტივობა გულისხმობს მოთხრობაში ასახული პრობლემების XXI საუკუნესთან მიმართებით დანახვას და გაანალიზებას. ამ სავარჯიშოს მოსდევს ასევე **რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერი“,** რომელიც იმ საკითხს ეხება, თუ როგორ აისახა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში: მხატვრობაში, კინოსა და თეატრში. მონაცემთა სიმრავლე მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ნაწარმოებში ასახული თემები აქტუალობას კვლავაც არ კარგავს.

**ნაბიჯი 2 –**

- გამოკვეთე საკუთარი პოზიციაც და დაასაბუთე; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- გაითვალისწინე ღია წერილის მახასიათებლები. (ჟანრი)

**აქტივობა 11** – სანამ უშუალოდ წერილის წერას შეუდგებოდნენ მოსწავლეები, ჯერ კლასში განიხილეთ ღია წერილის ნიმუში, რომელიც სახელმძღვანელოშივეა მოცემული:

https://bit.ly/3IviC7K

ღია წერილის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ შეკითხვებზე:

- ვინ არის წერილის ადრესატი და ადრესანტი?
- რა მიზნით აქვეყნებს ავტორი ღია წერილს?
- როგორია წერილის ფორმატი? რით განსხვავდება პირადი წერილისაგან?
- როგორ ფიქრობთ, რა დეტალები აკლია წერილს, სრულყოფილი რომ იყოს?

**აქტივობა 12 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** – ამ რუბრიკაში მოსწავლეები დაწვრილებით გაეცნობიან ღია წერილის ჟანრობრივ თავისებურებებს და სტრატეგიებს, რომლებითაც იხელმძღვანელებენ ღია წერილის დაწერისას.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

<table>
<tr><th>გრძელვადიანი მიზანი</th><th>შუალედური სასწავლო მიზანი N4</th></tr>
<tr><td>

**სამიზნე ცნებები –**

1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

2) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

(შედეგები: 1, 6, 7)

3) კონტექსტი

(შედეგები: 1, 4)

**ქვეცნებები –**

კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები

რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები

კონტექსტური ფაქტორები

</td><td>

**საკითხი** – ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ მიხედვით, ერთწუთიანი მონოლოგის მომზადება პრობლემაზე, რომელიც ნაწარმოებში აისახა.

**ქვესაკითხები** – ნაწარმოების თემა, იდეა, მონოლოგი.

არგუმენტები და მაგალითები,

„კაცია-ადამიანის“ შექმნის ეპოქა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალიები;

**საკვანძო შეკითხვები:**

როგორ მოვამზადო მონოლოგი?

როგორ დავუკავშირო ნაწარმოებში ასახული პრობლემა თანამედროვეობას?

როგორ გამოვიყენო არგუმენტები და მაგალითები საუბრისას?

**კომპლექსური დავალება – ერთწუთიანი მონოლოგი პრობლემაზე, რომელიც ნაწარმოებში აისახა.**

ილია ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანში“ არაერთ საზოგადოებრივ პრობლემას შეეხო. მწერლის მიზანია ამ პრობლემის გამოაშკარავება

მისი უკეთ დაძლევის მიზნით. აირჩიე ერთ-ერთი საკითხი (უმჯობესია ისეთი, რომელიც დღესაც აქტუალურია) და ისაუბრე 1 წუთის განმავლობაში მის არსსა და გადაჭრის გზებზე.

</td></tr>
<tr><td>

**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:

**1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

</td><td>

**შეფასების კრიტერიუმები**

**მონოლოგში:**

- ისაუბრე, როგორაა პრობლემა წარმოდგენილი ნაწარმოებში; (კომპოზიცია)
- წარმოაჩინე საკითხის აქტუალობა თანამედროვე სამყაროში; (კომპოზიცია, კონტექსტი)
- აჩვენე პრობლემის გადაჭრის შენეული გზა არგუმენტირებულად (კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი)

</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **2) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) კონტექსტი**<br>(შედეგები: 1, 4)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსები:** ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“

**ორი ვიდეომონოლოგი სანიმუშოდ:**

https://www.youtube.com/watch?v=zgv5eyGFI5U

https://www.youtube.com/watch?v=kHiONikbHhs

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**აქტივობა 1** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 151 გვ. 169-170

**ნაბიჯი 1 –**

- ისაუბრე, როგორაა პრობლემა წარმოდგენილი ნაწარმოებში; (კომპოზიცია)

**აქტივობა 2 – ლიტ.თეორია – ეპიგრაფი –** ამ რუბრიკაში მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულად გაიხსენებენ, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ნაწარმოებისთვის ეპიგრაფს, არამედ დაფიქრდებიან კონკრეტული ნაწარმოების დასაწყისზე, განმარტავენ ეპიგრაფს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მოთხრობის იდეას.

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 153-54 – ამ რუბრიკით მოსწავლეები იმუშავებენ იმ ისტორიულ რეალიებზე, რომლებსაც ტექსტი მოიცავს. ასევე დააკვირდებიან, რამდენად ჩანს ავტორის პოზიცია პრობლემის წარმოჩენისას; გაავლებენ პარალელს სხვა ნაწარმოებთან (სულხან-საბა ორბელიანის „სოფლის მაშენებელნი“), რომელშიც ასევე ცრუსაქმიანობაა გაკრიტიკებული.

**აქტივობა 4 – ლიტ.თეორია „ირონია, სარკაზმი, სატირა“** – ამ რუბრიკაზე მუშაობა აუცილებელია, რათა მოსწავლეებმა ისწავლონ და მარტივად ამოიცნონ მხატვრული ხერხი, რომელიც უმნიშვნელოვანესია „კაცია-ადამიანის“ თემისა და იდეის სწორად გაგებისთვის.

**აქტივობა 5 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 197 – ამ რუბრიკაში წარმოდგენილია მოთხრობა „კაცია ადამიანიდან“ ამონარიდი, რომელიც მოიცავს ავტორის მიმართვას პერსონაჟისადმი. მასში ცხადად ჩანს მწერლის პოზიცია. მოსწავლეებმა პარალელი უნდა გაავლონ „მგზავრის წერილებთან“, რომელშიც იგივე პრობლემაა (მოქმედების, მოძრაობის მნიშვნელოვნება) წარმოჩენილი.

**აქტივობა 6 – პერსონაჟების როლი ნაწარმოებში ასახული ერთ-ერთი პრობლემის წარმოსაჩენად –** ეს აქტივობა მოსწავლეებს დაეხმარება, სხვადასხვა პერსპექტივიდან დაინახონ პრობლემები, ის მორალური დილემები, რომლებიც ნაწარმოებშია ასახული.

**აქტივობა 7 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 217 – ამ რუბრიკით მოსწავლეები დააკვირდებიან ნაწარმოებში წარმოჩენილ კიდევ ერთ მანკიერებას.

**ნაბიჯი 2 –**

- წარმოაჩინე საკითხის აქტუალობა თანამედროვე სამყაროში; (კომპოზიცია, კონტექსტი)

**აქტივობა 8 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 226 – ამ რუბრიკის საშუალებით, ერთი მხრივ, მოსწავლეებმა შეაჯამებენ და იმსჯელებენ ნაწარმოებში ასახულ პრობლემებზე,; მეორე მხრივ, დააკვირდებიან, რამდენად აქტუალურია XIX საუკუნეში არსებული პრობლემები თანამედროვე საზოგადოებისთვის. ასევე, იმსჯელებენ, რამდენად შთამბეჭდავი იყო მათთვის, როგორც მკითხველებისთვის, როცა მწერალი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ მიმართავდა.

**აქტივობა 9 – ნაწარმოების თემა, იდეა კონტექსტი** – აქტივობის სათაური უკვე მოიცავს იმ ძირითად ასპექტებს, რომლებსაც ამ აქტივობის ფარგლებში დაამუშავებენ მოსწავლეები. კიდევ ერთხელ ისაუბრებენ ნაწარმოებში ასახულ პრობლემათა აქტუალობაზე XXI საუკუნეში.

**აქტივობა 10 – კრიტიკული წერილის ანალიზი** – აკაკი ბაქრაძის წერილის, „არაფრობის უარყოფის“, მიხედვით მოსწავლეები კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან ნაწარმოებში ასახულ პრობლემებზე და ეცდებიან, ამ პრობლემის მიმართ თავიანთი ხედვაც ჩამოუყალიბდეთ, იფიქრონ მათი გადაჭრის გზებზე.

**აქტივობა 11 – ნაწარმოებში წარმოჩენილი პრობლემების აქტუალობაზე დაკვირვება** – ეს აქტივობა გულისხმობს მოთხრობაში ასახული პრობლემების XXI საუკუნესთან მიმართებით დანახვას და გაანალიზებას. ამ სავარჯიშოს მოსდევს ასევე რუბრიკა **„გაიფართოვე თვალსაწიერი“**, რომელიც იმ საკითხს ეხება, თუ როგორ აისახა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში: მხატვრობაში, კინოსა და თეატრში. მონაცემთა სიმრავლე მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ნაწარმოებში ასახული თემები აქტუალობას კვლავაც არ კარგავს.

**ნაბიჯი 3 –**

- აჩვენე პრობლემის გადაჭრის შენეული გზა არგუმენტირებულად (კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 12 – რუბრიკის „ჩვენ გირჩევთ“** მიხედვით, მონოლოგზე მუშაობის სტრატეგიების გაცნობა. ასევე სახელმძღვანელოში მოცემული ერთწუთიანი მონოლოგების ნიმუშების გაცნობა და მსჯელობა თითოეულზე შემდეგი კითხვების დახმარებით:

- რა არის მონოლოგის ავტორის მიზანი?
- რამდენადაა გამოკვეთილი მთქმელის პოზიცია არჩეული პრობლემისადმი?
- რამდენად საინტერესო და აქტუალურია კონკრეტული მონოლოგის თემა?

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად რთული აღმოჩნდა ნაწარმოებში ასახული პრობლემების დახარისხება და მონოლოგისთვის ამორჩევა?
- რა სტრატეგიები დაგეხმარა მონოლოგის მომზადებაში?
- რამდენად რთული აღმოჩნდა შენი სათქმელის მხირე დროში ჩატევა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N5 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები** –<br>1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>2) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br><br>**ქვეცნებები** –<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები | **საკითხი** – ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით გლეხკაცის მონოლოგის დაწერა<br><br>**ქვესაკითხები** – მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ თემა და იდეა,პერსონაჟები, მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები, არგუმენტები და კონტრარგუმენტები, მაგალითები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ დავწერო პერსონაჟის მონოლოგი?<br>• როგორ წარმოვაჩინო განსხვავებული ხედვის კუთხე?<br>• როგორ გამოვიყენო სხვადასხვა პერსონაჟთა შეხედულებები გლეხკაცი ხედვის კუთხის წარმოსაჩენად?<br><br>**კომპლექსური დავალება – გლეხკაცის მონოლოგი**<br>ილია ჭავჭავაძე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ტექსტში არჩილისა და კესოს საფუძვლიან მსჯელობას წოდებრივ განსხვავებაზე. ისინი თავიანთი მხრიდან განიხილავენ „ხიდგაღმა მყოფ“ გლეხკაცობას.<br>შეცვალე ხედვის კუთხე და წარმოიდგინე, როგორ იმსჯელებდა ერთ-ერთი რიგითი გლეხი (მაგალითად, პაატა, 3 მანეთის გამო რომ მივიდა არჩილთან) არჩილსა და კესოზე, როგორც თავადებზე, მაღალი წრის წარმომადგენლებზე. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები**<br>**ნამუშევარში**<br>• მსჯელობისას გამოიყენე ტექსტიდან ის ეპიზოდები, რომლებშიც გლეხების შეხედულებები ჩანს თავადების ცხოვრებაზე; (კომპოზიცია)<br>• ეცადე, იყო არჩილივით ობიექტური და აღნიშნო როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი მხარე; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• არჩილისა და კესოს დიალოგი, მათი მაგალითები თუ არგუმენტები აქციე შენს არგუმენტებად ან კონტრარგუმენტებად. (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• შენს ნაწერს მიეცი მონოლოგის ფორმა, გაითვალისწინე მონოლოგის მახასიათებლები (მაგ.: პირველ პირში თხრობა, რიტორიკული მიმართვები და შეკითხვები...). (კომპოზიცია) |

| | |
|---|---|
| **2) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ალმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | |

რესურსი: ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- მსჯელობისას გამოიყენე ტექსტიდან ის ეპიზოდები, რომლებშიც გლეხების შეხედულებები ჩანს თავადების ცხოვრებაზე; (კომპოზიცია)

**აქტივობა 1 – რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე** – უხსნის მოსწავლეს როგორ უნდა მიდგეს ამა თუ იმ საკითხს, რამდენად მიუღებელია პოლარიზებული ანუ ურთიერთგამომრიცხავი მიდგომები და აძლევს გეზს, როგორ უნდა განიხილოს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოთხრობაში შეხვდება.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 248 გვ. 251, 254

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 255 – ამ რუბრიკაში საუბარია ოთარაანთ ქვრივსა და მისი ცხოვრების წესზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქმედება, გარჯა ადამიანისთვის. ამ საკითხს მწერალი არაერთხელ უბრუნდება. ამით უპირისპირებს ოთარაანთ ქვრივს არჩილსა და კესოს. ამიტომ კომპლექსური დავალების შესრულებისას, გლეხკაცის პოზიციაში ამ საკითხზე ხაზგასმა აუცილებელია.

**აქტივობა 4** – აღწერა და მისი მნიშვნელობა ტექსტში – ამ აქტივობით მოსწავლე დააკვირდება აღწერის მნიშვნელობას ტექსტში. მსჯელობისას აღმოაჩენს, რომ ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების წესზე ისევე მიუთითებს მისი კარ-მიდამოს აღწერა, როგორც თავადების, თათქარიძეების, სახლ-კარი – მათ ფუქსავატობაზე, ცრუსაქმიანობასა და გულგრილობაზე.

**აქტივობა 5 – პერსონაჟთა მორალური ფასეულობანი** – ამ აქტივობით, სპეციალური ცხრილის მოშველიებით, მოსწავლეები დააკვირდებიან მთავარ თუ არამთავარ პერსონაჟებს, ჩამოწერენ მათ მორალურ ფასეულობებს. ეს დაეხმარება მათ, არა მხოლოდ დაინახონ დადებითი მხარე პერსონაჟებში, არამედ დაფიქრდნენ ზნეობრივ საკითხებზე.

**აქტივობა 6 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის" (ბ)** გვ. 289 – ამ რუბრიკაში ყურადღებაა გამახვილებული გლეხებისა და თავადაზნაურთა ურთიერთობაზე, ასევე მოსწავლეს ევალება, გაიხსენოს „კაცია-ადამიანიდან" მონაკვეთი, რომელშიც იგივე საკითხია წარმოჩენილი.

**ნაბიჯი 2 –**

- ეცადე, იყო არჩილივით ობიექტური და აღნიშნო როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი მხარე; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- არჩილისა და კესოს დიალოგი, მათი მაგალითები თუ არგუმენტები აქციე შენს არგუმენტებად ან კონტრარგუმენტებად. (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 7 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის"** გვ. 302 – ამ რუბრიკაში განხილულია არჩილის შეხედულება განათლებასთან დაკავშირებით და ასევე ხაზგასმულია, რამდენად მნიშვნელოვანია თვითკრიტიკა. მოსწავლეები დაინახავენ, რომ ასეთი მიდგომა არჩილისთვის დამახასიათებელია და საწინააღმდეგო პოზიციის დაწერისას – გასათვალისწინებელი.

**აქტივობა 8 – პერსონაჟთა ურთიერთშეფასება** – ეს აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, დააკვირდნენ, როგორ აფასებენ პერსონაჟები ერთმანეთს. თავად მოძებნონ ეს ასეთი ეპიზოდები ტექსტში და გაანალიზონ კიდეც.

**აქტივობა 9 – არამთავარი პერსონაჟები და მათი როლი ნაწარმოებში** – ეს აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, გულდასმით დააკვირდნენ არამთავარ პერსონაჟებს, მოძებნონ ტექსტში მცირე დეტალებიც კი, რომლებიც ამ პერსონაჟებს უკავშირდება, გაანალიზონ, როგორები არიან და რა როლი ეკისრებათ მოთხრობაში.

**აქტივობა 10 – აქტივობა 5 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის" (ა)** გვ. 314-15 – ამ რუბრიკის მთავარია თემაა სოციალური უთანასწორობა, რომელიც არჩილისა და კესოს საუბრისა და ასევე ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილის მაგალითზე უნდა მიმოიხილონ მოსწავლეებმა.

**აქტივობა 11 – მსჯელობა კრიტიკულ წერილზე** – ამ აქტივობაში მოცემულია აკაკი ბაქრაძის წერილი „საქმით მეტყველი სული", რომელშიც ძალიან საინტერესოდაა მიმოხილული ხიდჩატეხილობის პრობლემა. კრიტიკოსი აანალიზებს საკითხს სხვადასხვა კუთხით. წერილის დამუშავებით მოსწავლეები დაინახავენ, რაზე უნდა გააკეთონ აქცენტები გლეხკაცის პოზიციის გამოხატვისას.

**აქტივობა 12 – ერთი პრობლემა და ორი ხელოვანის ხედვა** – ამ აქტივობის დახმარებით მოსწავლეები დაინახავენ როგორ დაინახა რეჟისორმა, მიხეილ ჭიაურელმა, ხიდჩატეხილობის პრობლემა. რა გაამწვავა ან შეარბილა ნაწარმოებთან შედარებით.

**ნაბიჯი 3** –

- შენს ნაწერს მიეცი მონოლოგის ფორმა, გაითვალისწინე მონოლოგის მახასიათებლები (მაგ.: პირველ პირში თხრობა, რიტორიკული მიმართვები და შეკითხვები...). (კომპოზიცია)

მონოლოგის ფორმაც და მასზე მუშაობის სტრატეგიები მოსწავლეებისთვის უკვე ცნობილია წინა კლასებიდან, ასევე – სახელმძღვანელოს ამავე თავიდან (იქ ზეპირი მონოლოგი მოამზადეს), ამიტომ ამ დავალებას არ ახლავს ცალკე რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“. სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ, დაიხმარონ მანამდე მოცემული ეს რუბრიკა (გვ. 238)

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ თვლი, რომ შენი ნამუშევარი მონოლოგია? რა მახასიათებლები აქვს მას?
- რამდენად შეიცვალა ხედვის კუთხის შეცვლით ნაწარმოების იდეა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N6 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ლიტერატურა<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები | **საკითხი** – მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით, არამთავარი პერსონაჟის, სოსია მეწისქვილის, დახასიათების დაწერა.<br><br>**ქვესაკითხები** – დახასიათებითი ესეი და მისი სტრუქტურა, მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ თემა და იდეა, მთავარი და არამთავარი პერსონაჟები, მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები, არგუმენტები და კონტრარგუმენტები, მაგალითები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ესეის სტრუქტურისა და მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ წარმოვაჩინო მეორეხარისხოვანი პერსონაჟი სრულყოფილად?<br>• როგორ გამოვიყენო არგუმენტებისთვის ტექსტში მოცემული ყველა მინიშნება?<br><br>**კომპლექსური დავალება –**<br>დაწერე დახასიათებითი ესეი. დაახასიათე მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ არამთავარი პერსონაჟი სოსია მეწისქვილე და ისაუბრე, რა როლი ეკისრება მას ნაწარმოების იდეის უკეთ აღსაქმელად.<br>დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები –**<br>**ნამუშევარში:**<br>• წარმოაჩინე სოსიას ვინაობა, თვისებები; (კომპოზიცია)<br>• ახსენი, რა დამოკიდებულებები აქვს საკუთარი თავის, სხვა ადამიანებისა და ოთარაანთ ქვრივის მიმართ; (კომპოზიცია)<br>• ახსენი, რა დამოკიდებულებები აქვთ სხვა ადამიანებს სოსია მეწისქვილის მიმართ; (კომპოზიცია)<br>• იმსჯელე, შენი აზრით, რატომ შემოიყვანა ეს პერსონაჟი მწერალმა და რა ფუნქცია მიანიჭა; (კომპოზიცია, ენობრივ გამომსახველობით)<br>• დაიცავი ესეის სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი. დასკვნა; გამოყავი აბზაცები. (ჟანრი) |

**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომ-პოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარ-სობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირე-ბული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე და-კვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეუ-ლად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

(შედეგები: 1, 6, 7)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყ-ენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ სა-შუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილე-ბა მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**რესურსი:** ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- წარმოაჩინე სოსიას ვინაობა, თვისებები; (კომპოზიცია)
- ახსენი, რა დამოკიდებულებები აქვს საკუთარი თავის, სხვა ადამიანებისა და ოთარაანთ ქვრივის მიმართ; (კომპოზიცია)
- ახსენი, რა დამოკიდებულებები აქვთ სხვა ადამიანებს სოსია მეწისქვილის მიმართ; (კომპოზიცია)

**აქტივობა 1 – რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე** – უხსნის მოსწავლეს როგორ უნდა მიუდგეს ამა თუ იმ საკითხს, რამდენად მიუღებელია პოლარიზებული ანუ ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულებები და აძლევს გეზს, როგორ უნდა განიხილოს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოთხრობაში შეხვდება.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 326 გვ. 329

**აქტივობა 3 – პერსონაჟთა მორალური ფასეულობანი** – ამ აქტივობით, სპეციალური ცხრილის მოშველიებით, მოსწავლეები დააკვირდებიან მთავარ თუ არამთავარ პერსონაჟებს, ჩამოწერენ მათ მორალურ ფასეულობებს. ეს დაეხმარება მათ, არა მხოლოდ დაინახონ დადებითი მხარე პერსონაჟებში, არამედ დაფიქრდნენ ზნეობრივ საკითხებზე.

**აქტივობა 4 – არამთავარი პერსონაჟები და მათი როლი ნაწარმოებში** – ეს აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, გულდასმით დააკვირდნენ არამთავარ პერსონაჟებს, მოძებნონ ტექსტში მცირე დეტალებიც კი, რომლებიც ამ პერსონაჟებს უკავშირდება, გაანალიზონ, როგორები არიან და რა როლი ეკისრებათ მოთხრობაში.

**აქტივობა 5 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ა)** გვ. 329-30 ამ რუბრიკის დახმარებით მოსწავლეები დაინახავენ, როგორ უკავშირდება არამთავარი პერსონაჟის ისტორია მთავარი პერსონაჟსა და ნაწარმოების იდეას – როგორ გამოხატავს ავტორი პოზიციას არამთავარი პერსონაჟის ნაწარმოებში შემოყვანით.

**ნაბიჯი 2 –**

- იმსჯელე, შენი აზრით, რატომ შემოიყვანა ეს პერსონაჟი მწერალმა და რა ფუნქცია მიანიჭა; (კომპოზიცია, ენობრივ გამომსახველობით)

**აქტივობა 6 – სიტუაციის აღდგენა მკითხველის ფანტაზიით (ჯგუფური სამუშაო)** – ამ აქტივობაში მოცემულია რამდენიმე სიტუაცია, რომელთაგან ერთი მთავარ პერსონაჟებს უკავშირდება, მეორე – არამთავარს, სოსია მეწისქვილეს. სავარჯიშოს დახმარებით მოსწავლეები კიდევ ერთხელ დააკვირდებიან მოცემულ (გიორგი, სოსია მეწისქვილე) პერსონაჟებს, მათ თვისებებსა და დამოკიდებულებას.

**აქტივობა 7 – მსჯელობა კრიტიკულ წერილზე** – ამ აქტივობაში მოცემულია აკაკი ბაქრაძის წერილი „საქმით მეტყველი სული“, რომელშიც ძალიან საინტერესოდაა მიმოხილული ხიდჩატეხილობის პრობლემა. მთავარ პერსონაჟებთან ერთად, სოსია მეწისქვილის როლსა და ფუნქციაზეც დაწვრილებით საუბრობს კრიტიკოსი.

**ნაბიჯი 3 –**

- დაიცავი ესეის სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი. დასკვნა; გამოყავი აბზაცები. (ჟანრი)

ესეის წერა, მისი სტრუქტურა და მასზე მუშაობის სტრატეგიები მოსწავლეებისთვის უკვე ნაცნობის და დამუშავებულიც აქვთ, ამ და წინა თავშიც არაერთი ესეი შეასრულეს, ამიტომ აქ აღარ დავურთეთ რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“, თუმცა შეუძლიათ. ასევე ენის ნაწილის პირველი თავი სწორედ ამ საკითხებს ეთმობოდა.

იხ.რიტორიკის ელემენტები

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ თვლი, რომ შენი ნამუშევარი დახასიათებითი ესეია?
- რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არამთავარ პერსონაჟზე დაკვირვება?
- რამდენად უკეთ წარმოჩნდა ნაწარმოების იდეა არამთავარ პერსონაჟზე დაკვირვებისას?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N7 |
| --- | --- |
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>2) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br><br>**ქვეცნებები –**<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი** – ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების გათვალისწინებით მწერლის წარმოსახვითი საკონკურსო აპლიკაციის შევსება.<br><br>**ქვესაკითხები** – ნაწარმოებების თემა და იდეა;<br>ილია ჭავჭავაძის გამოცდილება (ცხოვრებისეული და სულიერი) – ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალები, სოციოკულტურული გარემო;ფასეულობები, დამოკიდებულებები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ ჩამოვაყალიბო პასუხები პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გათვალისწინებით?<br>• როგორ დავიმოწმო ციტატები შესაფერის კონტექსტში?<br><br>**კომპლექსური დავალება – მწერლის სააპლიკაციო განაცხადი**<br>თანამედროვე ცხოვრებაში ხშირად იმართება კონკურსები, აწესებენ სპეციალურ პრიზებსა და პრემიებს. ამ კონკურსებში მონაწილეობისას თითოეული პირი ავსებს სპეციალურად კონკურსისთვის განკუთვნილ აპლიკაციას, ერთგვარი კითხვარს, რომლითაც დაასაბუთებს, რომ ის იმსახურებს ამა თუ იმ წოდებას, ჯილდოს, პრიზს...<br>წარმოიდგინე, რომ ილია ჭავჭავაძე მონაწილეობს კონკურსში „საუკეთესო მწერალი“. ჩაერთე ამ ერთგვარ ლიტერატურულ თამაშში, ილიას ადგილას დააყენე საკუთარი თავი და ისე შეავსე სააპლიკაციო ფორმა. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმი –**<br>**ნამუშევარში:**<br>• გამოიყენე ბიოგრაფია და უკვე შესწავლილი ნაწარმოებები; (კონტექსტი, კომპოზიცია)<br>• წარმოაჩინე ეპოქის თავისებურებები, ილიას შემოქმედებაში ამოკითხული პრობლემები და მწერლის მიერ დანახული მათი გადაჭრის გზები; (კონტექსტი, კომპოზიცია) |

| | |
|---|---|
| **2) კონტექსტი**<br>(შედეგები: 1, 4)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვა-დასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელ-შიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტე-ქსტების შესადგენად. | |

**რესურსი**: ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია და სახელმძღვანელოში შემავალი ნაწარმოებები.

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

*შენიშვნა: ეს კომპლექსური დავალება, ფაქტობრივად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შემაჯამებე-ლია. წარმოსახვითი სააპლიკაციო ფორმისთვის მზადება მწერლის ბიოგრაფიისა და უკვე შესწავლილი ნაწარმოებების კარგად დამუშავებას გულისხმობს. რადგან მოსწავლეებს უკვე შესრულებული აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება და მათთან დაკავშირებული არაერთი აქტივობა, ამ მატრიცაში შევა მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც თავში შემავალ ბოლო და ძალიან მნიშვნელოვან ნაწარმოებებს უკავშირდება.*

**ნაბიჯი 1** –

- გამოიყენე ბიოგრაფია და უკვე შესწავლილი ნაწარმოებები;
- წარმოაჩინე ეპოქის თავისებურებები, ილიას შემოქმედებაში ამოკითხული პრობლემები და მწერლის მიერ დანახული მათი გადაჭრის გზები;

**აქტივობა 1 – რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“** – ამ რუბრიკით მოსწავლეები დაფიქრდებიან ლექსის სათაურზე („ბედნიერი ერი“), ასევე გაიხსენებენ ილიას ბიოგრაფიასა და სხვა ნაწარმოებებს და აქედან გამომდინარე იმსჯელებენ, ილიასთვის რა შემთხვევაში იქნებოდა ქართველი ერი ბედნიერი.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 320 გვ. 323

**აქტივობა 3 – ლიტერატურული პარალელი** – ამ აქტივობით მოსწავლეები მიუბრუნდებიან „მგზავრის წერილებს“, შეადარებენ „ბედნიერ ერში“ წამოჭრილ პრობლემას და იმსჯელებენ, რამდენად ურყევია მწერლის პოზიცია ქვეყნის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

**აქტივობა 4 – სამშობლოს სიყვარულის მხატვრულად გამოხატვის თავისებურებანი** – ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ილია ჭავჭავაძე თავის პატრიოტიზმს მხოლოდ მართლმხილებით არ გამოხატავდა. ისინი გაეცნობიან ილიას, ალბათ, ყველაზე ცნობილ ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანა“ და დაინახავენ მწერლის ძალიან ღრმა და სათუთ სიყვარულს სამშობლოსადმი.

**აქტივობა 5 – რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერი“** – ამ რუბრიკით მოსწავლეები ეცნობიან ილიას, როგორც პუბლიცისტს, მის ინტერესებსა და მისწრაფებებს. ასევე რუბრიკას ახლავს სავარჯიშო, რომლის მიხედვითაც, მოსწავლეებმა უკვე შესწავლილი ნაწარმოებებიდან უნდა ამოკრიბონ ის პრობლემები, რომლებსაც ილია ეხებოდა და დაასახელონ საკითხი, რომელზეც, მათი შეხედულებით, ილია დაწერდა პუბლიცისტურ წერილს.

**აქტივობა 6 – პრობლემის აქტუალობაზე დაკვირვება (ჯგუფური მუშაობა)** – ამ აქტივობაში, სპეციალური ცხრილის დახმარებით, მოსწავლეები იმსჯელებენ მოცემულ პუბლიცისტურ წერილებში ასახულ პრობლემებზე შემდეგი კითხვების მიხედვით:

- წერილში ასახული პრობლემა;
- პრობლემის წარმომშობი ისტორიული კონტექსტი;
- ახსნა, რამდენად აქტუალურია იგივე პრობლემა XXI საუკუნეში;
- პრობლემის გადაჭრის ჩვენეული ხედვა.

**აქტივობა 7 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** – ამ რუბრიკით მოსწავლეები გაეცნობიან მწერლის წარმოსახვითი სააპლიკაციო ფორმის მომზადების სტრატეგიებს.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ ფორმით მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შეჯამება?
- რამდენად საინტერესო და საჭირო იყო სააპლიკაციო ფორმაზე მუშაობის სტრატეგიების გაცნობა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

# III თავი – დანაშაული, სასჯელი და პასუხისმგებლობა

მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქედან

**საგანი:** ქართული ენა და ლიტერატურა
**ძირითადი რესურსი:** სახელმძღვანელო „ქართული“, XI კლასი, III თავი, დანაშაული, სასჯელი და პასუხისმგებლობა
**კლასი:** XI

## ქართული ენა და ლიტერატურა
## საშუალო საფეხური

**თემა:** დანაშაული, სასჯელი და პასუხისმგებლობა
**თემაში გამოყენებული ტექსტები:**
1. აკაკი წერეთლის ბიოგრაფია
2. „გამზრდელი“ – აკაკი წერეთელი
3. ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია
4. „ხევისბერი გოჩა“ – ალექსანდრე ყაზბეგი
5. „არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა“ – აკაკი ბაქრაძე
6. „ჩვენი დროის 10 მცნება“ – მიხეილ ჯავახიშვილი
7. „ოთარაანთ ქვრივისა“ – ილია ჭავჭავაძე

| საკითხები | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები** | **საკითხი 1.** აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ III თავისა და ილიას აფორიზმის: „...სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა“ მიხედვით, ანალიტიკური ესეის დაწერა. | **საკითხი 2.** აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ გაგრძელების დაწერა. | **საკითხი 3.** ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“ და ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით მთავარი პერსონაჟების 10 მცნების შექმნა. | **საკითხი 4.** ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა. |
| **ჟანრი ქვეცნება:** არამხატვრული ჟანრი | **ქვესაკითხი:** ანალიტიკური ესეი და მისი მახასიათებლები; | **ქვესაკითხი:** პოემა | | **ქვესაკითხი:** ანალიტიკური ესეი და მისი მახასიათებლები |
| **კომპოზიცია ქვეცნება:** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები ორგანიზაციული ყალიბი | **ქვესაკითხები:** ბათუ – მისი თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულებები; მხატვრული კონფლიქტი. | **ქვესაკითხები:** სიუჟეტი და მისი განვითარება, პერსონაჟები და მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები. | **ქვესაკითხები:** პერსონაჟები – მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები. | **ქვესაკითხები:** ნაწარმოების თემა და იდეა; პერსონაჟები – მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები; |
| **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ქვეცნება:** რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები ენობრივი ფიგურები | **ქვესაკითხები:** არგუმენტები, მაგალითები, ციტატები | **ქვესაკითხი:** ტროპის სახეები. | | **ქვესაკითხები:** არგუმენტები, მაგალითები, ციტატები. საკითხის აქტუალობა. |
| **კონტექსტი ქვეცნებები:** კონტექსტური ფაქტორები | | | | **ქვესაკითხი:** საკითხის აქტუალობა. |
| | **კომპლექსური დავალება 1.** ანალიტიკური ესეი | **კომპლექსური დავალება 2.** პოემის გაგრძელება | **კომპლექსური დავალება 3.** პერსონაჟთა 10 მცნება | **კომპლექსური დავალება 4.** ანალიტიკური ესეი |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>4) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ჟანრი<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი** – აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის" III თავისა და ილიას აფორიზმის: „...სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა" მიხედვით, ანალიტიკური ესეის დაწერა.<br><br>**ქვესაკითხები** – ანალიტიკური ესეი და მისი მახასიათებლები;<br>ბათუ – მისი თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულებები; მხატვრული კონფლიქტი.<br>არგუმენტები, მაგალითები, ციტატები<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ესეის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ დავუკავშირო აფორიზმი პოემას და წარმოვაჩინო მთავარი პრობლემა არგუმენტირებულად?<br>• როგორ წარმოვაჩინო ბათუს ქმედებები, დამოკიდებულებები, ემოციები?<br>• როგორ ვიმსჯელო მაგალითებისა და ციტატების გამოყენებით?<br><br>**კომპლექსური დავალება – ანალიტიკური ესეი**<br>ილია ჭავჭავაძე ერთგან წერდა: „...სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა".<br>III თავის მიხედვით დაწერე ანალიტიკური ესეი. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები**<br>**ნამუშევარში**<br>• იმსჯელე, როგორ გესმის ილიას ეს აფორიზმი და როგორ უკავშირდება „გამზრდელის" კონკრეტულ მონაკვეთს. (კომპოზიცია)<br>• განიხილე მონაკვეთში შექმნილი კონფლიქტი; (კომპოზიცია)<br>• წარმოაჩინე პერსონაჟთა თვისებები, დამოკიდებულებები და შეხედულებები; (კომპოზიცია)<br>• არგუმენტირებულად ახსენი გარემოებები, რომლებმაც განაპირობა ბათუს საქციელი; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• გამოკვეთე პრობლემის აქტუალურობა. (კომპოზიცია, კონტექსტი) |

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ალმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**4) კონტექსტი**<br>(შედეგები: 1, 4)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსი:** აკაკი წერეთლის „გამზრდელი“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

ნაბიჯი 1 –

- იმსჯელე, როგორ გესმის ილიას ეს აფორიზმი და როგორ უკავშირდება „გამზრდელის“ კონკრეტულ მონაკვეთს. (კომპოზიცია)
- წარმოაჩინე პერსონაჟთა თვისებები, დამოკიდებულებები და შეხედულებები; (კომპოზიცია)

**აქტივობა 1** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში „ტექსტის გააზრებისთვის“ – გვ. 380-381 გვ. 386

**აქტივობა 2 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (გ, დ)** გვ. 387 – ამ რუბრიკაში ორ პერსონაჟზეა ყურადღება გამახვილებული: ზია – ხანუმსა და ბათუზე. ორივე პერსონაჟის ქცევებთან დაკავშირებით მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს.

**აქტივობა 3 – პერსონაჟთა ქმედებაზე დაკვირვება და ვარაუდების გამოთქმა (II თავის მიხედვით) (ჯგუფებში მუშაობა)** – ამ აქტივობაზე მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ, ისინი ინაწილებენ პერსონაჟებს (ბათუ, საფარი და ზია-ხანუმი) და მსჯელობენ შემდეგი კითხვების მიხედვით:

- რა მოტივი ამოძრავებს პერსონაჟს?
- რას დაისახავს მიზნად?
- რას აკეთებს მიზნის მისაღწევად?
- რა შეიძლება იყოს, თქვენი აზრით, ამ პერსონაჟის ქმედების შედეგი?

**აქტივობა 4 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ა)** გვ. 396-97 – რუბრიკაში მოცემულია ამონარიდი ლიტერატურათმცოდნე საბა მეტრეველის სტატიიდან „აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ქრისტიანული კონცეფცია“. აქ კრიტიკოსი წერს: „ისმის კითხვა: ვინ არის ბათუ – მიმტევებელი თუ დამსჯელი?“
მოსწავლეები ჯერ თავად ეძებენ ამ კითხვაზე პასუხს, შემდეგ აანალიზებენ კრიტიკოსის შეხედულებას.

**ნაბიჯი 2 –**

- განიხილე მონაკვეთში შექმნილი კონფლიქტი; (კომპოზიცია)
- არგუმენტირებულად ახსენი გარემოებები, რომლებმაც განაპირობა ბათუს საქციელი; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- გამოკვეთე პრობლემის აქტუალურობა. (კომპოზიცია, კონტექსტი)

**აქტივობა 5 – ლიტ.თეორია „კონფლიქტი მხატვრულ ნაწარმოებში“** – ეს რუბრიკა დაეხმარება მოსწავლეებს, გაანალიზონ, რას ნიშნავს მხატვრული კონფლიქტი, რა ფუნქცია აქვს მას ნაწარმოებში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პოემაში წამოჭრილ კონფლიქტებს.

**აქტივობა 6 – პერსონაჟის დახასიათება** – ეს აქტივობა გულისხმობს საფარ-ბეგის დახასიათებას სხვადასხვა კუთხით, როგორ აფასებს ის საკუთარ თავს და როგორ აფასებენ სხვა პერსონაჟები. საფარ-ბეგის დამოკიდებულებებისა და ფასეულობების გაგებით, მოსწავლეს გაუადვილდება ფიქრი იმაზეც, თუ რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ბათუმ.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

<table>
<tr><th>გრძელვადიანი მიზანი</th><th>შუალედური სასწავლო მიზანი N2</th></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებები –<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>4) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br><br>ქვეცნებები –<br>მხატვრული ჟანრი<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>ენობრივი ფიგურები</td><td>საკითხი – აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ გაგრძელების დაწერა.<br><br>ქვესაკითხები – პოემა, სიუჟეტი და მისი განვითარება, პერსონაჟები და მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები.<br>ტროპის სახეები.<br><br>საკვანძო შეკითხვები:<ul><li>როგორ გავაგრძელო პოემის სიუჟეტი?</li><li>როგორ წარმოვაჩინო პერსონაჟები და მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები?</li><li>როგორ გამოვიყენო ტროპის სახეების ცოდნა?</li></ul>კომპლექსური დავალება – პოემის გაგრძელება<br>აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“ მოულოდნელი ფინალით გამოირჩევა. მკითხველს რჩება შეკითხვა, როგორ იმოქმედებს გამზრდელის ტრაგიკული აღსასრული პოემის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟზე, საფარ-ბეგზე. გააგრძელე პოემის სიუჟეტი შენთვის სასურველი ფორმით (პროზაული ან პოეტური ტექსტი).</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად.</td><td>შეფასების კრიტერიუმები<br>ნამუშევარში<ul><li>გაითვალისწინე საერთო სიუჟეტური ხაზი და მოიფიქრე მისი ბუნებრივი გაგრძელება; (ჟანრი, კომპოზიცია)</li><li>წარმოაჩინე პერსონაჟთა ხასიათი, თვისებები, დამოკიდებულებები; (კომპოზიცია)</li><li>შეინარჩუნე ნაწარმოებში აღწერილი ეპოქის სოციოკულტურული მახასიათებლები; (კომპოზიცია)</li><li>გამოიყენე ტროპის სახეები. (ენობრივ-გამომსახველობითი)</li></ul></td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსი:** აკაკი წერეთლის „გამზრდელი“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- გაითვალისწინე საერთო სიუჟეტური ხაზი და მოიფიქრე მისი ბუნებრივი გაგრძელება; (ჟანრი, კომპოზიცია)
- წარმოაჩინე პერსონაჟთა ხასიათი, თვისებები, დამოკიდებულებები; (კომპოზიცია)
- შეინარჩუნე ნაწარმოებში აღწერილი ეპოქის სოციოკულტურული მახასიათებლები; (კომპოზიცია)
- გამოიყენე ტროპის სახეები. (ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 1 – რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“** – ამ რუბრიკით მოსწავლეები გაიხსენებენ პოემის ჟანრობრივ მახასიათებლებს, ამ ჟანრის თავისებურებებს და უკვე შესწავლილ პოემებსაც გადაავლებენ გონების თვალს.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში **„ტექსტის გააზრებისთვის“** – გვ. 393-94 გვ. 396

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ბ)** გვ. 387 – ამ რუბრიკაში მოსწავლეები დაფიქრდებიან კონკრეტულ სტროფზე:

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვინმეს განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს!
მტრისას მისი გამოცანა!“

ის ერთგვარი მინიშნებაა, როგორ გაგრძელდები სიუჟეტი; დაასახელებენ სიუჟეტის გაგრძელების ვარიანტებს.

**აქტივობა 4 – პერსონაჟთა ქმედებაზე დაკვირვება და ვარაუდების გამოთქმა (II თავის მიხედვით) (ჯგუფებში მუშაობა)** – ამ აქტივობაზე მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ, ისინი ინაწილებენ პერსონაჟებს (ბათუ, საფარი და ზია-ხანუმი) და მსჯელობენ შემდეგი კითხვების მიხედვით:

- რა მოტივი ამოძრავებს პერსონაჟს?
- რას დაისახავს მიზნად?
- რას აკეთებს მიზნის მისაღწევად?
- რა შეიძლება იყოს, თქვენი აზრით, ამ პერსონაჟის ქმედების შედეგი?

**აქტივობა 5 – სიუჟეტის განვითარების საფეხურები** – ამ აქტივობის შესრულებით მოსწავლეები გაიხსენებენ სიუჟეტის განვითარების საფეხურებს და ივარაუდებენ, როგორ შეიძლება გაგრძელდეს პოემა, როგორი შეიძლება აღმოჩნდეს კულმინაცია.

**აქტივობა 6 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ბ, გ)** გვ. 397 – რუბრიკაში ყურადღება გამახვილებულია ორ საკითხზე:

ა) რატომ უშვებს ბათუ საფარ-ბეგს გამზრდელთან?

ბ) როგორ ახასიათებს ჰაჯი-უსუბს სიტყვები:

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

ორივე საკითხზე დაფიქრება მოსწავლეებს დაეხმარება, გაგრძელების დაწერისას არ გამორჩეთ მნიშვნელოვანი გარემოებები.

**აქტივობა 7 – დებატები ნაწარმოების საკვანძო საკითხზე** – დებატებს მოსწავლეები გამართავენ საკვანძო აფორიზმზე „მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,/თუ ბუნებამც არ უშველა?“. ეს კამათი მათ დაეხმარება ნაწარმოების თემისა და იდეის გააზრებაში.

(დებატებისთვის დამატებითი სამუშაო ფურცლების ნიმუშები იხილეთ მასწავლებლის წიგნში გვ. 118)

**აქტივობა 8 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** – ამ რუბრიკაში მოსწავლეები დეტალურად გაეცნობიან, რას გულისხმობს პოემის გაგრძელება, რა უნდა გაითვალისწინონ, რომ სწორად შეასრულონ დავალება.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N3 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br><br>**ქვეცნებები –**<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები | **საკითხი** – ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“ და ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით მთავარი პერსონაჟების 10 მცნების შექმნა.<br><br>**ქვესაკითხი** – პერსონაჟები – მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ ჩამოვაყალიბო პერსონაჟთა შეგონებები მათი თვისებების გათვალისწინებით?<br>• როგორ გამოვიყენო მინიშნებები ტექსტებიდან?<br><br>**კომპლექსური დავალება – პერსონაჟთა 10 მცნება**<br>აქტივობაში შენ უკვე გაეცანი დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის, „ ჩვენი დროის 10 მცნებას“. ამ მცნებათა მაგალითზე, ნაწარმოებებიდან, „ოთარაანთ ქვრივი“ და „ხევისბერი გოჩა“, პერსონაჟების ხასიათებისა და შვილებთან დამოკიდებულების გათვალისწინებით, შექმენი ოთარაანთ ქვრივისა და ხევისბერი გოჩას 10 მცნება ცალ-ცალკე. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები :**<br>**ნამუშევარში:**<br>• ჩამოაყალიბე მცნებები თითოეული პერსონაჟის თვისებების გათვალისწინებით. წარმოაჩინე პერსონაჟთა ცხოვრებისეული პრინციპები; (კომპოზიცია)<br>• გამოკვეთე მათი დამოკიდებულება შვილებთან; (კომპოზიცია)<br>• გამოიყენე შესაბამისი მინიშნებები ტექსტებიდან (ასევე, შეგიძლია მოიხმო შესატყვისი ციტატებიც); (კომპოზიცია)<br>• გაითვალისწინე, მცნებებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს პერსონაჟების (ოთარაანთ ქვრივისა და გოჩას) მსგავსება-განსხვავებანი ამ კუთხით. (კომპოზიცია) |

**რესურსები:** ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი!

ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“

მიხეილ ჯავახიშვილის, „ჩვენი დროის 10 მცნება“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი** 1 –

- ჩამოაყალიბე მცნებები თითოეული პერსონაჟის თვისებების გათვალისწინებით. წარმოაჩინე პერსონაჟთა ცხოვრებისეული პრინციპები; (კომპოზიცია)
- გამოკვეთე მათი დამოკიდებულება შვილებთან; (კომპოზიცია)
- გამოიყენე შესაბამისი მინიშნებები ტექსტებიდან (ასევე, შეგიძლია მოიხმო შესატყვისი ციტატებიც); (კომპოზიცია)

*აქტივობები მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“*

**აქტივობა 1 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ა)** გვ. 289 – ეს აქტივობა მოიცავს დედაშვილობის საკითხის „ოთარაანთ ქვრივში“. მოსწავლე კარგად გაიაზრებს, რას ფიქრობს ოთარაანთ ქვრივი დედაშვილობაზე, მკაფიოდ დაინახავს მის დამოკიდებულებას შვილის მიმართ და ასევე, გაავლებს პარალელს თავის ცხოვრებასთან.

**აქტივობა 2 – რუბრიკა „ლექსიკაზე მუშაობა“** გვ. 290 – ამ რუბრიკაში თავმოყრილია ოთარაანთ ქვრივის გამონათქვამები, შეხედულებები, რომლებიც უნდა განმარტოს მოსწავლემ და დაახასიათოს პერსონაჟი ამის მიხედვით. ეს სავარჯიშო დაეხმარება მოსწავლეებს, იპოვონ გამონათქვამები, რომლებიც 10 მცნებისთვის გამოადგებათ.

**აქტივობა 3 – მორალური პრობლემა და პერსონაჟის პოზიცია** გვ. 291 – ეს აქტივობა მთლიანად ეთმობა შვილებისა და მშობლების ურთიერთობის ანალიზს „ოთარაანთ ქვრივში“. მოყვანილია პარალელური ტექსტი ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „შვილები“, რომლის დახმარებითაც კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან მოსწავლეები ზემოთ ნახსენებ საკითხზე.

აქტივობები მოთხრობიდან „ხევისბერი გოჩა“

**აქტივობა 4 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ბ)** გვ. 438 – ამ რუბრიკაში მოცემულია ამონარიდი ლიტერატორ მაია ჯალიაშვილის წერილიდან „პიროვნება და მორალური მართლმსაჯულების ფენომენი“. ის აღნიშნავს, რომ „ხევისბერი გოჩას“ მთავარი ზნეობრივი ფორმულაა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“. მოსწავლეები გაიაზრებენ ამ სიტყვებს და ახსნიან, თავად როგორ ესმით თავად.

**ნაბიჯი 2 –**

- გაითვალისწინე, მცნებებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს პერსონაჟების (ოთარაანთ ქვრივისა და გოჩას ) მსგავსება-განსხვავებანი ამ კუთხით. (კომპოზიცია)

**აქტივობა 5 – პერსონაჟი მშობლის ამპლუაში** – მოსწავლეები იმსჯელებენ, როგორი მშობელია გოჩა, როგორია მისი დამოკიდებულება ონისეს მიმართ. ასევე, გაიხსენებენ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ურთიერთობას, გაავლებენ პარალელებს პერსონაჟებს შორის.

**აქტივობა 6 – წაკითხულის გააზრება („ხევისბერი გოჩას“ XX თავის მიხედვით)** – ამ თავში ძალიან კარგად ჩანს როგორც ხევისბერის დამოკიდებულება შვილის მიმართ, ასევე, ის პასუხისმგებლობა, რომელსაც ონისეს აკისრებს. მოსწავლეები დაწვრილებითი კითხვები ორივე საკითხზე დაფიქრდებიან და პასუხების შემოწმებისას იმსჯელებენ კიდეც.

**აქტივობა 9 – თემატური პარალელი** – ამ აქტივობაში მოსწავლეები გაეცნობიან მიხეილ ჯავახიშვილის, „ ჩვენი დროის 10 მცნებას“, რომელზეც მსჯელობა დააფიქრებთ მათ თავიანთ პასუხისმგებლობაზე ქვეყნის წინაშე და ასევე, ეს იქნება ნიმუში, თუ რა პრინციპით უნდა ააგონ კომპლექსური დავალება.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად საინტერესო აღმოჩნდა პერსონაჟთა შეხედულებებისა და შეგონებების თავმოყრა?
- რომელ მინიშნებებს დაეყრდენი ტექსტებიდან?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N4 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>4) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ჟანრი<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი** – ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა.<br><br>**ქვესაკითხები** – ანალიტიკური ესეი და მისი მახასიათებლები;<br>ნაწარმოების თემა და იდეა; პერსონაჟები – მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები;<br>არგუმენტები, მაგალითები, ციტატები.<br>საკითხის აქტუალობა.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ესეის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ დავუკავშირო თეზისი ნაწარმოებს და წარმოვაჩინო პრობლემა არგუმენტირებულად?<br>• როგორ დავასაბუთო პრობლემის აქტუალობა?<br>• როგორ ვიმსჯელო მაგალითებისა და ციტატების გამოყენებით?<br><br>**კომპლექსური დავალება – ანალიტიკური ესეი**<br>*ზოგიერთი ადამიანი მიიჩნევს, რომ პიროვნების უპირველესი ზნეობრივი პასუხისმგებლობა სამშობლოს მსახურებაა. ინდივიდმა საკუთარი მისწრაფებები და სურვილები ამ პასუხისმგებლობას უნდა დაუქვემდებაროს.*<br>თეზისის მიხედვით დაწერე ანალიტიკური ესე. დაიხმარე აქტივობაში (წაკითხულის გააზრება) მოცემული კითხვები და ამონარიდი შიმონ პერესის ინტერვიუდან.<br>გამოხატე შენი თვალსაზრისი მოცემულ პოზიციასთან დაკავშირებით.<br>გამოავლინე ზოგადი განათლება; თავი აარიდე შაბლონურ შეფასებებს. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები :**<br>**ნამუშევარში:**<br>• გააანალიზე ტექსტი ამომწურავად, გამოკვეთე ნაწარმოებში ასახული პრობლემა და შენი თვალით დანახული ავტორის პოზიცია; (კომპოზიცია)<br>• იმსჯელე, რამდენად აქტუალურია დღეს ეს საკითხი.(კომპოზიცია, კონტექსტი)<br>• შენი მოსაზრება დაასაბუთე, მოიყვანე მაგალითები; (ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• დაიცავი ესეის სამნაწილიანი სტრუქტურა, აბზაცები, ციტირების წესები; (ჟანრი) |

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1.ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4.მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3.ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ამოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**4) კონტექსტი**<br>(შედეგები: 1, 4)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსი:** ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“
აკაკი ბაქრაძის წერილი „არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა“
მიხეილ ჯავახიშვილის, „ ჩვენი დროის 10 მცნება“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 ნამუშევარში:**

- გააანალიზე ტექსტი ამომწურავად, გამოკვეთე ნაწარმოებში ასახული პრობლემა და შენი თვალით დანახული ავტორის პოზიცია; (კომპოზიცია)

**აქტივობა 1 – რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“** – ეს რუბრიკა პირდაპირ უკავშირდება ნაწარმოების თემასა და იდეას. მოსწავლეები მოთხრობის წაკითხვამდე იმსჯელებენ შემდეგ საკითხებზე:

- შენი წარმოდგენით, როგორია ტრადიციების ერთგული საზოგადოება?
- რა დადებითი და უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს მსგავსმა საზოგადოებრივმა გარემომ პიროვნების ჩამოყალიბებაზე?
- რა მიმართებაა ინდივიდუალურ თავისუფლებასა და საზოგადოების წინაშე არსებულ პასუხისმგე-ბლობას შორის?
- როგორ და რაში უნდა ვლინდებოდეს ადამიანის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე?

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში **„ტექსტის გააზრებისთვის“** – გვ. 415 გვ. 417, 420

**აქტივობა 3 – ლიტ.თეორია – პერსონაჟის პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათება** – ამ რუბრი-კას, გარდა თეორიული ნაწილისა, ახლავს სავარჯიშო – მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ, დახასიათების რომელ ხერხს ირჩევს ალექსანდრე ყაზბეგი ამ თუ იმ პერსონაჟთან დაკავშირებით.

**აქტივობა 4 – ძიძიას ფიქრები** – მოსწავლეებმა უნდა წარმოიდგინონ თავი ძიძიას ადგილას, აირჩიონ ტექსტიდან ერთი (შესაძლებელია ორიც) ეპიზოდი და დაწერონ, თავიანთი წარმოსახვით, რას შეიძლება ფიქრობდეს ძიძია იმ მომენტში.ეს აქტივობა დაეხმარება მათ, დაფიქრდნენ, ძიძიას წილ პასუხისმგე-ბლობასა და თავისუფლებაზე.

**აქტივობა 5 – აქტივობა 6 – წაკითხულის გააზრება („ხევისბერი გოჩას“ XX თავის მიხედვით)** – ამ თავში ძალიან კარგად ჩანს როგორც ხევისბერის დამოკიდებულება შვილის მიმართ, ასევე, ის პასუხ-ისმგებლობა, რომელსაც ონისეს აკისრებს. მოსწავლეები დაწვრილებითი კითხვები ორივე საკითხზე დაფიქრდებიან და პასუხების შემოწმებისას იმსჯელებენ კიდეც.

**ნაბიჯი 2 –**

- იმსჯელე, რამდენად აქტუალურია დღეს ეს საკითხი. (კომპოზიცია, კონტექსტი)
- შენი მოსაზრება დაასაბუთე, მოიყვანე მაგალითები; (ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 6 – შიმონ პერესი პიროვნებასა და საზოგადოებაზე** – ცნობილი პოლიტიკოსისა და ქვეყნის ლიდერის, შიმონ პერესის, სიტყვები ეხება პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხს თავისი ქვეყნის შესახებ.ამ ამონარიდზე მსჯელობა მოსწავლეებს უბიძგებს, თავადაც დაფიქრდნენ თავიან პასუხისმგე-ბლობებზე.

**აქტივობა 7 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის"** გვ. 470-71 – ეს რუბრიკა მოიცავს რამდენიმე კრიტიკოსის შეხედულებას. შეხედულებებში ხაზგასმულია შემდეგი საკითხები: გრძნობა და მოვალეობა; რატომ მოკლა მამამ შვილი?

ასევე მოსწავლემ უნდა შეასრულოს წერითი დავალება, რომლის თემაა: დანაშაული და შეცდომა.გამოხა-ტოს თავისი აზრი.

**აქტივობა 8 – კრიტიკული წერილის დამუშავება** – სახელმძღვანელოში შეტანილია ადაპტირებული ვერსია კრიტიკოს აკაკი ბაქრაძის წერილისა „არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა". მოსწავლეები ყურადღებით დაამუშავებენ ამ წერილს, რომელიც დანაშაულზე, სასჯელსა და პა-სუხისმგებლობაზე მსჯელობაა ორი ნაწარმოების მიხედვით: „გამზრდელი" და „ხევისბერი გოჩა".

**აქტივობა 9 – თემატური პარალელი** – ამ აქტივობაში მოსწავლეები გაეცნობიან მიხეილ ჯავახიშვილის, „ ჩვენი დროის 10 მცნებას", რომელზეც მსჯელობა დააფიქრებთ მათ თავიანთ პასუხისმგებლობაზე ქვეყნის წინაშე და არა მხოლოდ ამაზე.

**ნაბიჯი 3 –**

- დაიცავი ესეის სამნაწილიანი სტრუქტურა, აბზაცები, ციტირების წესები; (ჟანრი)

**აქტივობა 10 – რუბრიკა „წიგნიერება"** – ეს რუბრიკა მოიცავს ზოგად სტრატეგიებს, როგორ უნდა გაანალიზო ესა თუ ის ტექსტი, რას უნდა მიაქციო ყურადღება, რა გზებს შეიძლება მიმართო
.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ თვლი, რომ შენი ნამუშევარი ანალიტიკური ესეია?
- რომელი არგუმენტები გამოიყენე ტექსტიდან?
- რამდენად დაგეხმარა ესეიზე მუშაობა ნაწარმოების თემისა და იდეის უკეთ გაგებაში?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმ-დევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატე-გიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

# IV თავი – თავისუფალი ადამიანები

მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქედან

**საგანი:** ქართული ენა და ლიტერატურა
**ძირითადი რესურსი:** სახელმძღვანელო „ქართული“, XI კლასი, IV თავი, თავისუფალი ადამიანები
**კლასი:** XI

## ქართული ენა და ლიტერატურა
## საშუალო საფეხური

**თემა:** თავისუფალი ადამიანები
**თემაში გამოყენებული ტექსტები:**
1. ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია
2. „ალუდა ქეთელაური“ – ვაჟა-ფშაველა
3. „სტუმარ – მასპინძელი“ – ვაჟა-ფშაველა
4. „კაი ყმა“ – ვაჟა-ფშაველა
5. „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ – ვაჟა-ფშაველა
6. „რას ჰქვიან თავისუფლება?“ – ვაჟა-ფშაველა
7. „რა არის თავისუფლება?“ – ვაჟა-ფშაველა
8. „ალუდა ქეთელაური“ – გურამ რჩეულიშვილი
9. უიარაღო გმირი დესმონდ დოსი
10. ამერიკელი და გერმანელი მფრინავების მტრობა... და მეგობრობა

| საკითხები | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები** | **საკითხი 1.** „ალუდა ქეთელაურისა“ და „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით, პრეზენტაციის მომზადება თემაზე – მხატვრულ ლიტერატურაში ასახული მთაში გავრცელებული ტრადიციები. | **საკითხი 2.** ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით შედარებითი ესეის დაწერა – ალუდა და მინდია. | **საკითხი 3.** ვაჟა-ფშაველას ორი პოემის („ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“) ფინალური ნაწილების მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა. | **საკითხი 4.** ვაჟა-ფშაველას პოემებისა („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“) და რეალური პიროვნებების (დესმონდ დოსი, ამერიკელი და გერმანელი მფრინავები) ისტორიის მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა. |
| **ჟანრი** **ქვეცნება:** არამხატვრული ჟანრი მხატვრული ჟანრი | | **ქვესაკითხები:** შედარებითი ესეი და მისი მახასიათებლები; | **ქვესაკითხები:** პოემა, ანალიტიკური ესეი და მისი სტრუქტურა, | **ქვესაკითხები:** სინთეზური ესეი და მისი მახასიათებლები; |
| **კომპოზიცია** **ქვეცნება:** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები | **ქვესაკითხები:** ორივე ნაწარმოების ნაწარმოების თემა, იდეა, მოქმედების დრო და ადგილი. | **ქვესაკითხები:** პერსონაჟები, ალუდა და მინდია, და მათი თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულებები და ფასეულობები; | **ქვესაკითხები:** მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები; პოემების თემა და იდეა, | **ქვესაკითხები:** პერსონაჟები – მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები; |
| **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** **ქვეცნება:** რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები ენობრივი ფიგურები | | **ქვესაკითხები:** ტროპის სახეები, არგუმენტები და მაგალითები; | **ქვესაკითხები:** ტროპის სახეები, არგუმენტები და მაგალითები. | **ქვესაკითხები:** არგუმენტები, მაგალითები, ციტატები. |
| **კონტექსტი** **ქვეცნებები:** კონტექსტური ფაქტორები | **ქვესაკითხები:** ავტორთა ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციოკულტურული გარემო. | | | |
| | **კომპლექსური დავალება 1.** პრეზენტაცია – მხატვრულ ლიტერატურაში ასახული მთაში გავრცელებული ტრადიციები. | **კომპლექსური დავალება 2.** შედარებითი ესეი | **კომპლექსური დავალება 3.** ანალიტიკური ესეი – პოემის ფინალური ნაწილების ანალიზი | **კომპლექსური დავალება.** სინთეზური ესეი |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>2) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>3) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br><br>**ქვეცნებები:**<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი** – „ალუდა ქეთელაურისა“ და „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით, პრეზენტაციის მომზადება თემაზე – მხატვრულ ლიტერატურაში ასახული მთაში გავრცელებული ტრადიციები.<br><br>**ქვესაკითხები** – ორივე ნაწარმოების ნაწარმოების თემა, იდეა,<br>მოქმედების დრო და ადგილი. ავტორთა ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციოკულტურული გარემო.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>● როგორ წარმოვაჩინო ნაწარმოებებში ასახული ტრადიციების ცოდნა, მათი დადებითი თუ უარყოფითი და კავშირი მოთხრობისა თუ პოემის თემასა და იდეასთან?<br>● როგორ ვიპოვო კავშირი ნაწარმოებებში ასახულ და მწერლების რეალურ სოციოკულტურულ გარემოს შორის?<br><br>**კომპლექსური დავალება** – პრეზენტაცია თემაზე – მხატვრულ ლიტერატურაში ასახული მთაში გავრცელებული ტრადიციები.<br><br>გაიხსენე ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, რომელშიც ძალიან კარგადაა ასახული მთის ხალხის ტრადიციები.<br>„ალუდა ქეთელაურშიც“ არაერთი წეს-ჩვეულება გამოიკვეთა. ასევე, ნაწარმოებებში მეორდება ერთი და იგივე ტრადიციებიც.<br>ამ მოცემულობაზე დაყრდნობით მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე: მხატვრულ ლიტერატურაში ასახული მთაში გავრცელებული ტრადიციები („ალუდა ქეთელაურისა“ და „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით). |

**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:

**1) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**2) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

(შედეგები: 1, 6, 7)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**3) კონტექსტი**

(შედეგები: 1, 4)

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.

2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.

3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

**შეფასების კრიტერიუმები –**
**ნამუშევრის წარდგენისას:**

- წარმოაჩინე ტრადიციები, რომლებიც ჩანს ნაწარმოებებში – მათი დანიშნულება, მნიშვნელობა, დადებითი თუ უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; (კომპოზიცია)
- იმსჯელე არგუმენტირებულად, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ტრადიციის როლი კონკრეტული ნაწარმოებების თემისა თუ იდეის უკეთ გაგებისთვის (გამოყავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტრადიციები); (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- ისაუბრე, შენი აზრით, რატომ დაინტერესდნენ მწერლები ამ თემით და რას გვეუბნება ეს ინტერესი მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, შეხედულებებზე, სოციალურ წრესა და გარემოზე, რომელშიც ცხოვრობდნენ. (კონტექსტი)

**რესურსი:** ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“;
ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- წარმოაჩინე ტრადიციები, რომლებიც ჩანს ნაწარმოებებში – მათი დანიშნულება, მნიშვნელობა, დადებითი თუ უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; (კომპოზიცია)
- იმსჯელე არგუმენტირებულად, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ტრადიციის როლი კონკრეტული ნაწარმოებების თემისა თუ იდეის უკეთ გაგებისთვის (გამოყავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტრადიციები); (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)

***შენიშვნა: ამ პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ „ხევისბერი გოჩა“, რომელიც უკვე დამუშავებული აქვთ აქტივობებით, შეასრულეს კომპლექსური დავალებებიც. ამიტომ ამ მატრიცაში შევიტანთ მხოლოდ იმ აქტივობას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კომპლექსურ დავალებას.***

**აქტივობა 1 – მოქმედების ადგილი და პერსონაჟთა კულტურულ-სოციალური გარემო (ჯგუფური სამუშაო)** გვ. 424 **(„ხევისბერი გოჩას“ მიხედვით)**
ამ აქტივობის შესრულებისას მოსწავლეები ტექსტში დააკვირდებიან, როგორ აისახა ნაწარმოებში ის სოციოკულტურული გარემო, ის ტრადიციები, რომლებიც მთაში იყო გავრცელებული. ასევე იმსჯელებენ, რამდენად საჭიროა კონტექსტზე დაკვირვება ნაწარმოების თემისა და იდეის უკეთ გასააზრებლად.
სანიმუშო ცხრილში მოცემულია ორი მიმართულება:

- • ტრადიციები და რიტუალები
- • პერსონაჟები და მათი ფუნქცია-მოვალეობანი

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში **„ტექსტის გააზრებისთვის“** – გვ. 511, 516 გვ. 521, 523

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ბ, გ)** გვ. 517 – ამ რუბრიკით მოსწავლეები დაამუშავებენ ორ საკითხს:

- მუცალის მკლავის არმოჭრა რამდენად არის, ზოგადად, ამ ტრადიციაზე უარის თქმა?
- ამოღებულია ამონარიდი ვაჟა – ფშაველას პუბლიცისტური წერილიდან და ის უნდა დაუკავშირონ მოსწავლეებმა პოემის კონკრეტულ ეპიზოდს.

**აქტივობა 4 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (გ)** გვ. 524 – ამ აქტივობაში მოყვანილია ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ ჩანაწერი, რომელშიც აღწერილია მიცვალებულის გამოტირება-დაკრძალვის თანმხლები ადათი და რიტუალი. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, როგორ გადმოიტანა მწერალმა მხატვრულ რეალობაში ეს ადათი და რატომ?

**ნაბიჯი 2 –**

- ისაუბრე, შენი აზრით, რატომ დაინტერესდნენ მწერლები ამ თემით და რას გვეუბნება ეს ინტერესი მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, შეხედულებებზე, სოციალურ წრესა და გარემოზე, რომელშიც ცხოვრობდნენ. (კონტექსტი)

**აქტივობა 4 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** (გვ. 534) – ამ რუბრიკის საშუალებით, მოსწავლეები, ერთი მხრივ, იმსჯელებენ მტრის ხატზე მუდმივად ომში მყოფ საზოგადოებაში და მეორე მხრივ, წაიკითხავენ ამონარიდს ლიტერატორ რუსუდან ცანავას წერილიდან, რომელიც ეხება ტრადიციების ასახვას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. მოსწავლეებს ევალებათ, მოიძიონ ტექსტებში ის მონაკვეთები, რომლებშიც ჩანს უძველესი რიტუალები.

**აქტივობა 5 – ტრადიციებზე დაკვირვება** – აქტივობით მოსწავლეები თავს მოუყრიან პოემაში ნახსენებ ტრადიციებს. რაც მთავარია, მოიძიებენ დამატებით ცნობებს ამ წეს-ჩვეულებებზე და შეადარებენ, რამდენად ზუსტად გადმოიტანა მწერალმა ისინი მხატვრულ რეალობაში. იმსჯელებენ, როგორ უკავშირდება ისინი ნაწარმოების თემასა თუ იდეას.

**აქტივობა 6 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** – ამ რუბრიკაში დაწვრილებითაა ახსნილი გზები და ხერხები, თუ როგორ უნდა მოამზადონ მოსწავლეებმა პრეზენტაცია, რომ საინტერესო და სრულყოფილი გამოუვიდეთ.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად დაგეხმარა ტრადიციებზე დაკვირვება ნაწარმოებების თემისა და იდეის უკეთ გაგებაში?
- დავალებაზე მუშაობისას რა გაიგე ახალი თავად მწერლების რეალურ სოციოკულტურულ გარემოზე?
- რამდენად საინტერესო აღმოჩნდა მხატვრული და ცხოვრებისეული რეალობის შეპირისპირება?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N2 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ჟანრი<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები<br>ენობრივი ფიგურები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი** – ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით შედარებითი ესეის დაწერა – ალუდა და მინდია.<br><br>**ქვესაკითხები** – შედარებითი ესეი და მისი მახასიათებლები,<br>პერსონაჟები, ალუდა და მინდია, და მათი თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულებები და ფასეულობები;<br>ტროპის სახეები, არგუმენტები და მაგალითები;<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ წარმოვაჩინო პერსონაჟთა თვისებები შეხედულებები, დამოკიდებულებები და ფასეულობები?<br>• როგორ გამოვავლინო ტროპის სახეების ცოდნა?<br>• როგორ გამოვავლინო ესეის სტრუქტურისა და მახასიათებლების ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება** – შედარებითი ესეი – ალუდა ქეთელაური და მინდია<br><br>თემის ფონზე, გარდა ალუდასი, თავისი პოზიციითა და ალუდასადმი დამოკიდებულებით გამოირჩევა მინდია.<br>დაწერე შედარებითი ესეი, რომელშიც ერთმანეთს შეუპირისპირებ ორ პერსონაჟს: ალუდასა და მინდიას.<br>დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები. |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>**ნამუშევარში:**<br>• წარმოაჩინე ორივე პერსონაჟის თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულება მთავარი პრობლემის მიმართ არგუმენტირებულად, ციტატების მოშველიებით; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• ისაუბრე მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე (რა ადგილი უჭირავს მინდიას ალუდას ფერისცვალების პროცესში); (კომპოზიცია)<br>• განმარტე, რომელი მხატვრული ხერხებით წარმოაჩენს ავტორი თითოეულ პერსონაჟს; (ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• გაითვალისწინე შედარებითი ესეის სტრუქტურა და მახასიათებლები. (ჟანრი) |

| | |
|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ალმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | |

**რესურსი:** ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“, ვაჟა-ფშაველას „კაი ყმა“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- წარმოაჩინე ორივე პერსონაჟის თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულება მთავარი პრობლემის მიმართ არგუმენტირებულად, ციტატების მოშველიებით; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- ისაუბრე მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე (რა ადგილი უჭირავს მინდიას ალუდას ფერისცვალების პროცესში); (კომპოზიცია)
- განმარტე, რომელი მხატვრული ხერხებით წარმოაჩენს ავტორი თითოეულ პერსონაჟს. (ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 1– რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“** – ამ რუბრიკაში ხაზგასმულია პიროვნების სახეცვლილების, ე.წ. ფერისცვალების საკითხი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ნაწარმოების იდეას, რომელიც ახლა უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში **„ტექსტის გააზრებისთვის“** – გვ. 521 გვ. 523, 531

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ბ, გ)** გვ. 517 – ამ რუბრიკით მოსწავლეები დაამუშავებენ ორ საკითხს:

- მუცალის მკლავის არმოჭრა რამდენად არის, ზოგადად, ამ ტრადიციაზე უარის თქმა?
- ამოღებულია ამონარიდი ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილიდან და ის უნდა დაუკავშირონ მოსწავლეებმა პოემის კონკრეტულ ეპიზოდს.

**აქტივობა 4 – დაკვირვება მთავარი პერსონაჟის სულიერ გარდასახვაზე** – ამ აქტივობას მოსწავლეები დაიწყებენ პოემის დასაწყისშივე, მაგრამ მას ასრულებენ სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ: ისინი დააკვირდებიან, როგორ სულიერ გარდატეხას განიცდის პროტაგონისტი და ამ პროცესის ეტაპებს აღბეჭდავენ „სულიერი გარდასახვის კიბეზე“

**აქტივობა 5 – არამთავარი პერსონაჟის პორტრეტი (ჯგუფური სამუშაო)** – მოსწავლეები ამ აქტივობისას აკვირდებიან მინდიას პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით და თავიანთი დაკვირვების შედეგებს ასახავენ საგანგებო ცხრილში, რომელშიც მოცემულია შემდეგი კითხვები:

- როგორაა მინდია დახასიათებული? რას ვიგებთ მის შესახებ?
- რას აკეთებს ის და რატომ აკეთებს?
- რას ეუბნება მინდია ახალგაზრდებს?
- როგორ შეაფასებთ მის საქციელს, დამოკიდებულებას ალუდას მიმართ, ახალგაზრდების მიმართ?
- როგორ შეხვდა ალუდა მინდიას საქციელს? რატომ?
- როგორ ფიქრობ, გამოჩნდება თუ არა მინდია კიდევ? რატომ?

**აქტივობა 6 – „კაი ყმის“ ფენომენზე დაკვირვება** – ამ აქტივობით მოსწავლეები გაეცნობიან „ვაჟა-ფშაველას“ ერთ-ერთი ლექსის „კაი ყმის“ ნაწყვეტს, რომელშიც პოეტი აყალიბებს ვაჟკაცობის კრიტერიუმებს და შეადარებენ ალუდა ქეთელაურს .

**აქტივობა 7 – დაასრულე წინადადება** – ეს აქტივობა, რამდენიმე საკვანძო საკითხს მოიცავს, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება განსხვავებული ფორმით გამოხატონ თავიანთი შეხედულებები.

**აქტივობა 8 – მცირე დისკუსია – კრიტიკოსის შეხედულებათა ანალიზი, მინდიას სახის ორნაირი წაკითხვა** – ეს დისკუსია დაეხმარებათ მოსწავლეებს სხვადასხვა თვალით შეხედონ არამთავარ პერსონაჟს, კრიტიკულად შეხედონ ლიტერატორთა მოსაზრებებსაც და მკაფიოდ ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია.

**ნაბიჯი 2 –**

- გაითვალისწინე შედარებითი ესეის სტრუქტურა და მახასიათებლები.

**აქტივობა 9 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** – ამ რუბრიკაში დაწვრილებითაა ახსნილი შედარებითი ესეის სპეციფიკა, სტრუქტურა და საორიენტაციო კითხვები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, ადვილად გაართვან თავი დავალებას.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად უკეთ დაინახე ორივე პერსონაჟი შეპირისპირებისას?
- რომელი მითითებები გამოიყენე ტექსტიდან პერსონაჟებზე დასაკვირვებლად?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

<table>
<tr><th>გრძელვადიანი მიზანი</th><th>შუალედური სასწავლო მიზანი N3</th></tr>
<tr><td>

**სამიზნე ცნებები –**

1) ჟანრი

(შედეგები: 1, 3, 7)

2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

(შედეგები: 1, 6, 7)

**ქვეცნებები –**

არამხატვრული ჟანრი

მხატვრული ჟანრი

კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები

რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხ-ები

ენობრივი ფიგურები

</td><td>

**საკითხი** – ვაჟა-ფშაველას ორი პოემის („ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“) ფინალური ნაწილების მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა.

**ქვესაკითხები** – პოემა, ანალიტიკური ესეი და მისი სტრუქტურა,

პერსონაჟები – მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები;

პოემების თემა და იდეა, ტროპის სახეები, არგუმენ-ტები და მაგალითები.

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო ანალიტიკური ესეის მახასი-ათებლების ცოდნა?
- როგორ წარმოვაჩინო პოემების ფინალური ნაწილების მნიშვნელობა ნაწარმოებების იდეების გაგებისთვის?
- როგორ დავახასიათო პროტაგონისტები ფინალ-ური ეპიზოდების მიხედვით?

**კომპლექსური დავალება** – ანალიტიკური ესეი – ფინალური ნაწილის

მნიშვნელობა ნაწარმოების იდეის გაგებისთვის

ქვემოთ მოცემულია ვაჟა-ფშაველას ორი პოემის („ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“) ბოლო თავები. თითოეული მათგანი მკითხველისთვის არსებით ინფორმაციას შეიცავს.

გაანალიზე მონაკვეთები და იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია ისინი პოემათა იდეის გაგებისთვის.

</td></tr>
<tr><td>

**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:

**1) ჟანრი**

(შედეგები: 1, 3, 7)

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟან-რობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგა-ნიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.

2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად.

</td><td>

**შეფასების კრიტერიუმები:**

**ნამუშევარში:**

- იმსჯელე, როგორ წარმოჩნდებიან მთავარი გმირები მოცემულ მონაკვეთებში; ისაუბრე, მონ-აკვეთების მიხედვით, მათ ზნეობრივ ღირებულე-ბებსა და დამოკიდებულებებზე; (კომპოზიცია)
- გაანალიზე, როგორ უკავშირდება თითოეული დასასრული პოემის მთავარ იდეას; (კომპოზიცია)
- ახსენი, რომელი მხატვრული საშუალებებითაა გადმოცემული სათქმელი ფინალურ ნაწილში; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- იმსჯელე არგუმენტირებულად,მსჯელობისას დაიმოწმე ციტატები. (ენობრივ-გამომსახველო-ბითი)

</td></tr>
</table>

**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

(შედეგები: 1, 2, 4, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

(შედეგები: 1, 6, 7)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

3.ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**რესურსი:** ვაჟა-ფშაველას „ ალუდა ქეთელაური“
ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1 –**

- იმსჯელე, როგორ წარმოჩნდებიან მთავარი გმირები მოცემულ მონაკვეთებში; ისაუბრე, მონაკვეთების მიხედვით, მათ ზნეობრივ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებზე; (კომპოზიცია)
- გაანალიზე, როგორ უკავშირდება თითოეული დასასრული პოემის მთავარ იდეას; (კომპოზიცია)

**აქტივობა 1 – რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“** – ამ რუბრიკაში მოცემულია გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს გამონათქვამი, რომელიც იდეურად უკავშირდება ვაჟა-ფშაველას ორივე პოემას. გამონათქვამზე მსჯელობით მოსწავლეები გაიხსენებენ უკვე შესწავლილ „ალუდა ქეთელაურს“ და შეექმნებათ წინასწარგანწყობა, რა თემატიკაზე შესაძლოა იყოს შესასწავლი პოემა.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში „ტექსტის გააზრებისთვის“ – გვ. 543, 553 გვ. 555, 582, 592, 593.

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ა, ბ)** გვ. 573 ამ რუბრიკაში მოცემულია ორი ლიტერატორის, აკაკი ბაქრაძისა და თამაზ ვასაძის, წერილებიდან ამონარიდები, რომლებიც ეხება საკვანძო საკითხებს: ჯოყოლას არჩევანი და ალუდასა და ჯოყოლას შედარება. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები დაფიქრდნენ ამ საკითხებზე.

**აქტივობა 4 – მხატვრული კონფლიქტი და მისი ანალიზი** – ამ აქტივობით მოსწავლეები ჩაუღრმავდებიან პოემაში შექმნილ კონფლიქტებს. შესაბამისად, უკეთ გააცნობიერებენ ნაწარმოებში ასახულ პრობლემებს და დაინახავენ პერსონაჟებსაც.

**აქტივობა 5 – ორი პოემა – საერთო თემა** – აქტივობაში გამოკვეთილია მტრობის თემა, რომელიც ორივე პოემაში, „ალუდა ქეთელაურშიც“ და „სტუმარ-მასპინძელშიც“, მნიშვნელოვანია და პირდაპირ უკავშირდება ნაწარმოებების იდეას. მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ შეკითხვებს:
- როგორაა თითოეულ მათგანში დანახული მტრობის ფენომენი?
- როგორ უკავშირდება ეს მონაკვეთები ორივე ნაწარმოების მთავარ თემას?
- კონტექსტიდან გამომდინარე, რომელი ამონარიდი გამოხატავს ავტორის პოზიციას და რომელი – არა? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ წამოსწია ვაჟა-ფშაველამ წინა პლანზე მტრობის, მტერთან დამოკიდებულების თემა?
- შენ რამდენად იზიარებ პოეტის შეხედულებას? როგორ ფიქრობ, რამდენად აქტუალურია დღეს ეს თემატიკა?

**აქტივობა 6 – პერსონაჟთა დამოკიდებულებები** – ამ აქტივობაში მოცემულია ცხრილი, რომელშიც ორი პერსონაჟის სახელია შეტანილი : ალაზასი და ჯოყოლასი. მოსწავლეებმა უნდა დაწერონ, როგორი ურთიერთობა აქვთ ამ ორ პერსონაჟს თემთან, ზვიადაურთან, ერთმანეთთან და საკუთარ თავთან.

**ნაბიჯი 2 –**

- ახსენი, რომელი მხატვრული საშუალებებითაა გადმოცემული სათქმელი ფინალურ ნაწილში; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)
- იმსჯელე არგუმენტირებულად,მსჯელობისას დაიმოწმე ციტატები. (ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 7 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 594 – ამ რუბრიკის საშუალებით მოსწავლეები მიმოიხილავენ, როგორც ჩვენებას პოემის ფინალში, ასევე ისაუბრებენ მთავარ თავის თემატიკაზე – თავისუფალი ადამიანები.

**აქტივობა 8 – პერსონაჟთა მორალური ღირებულებების სამკუთხედი** – ეს საინტერესო და დასაფიქრებელი აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, შეაფასონ და გაანალიზონ ჯოყოლას, ალაზასა და ზვიადაურის იდეური გაერთიანება.

**აქტივობა 9 – რუბრიკა „ გაიფართოვე თვალსაწიერი“**, სათაურით „ამერიკელი და გერმანელი მფრინავების

მტრობა...და მეგობრობა“, პირდაპირ უკავშირდება პოემის თემასა და იდეას და პარალელი უნდა გაავლონ მოსწავლეებმა. იგივე რუბრიკაში მანამდე მოცემულია ამერიკელი ექიმის, დესმონდ დოსის, ისტორია. დავალება აქაც იგივეა, უნდა დაინახონ პარალელი – გვ.595

**აქტივობა 10 – ვაჟა-ფშაველა თავისუფლების შესახებ** – ეს აქტივობა მოიცავს ვაჟა-ფშაველას ორ პუბლიცისტურ წერილს, რომლებშიც მწერალი აყალიბებს თავის შეხედულება თავისუფლებასა და თავისუფალ ადამიანებზე. აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, შეაჯამოთ თავის თემატიკა, იმსჯელონ, რამდენად იმსახურებენ ვაჟა-ფშაველას პროტაგონისტები თავისუფალი ადამიანების წოდებას.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რა მდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფინალური ეპიზოდების განხილვა ნაწარმოებების იდეის უკეთ დასანახად?
- ბოლო ეპიზოდების განხილვამდე რომელი საკითხების დამუშავება დაგჭირდა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N4 |
|---|---|
| **სამიზნე ცნებები –**<br>1) ჟანრი<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>4) კონტექსტი<br>(შედეგები: 1, 4)<br><br>**ქვეცნებები –**<br>არამხატვრული ჟანრი<br>კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები<br>რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები<br>კონტექსტური ფაქტორები | **საკითხი** – ვაჟა-ფშაველას პოემებისა („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“) და რეალური პიროვნებების (დესმონდ დოსი, ამერიკელი და გერმანელი მფრინავები) ისტორიის მიხედვით ანალიტიკური ესეის დაწერა.<br><br>**ქვესაკითხები** – სინთეზური ესეი და მისი მახასიათებლები, პერსონაჟები – მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ფასეულობები;<br>არგუმენტები, მაგალითები, ციტატები.<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო მითითებული წყაროები სინთეზური ესეის დასაწერად?<br>• როგორ გამოვიყენო ესეის სტრუქტურისა და მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო პროტაგონისტთა ქცევა თეზისი არგუმენტად ან კონტრარგუმენტად?<br><br>**კომპლექსური დავალება – სინთეზური ესეი**<br>არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჰუმანიზმს, ზნეობრივ ღირებულებებსა და პრინციპებს, მორალურად გამართლებულ ქმედებას არჩევენ კრიტიკულ სიტუაციებში. ზოგიერთ შემთხვევაში მათი პრინციპული გადაწყვეტილება და ქმედება ფიზიკური მარცხისთვისაა განწირული.<br>გმირებმა იციან, რომ რეალობას სასურველით ვერ შეცვლიან ან შესაძლოა, ფიზიკურადაც შეეწირონ გადაწყვეტილებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც მოქმედებენ ისე, როგორც გამართლებულად მიაჩნიათ.<br>***რა შედეგის მომტანია ფიზიკური მარცხისთვის განწირული ქმედებები და არის თუ არა „განწირული სულისკვეთება“ მიზანშეწონილი მაშინ, როდესაც იცი, რომ ერთი ხელის მოსმით უკეთესობისკენ ვითარებას ვერ შეცვლი?***<br>დაწერე ესეი, რომელშიც წარმოაჩენ შენს თვალსაზრისს, განმარტავ პოზიციას. მოსაზრებების საილუსტრაციოდ და დასასაბუთებლად გამოიყენე ოთხივე წყარო:<br>წყარო I – „ალუდა ქეთელაური“<br>წყარო II – „სტუმარ-მასპინძელი“<br>წყარო III – დესმონდ დოსი<br>წყარო IV – ამერიკელი და გერმანელი მფრინავების მტრობა... და მეგობრობა |

| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები | შეფასების კრიტერიუმები: |
|---|---|
| მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:<br><br>**1) ჟანრი**<br>(შედეგები: 1, 3, 7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად.<br><br>**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები: 1, 2, 4, 7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: 1, 6, 7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | **ნამუშევარში:**<br>• არგუმენტირებულად გადმოეცი საკუთარი თვალსაზრისი მოცემულ თეზისზე; (ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• თვალსაზრისის გადმოცემისა და არგუმენტირებისას გამოიყენე პირობაში მითითებული წყაროები; მითითებული წყაროებიდან მოიყვანე კონკრეტული მაგალითები, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს, დაიმოწმე ციტატები პოემებიდან; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• დაიცავი ესეის სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. (ჟანრი) |

**რესურსი:** ვაჟა-ფშაველას „ ალუდა ქეთელაური“

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“

დესმონდ დოსის ისტორია

ამერიკელი და გერმანელი მფრინავების მტრობა... და მეგობრობა

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებ შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება? რაში დაგჭირდება დახმარება?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

***ეს სინთეზური ესეი, ფაქტობრივად, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შეჯამებაა. რადგან მოსწავლეებს ამ კომპლექსურ დავალებამდე შესრულებული აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება და მათთან დაკავშირებული არაერთი აქტივობა, ამ მატრიცაში შევა მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც თავში შემავალ ბოლო და ძალიან მნიშვნელოვან ნაწარმოებებს უკავშირდება.***

**ნაბიჯი 1 –**

- არგუმენტირებულად გადმოეცი საკუთარი თვალსაზრისი მოცემულ თეზისზე; (ენობრივ-გამომსახველობითი)
- თვალსაზრისის გადმოცემისა და არგუმენტირებისას გამოიყენე პირობაში მითითებული წყაროები; მითითებული წყაროებიდან მოიყვანე კონკრეტული მაგალითები, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს, დაიმოწმე ციტატები პოემებიდან; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი)

**აქტივობა 1 – რუბრიკა „ტექსტის წაკითხვამდე“** – ამ რუბრიკაში მოცემულია გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს გამონათქვამი, რომელიც იდეურად უკავშირდება ვაჟა-ფშაველას ორივე პოემას. გამონათქვამზე მსჯელობით მოსწავლეები გაიხსენებენ უკვე შესწავლილ „ალუდა ქეთელაურს“ და შეექმნებათ წინასწარგანწყობა, რა თემატიკაზე შესაძლოა იყოს შესასწავლი პოემა.

**აქტივობა 2** – ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკებში **„ტექსტის გააზრებისთვის“** – გვ. 567, 572 გვ. 580, 586

**აქტივობა 3 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (ა, ბ)** გვ. 573 ამ რუბრიკაში მოცემულია ორი ლიტერატორის, აკაკი ბაქრაძისა და თამაზ ვასაძის, წერილებიდან ამონარიდები, რომლებიც ეხება საკვანძო საკითხებს: ჯოყოლას არჩევანი და ალუდასა და ჯოყოლას შედარება. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები დაფიქრდნენ ამ საკითხებზე.

**აქტივობა 4 – მხატვრული კონფლიქტი და მისი ანალიზი** – ამ აქტივობით მოსწავლეები ჩაუღრმავდებიან პოემაში შექმნილ კონფლიქტებს. შესაბამისად, უკეთ გააცნობიერებენ ნაწარმოებში ასახულ პრობლემებს და დაინახავენ პერსონაჟებსაც.

**აქტივობა 5 – ორი პოემა – საერთო თემა** – აქტივობაში გამოკვეთილია მტრობის თემა, რომელიც ორივე პოემაში, „ალუდა ქეთელაურშიც“ და „სტუმარ-მასპინძელშიც“, მნიშვნელოვანია და პირდაპირ უკავშირდება ნაწარმოებების იდეას. მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ შეკითხვებს:

- როგორაა თითოეულ მათგანში დანახული მტრობის ფენომენი?
- როგორ უკავშირდება ეს მონაკვეთები ორივე ნაწარმოების მთავარ თემას?

- კონტექსტიდან გამომდინარე, რომელი ამონარიდი გამოხატავს ავტორის პოზიციას და რომელი – არა? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ წამოსწია ვაჟა-ფშაველამ წინა პლანზე მტრობის, მტერთან დამოკიდებულების თემა?
- შენ რამდენად იზიარებ პოეტის შეხედულებას? როგორ ფიქრობ, რამდენად აქტუალურია დღეს ეს თემატიკა?

**აქტივობა 6 – პერსონაჟთა დამოკიდებულებები** – ამ აქტივობაში მოცემულია ცხრილი, რომელშიც ორი პერსონაჟის სახელია შეტანილი : ალაზასი და ჯოყოლასი. მოსწავლეებმა უნდა დაწერონ, როგორი ურთიერთობა აქვთ ამ ორ პერსონაჟს თემთან, ზვიადაურთან, ერთმანეთთან და საკუთარ თავთან.

**აქტივობა 7 – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“** გვ. 594 – ამ რუბრიკის საშუალებით მოსწავლეები მიმოიხილავენ, როგორც ჩვენებას პოემის ფინალში, ასევე ისაუბრებენ მთავარ თავის თემატიკაზე – თავისუფალი ადამიანები.

**აქტივობა 8 – პერსონაჟთა მორალური ღირებულებების სამკუთხედი** – ეს საინტერესო და დასაფიქრებელი აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, შეაფასონ და გაანალიზონ ჯოყოლას, ალაზასა და ზვიადაურის იდეური გაერთიანება.

**აქტივობა 9 – რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერი“,** სათაურით „ამერიკელი და გერმანელი მფრინავების მტრობა... და მეგობრობა“, პირდაპირ უკავშირდება პოემის თემასა და იდეას და პარალელი უნდა გაავლონ მოსწავლეებმა. იგივე რუბრიკაში მანამდე მოცემულია ამერიკელი ექიმის, დესმონდ დოსის, ისტორია. დავალება აქაც იგივეა, უნდა დაინახონ პარალელი – გვ. 595

**აქტივობა 10 – ვაჟა-ფშაველა თავისუფლების შესახებ** – ეს აქტივობა მოიცავს ვაჟა-ფშაველას ორ პუბლიცისტურ წერილს, რომლებშიც მწერალი აყალიბებს თავის შეხედულება თავისუფლებასა და თავისუფალ ადამიანებზე. ეს აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, შეაჯამოთ თავის თემატიკა, იმსჯელონ, რამდენად იმსახურებენ ვაჟა-ფშაველას პროტაგონისტები თავისუფალი ადამიანების წოდებას.

**ნაბიჯი 2 –**

- დაიცავი ესეის სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.(ჟანრი)

**აქტივობა 11 – რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“** – როგორც ყოველთვის, ეს რუბრიკა ეთმობა სინთეზური ესეის სპეციფიკისა და მასზე მუშაობის სტრატეგიებს, რაც მოსწავლეებს გაუადვილდეთ დავალების შესრულება.

**კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რამდენად შრომატევადი აღმოჩნდა წყაროთა შეჯამება, ერთმანეთთან დაკავშირება?
- რამდენად დაგეხმარა რეალური ისტორიები თეზისზე საუბრისას?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი – რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი ან რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი ხერხები/სტრატეგიები თუ გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- თანაკლასელების ნამუშევართაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

# კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

ჩვენი სახელმძღვანელო აგებულია კომპლექსურ დავალებებზე. ისინი შეტანილია მასწავლებლის წიგნში მოცემულ თემატურ მატრიცებში, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება აქტივობები და კომპლექსური დავალებები ერთმანეთს და როგორ მოიცავს თითოეული თემა ყველა ცნებას. თუმცა თქვენ, მასწავლებლები, აბსოლუტურად თავისუფალი ხართ სასკოლო კურიკულუმის შედგენისას და შეგიძლიათ, თვითონაც შექმნათ კომპლექსური დავალებები და შეიტანოთ მასში.

ამიტომაც მატრიცებს თან დავურთავთ კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა შედგენისას დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად სწორი გზით მიდიხართ.

| კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები | არ აკმაყოფილებს | ნაწილობრივ აკმაყოფილებს | სრულად აკმაყოფილებს | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| კონტექსტი | | | | |
| 1) მკაფიოა რა ფორმით/რა პროდუქტის სახით უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ დავალება (რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა); | | | | |
| 2) კომპლექსური დავალების კონტექსტი ახლოს დგას მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან:<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია დავალების ფორმა (არ სჭირდება იმაზე დაფიქრება, თუ რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა);<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სფერო/კონტექსტი, რომელშიც მას ახალი ცოდნის ტრანსფერი ევალება (ბუნებრივი და იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელსაც მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობა სთავაზობს). | | | | |
| 3) კომპლექსური დავალებისთვის კონტექსტი იმგვარადაა შერჩეული, რომ ის ბუნებრივად უკავშირდება საგნობრივ საკითხს, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება ახალი ცოდნა | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4) მკაფიოდ ჩანს ერთი კონკრეტული (და არა ზოგადი) საგნობრივი საკითხი, რომელსაც კომპლექსური დავალება შეეხება. | | | | |
| 5) საკითხი იმგვარადაა შერჩეული, რომ ლოგიკურია მისთვის სასწავლო პროცესის ვრცელი მონაკვეთის დათმობა. | | | | |
| 6) დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეს მის შესასრულებლად აუცილებლად სჭირდება საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი ცოდნის შეძენა და პროცედურებზე მუშაობა. | | | | |
| 7) მკაფიოა, თუ რა რესურსზე დაყრდნობით უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით საგნობრივი საკითხის შესწავლა. | | | | |
| განზოგადება | | | | |
| 8) შეფასების კრიტერიუმები მკაცრ კორელაციაშია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. | | | | |
| 9) შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად ერწყმის კომპლექსური დავალების პირობას. | | | | |
| 10) შეფასების კრიტერიუმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ მათი დაკმაყოფილებისთვის მოსწავლეს ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა სჭირდება. | | | | |

# განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

(ამონარიდი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მომზადებული გზამკვლევიდან)

როგორ უნდა შეფასდეს მოსწავლის მიღწევები?

სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მოსწავლის შეფასება. სწავლება და შეფასება ერთი მედლის ორი მხარეა და არ წარმოადგენს ერთმანეთისგან იზოლირებულ ორ კომპონენტს. მოსწავლე შეიძლება შეფასდეს უშუალოდ სასწავლო პროცესში, სპეციალურად დანიშნული გამოკითხვებისა და საკონტროლო წერების გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ განმავითარებელ შეფასებაში შემფასებელი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეც. მაგალითად, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გასცენ და მიიღონ უკუკავშირი თავიანთი თანაკლასელებისგან და ასევე აქტიურად გამოიყენონ მეტაკოგნიტური და კოგნიტური სტრატეგიები თვითშეფასების მიზნით.

სწავლის პროცესის შეფასებაში ამგვარი ჩართულობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

| | საკლასო შეფასება | | გარე შეფასებები |
|---|---|---|---|
| განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი? | განმავითარებელი | განმსაზღვრელი | განმსაზღვრელი |
| შეფასების ფორმები და შემფასებლები | მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, ცოდნის/გაგების შემამოწმებელი კითხვები, რუბრიკები, ქვიზები და ა.შ.<br>მოსწავლეები: თვითშეფასება, თვითრეგულირებული სწავლა (მეტაკოგნიცია და თვითრეგულაცია), ურთიერთშეფასება | მასწავლებელი: ქულით ან/და კომენტარით შეფასებული შემაჯამებელი შეფასებები (ქულას შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით) | გარე შემფასებელი: ერთიანი ეროვნული გამოცდები, სტანდარტიზებული ტესტები, Cambridge KET, PET, FCE; PISA, PIRLS, TIMMS |
| ამოცანები | ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება;<br>წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა;<br>მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება;<br>მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. | ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.<br>კურიკულუმის, გამოყენებული ინსტრუქციული სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება და ა.შ. | აკადემიური წლის განმავლობაში ცოდნის შემაჯამებელი შეფასება; მოსწავლეების სელექცია უნივერსიტეტებში ჩასარიცხად და ა.შ. |
| მიზნები | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;<br>მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა. | მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. | სასერტიფიკატო შეფასება, მოსწავლეების მიღწევის დონის შეფასება. |

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია ყოველი განმსაზღვრელი შეფასების შედეგი, იქნება ეს ნიშანი თუ რეკომენდაცია, გამოყენებული იქნეს განმავითარებელი მიზნებისთვისაც.

განმავითარებელი შეფასების წარმოებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს განმავითარებელი შეფასების 5 სტრატეგია/ფაქტორი:

- რომელ მიზანზეა (გრძელვადიანი/შუალედური) ორიენტირებული განმავითარებელი შეფასება;
- რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას?
- რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად?
- რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს?
- რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტურ ასპექტებს?

<table>
<tr><th></th><th>საით მიემართება მოსწავლე</th><th>რა ეტაპზეა ახლა მოსწავლე</th><th>როგორ მივაღწიოთ მიზანს</th></tr>
<tr><td>მასწავლებელი</td><td rowspan="3">რა სასწავლო მიზნებთან, მათ შორის გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირთან, მიმართებით ყალიბდება განმავითარებელი შეფასება?</td><td>რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას?</td><td>რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად?</td></tr>
<tr><td>თანატოლი</td><td colspan="2">რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს?</td></tr>
<tr><td>მოსწავლე</td><td colspan="2">რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტურ ასპექტებს?</td></tr>
</table>

განმავითარებელი შეფასების ნაწილს წარმოადგენს ასევე მასწავლებლის თვითრეფლექსია, ანუ იმის ანალიზი, თუ რამდენად მოახდინა მასწავლებლის საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე; რა უნდა იქნას გათვალისწინებული შემდგომ პერიოდში სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

<table>
<tr><td colspan="3">განმავითარებელი შეფასება</td></tr>
<tr><td>მიზნობრივი ორიენტირი</td><td>მეტაკოგნიცია</td><td>ფუნქციური/კომპონენტური უნარები</td></tr>
<tr><td colspan="3">მოსწავლის მიღწევების აღწერა –<br>რჩევა მოსწავლეებს –<br>მასწავლებლის თვითრეფლექსია –</td></tr>
</table>

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მოსწავლის მიღწევების გაანალიზებაში მასწავლებელს დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ზემოთ ნახსენები ტაქსონომია, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ საკითხთან მიმართებით სამიზნე ცნების გააზრების ხარისხი ალიწერება.

**განმსაზღვრელი შეფასებისთვის** ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ორი მოდელი გამოიყენება.

**მოდელი 1** – ნიშანი იწერება მიმდინარე საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, ხოლო სემესტრული ქულა გამოითვლება ამ სამი კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

**მოდელი 2** – ნიშანი იწერება მხოლოდ შემაჯამებელ დავალებებში. მათ რაოდენობას თავად სკოლა განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

სკოლას უფლება აქვს სხვადასხვა კლასში, სხვადასხვა საგანში განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა მოდელი გამოიყენოს.

ქვემოთ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოაჩენს, თუ რა ნიუანსები უნდა შეფასდეს ნიშნით სწავლა-სწავლების პროცესში.

| ზოგადი კრიტერიუმი (ზოგადი) | შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული) | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|---|
| მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში | მოსწავლემ მართებულად გაიგო კომპლექსური დავალების პირობა. | | |
| მოსწავლე ამჟღავნებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას; პროცედურული ცოდნის გამოყენებით განაზოგადებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 1. | | |
| მოსწავლეს შეუძლია განაზოგადოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის სახით ჩამოყალიბებული მოსაზრებები. | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 2. | | |

# სოლოტაქსონომია

**რა არის სოლოტაქსონომია (ანუ დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია)?**

სოლოტაქსონომია არის შეფასების მოდელი, რომელიც უფრო კოგნიტურ პროცესებზეა ორიენტირებული, ვიდრე – მიღწეულ შედეგებზე. მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რომელ დონეს მიაღწია და როგორი პროგრესი აქვს სააზროვნო პროცესებში კონკრეტულ მოსწავლეს.

სწავლების კონსტრუქტივისტულ თეორიაზე დაფუძნებით. სოლოტაქსონომია მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, დააკვირდეს მოსწავლის კოგნიტური განვითარების პროცესს და მისცეს კონსტრუქციული უკუკავშირი, რომელიც სწავლაში დაეხმარება.

**სოლოტაქსონომიაში გამოიყოფა 5 ძირითადი დონე:**

- პრესტრუქტურული დონე – მოსწავლეს არ ესმის დავალების პირობა, საკითხები, რომლებსაც დავალება უკავშირდება, მისთვის სრულიად უცნობია, ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას და შესაბამისად, შესრულებას.
- უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს აქვს მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ; მას შეუძლია მარტივი, აშკარა, ზედაპირული კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მნიშვნელობას ვერ იგებს.
- მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლე აცნობიერებს საგნის ან დავალების რამდენიმე ასპექტს, მაგრამ ვერ იაზრებს მას ცნებების დონეზე. ის ამყარებს მთელ რიგ კავშირებს, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ ესმის. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს, დააკავშიროს, შეუსაბამოს ან გააკეთოს ალგორითმები. ამ დონის შეფასება, პირველ რიგში, რაოდენობრივია.
- მიმართებითი დონე – მოსწავლეს შეუძლია სწორად გაიგოს საკითხი, ინფორმაცია. მისი ცოდნა არ არის დანაწევრებული, ის ასრულებს დავალებას არა რაოდენობრივად, არამედ მთლიანობაში; არსობრივად, საგნობრივი ცნებების დონეზე აქვს გააზრებული, რასაც აკეთებს.
- მოსწავლეთა სწავლის შედეგები აჩვენებს შედარების, მიზეზ-შედეგობრივი აზროვნების, თანმიმდევრობის, ანალიზის, მთლიანი აზროვნების, ანალოგის გამოყენებისა და კითხვების ფორმულირების მტკიცებულებებს. ეს ის დონეა, რომელიც საგნის ადეკვატურ გაგებას გულისხმობს.
- გაფართოებული აბსტრაქტული – ამ დონეზე მოსწავლე იაზრებს საკითხს, ინფორმაციას, დავალებას არა მარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში. მას შეუძლია განაზოგადოს, შეიტანოს თავისი პირადი გამოცდილებაც, გამოამჟღავნოს ზოგადი განათლება, შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები; შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, თეორიზაცია, ჰიპოთეზირება, შექმნა და ასახვა.

სოლოტაქსონომია იძლევა შესაძლებლობას, რომ დავაკვირდეთ არა მხოლოდ მოსწავლის კოგნიტურ შესაძლებლობებს და კონსტრუქციული კომენტარებით დავეხმაროთ მას, უკეთ გაიაზროს ესა თუ ის საკითხი, არამედ ძალიან კარგი ინდიკატორია მასწავლებლისთვის, შეაფასოს, სწორად წარმართა თუ არა სწავლების ეტაპები კომპლექსურ დავალებამდე. მაგალითად, თუკი სოლოტაქსონომიით შეფასებული ნაშრომების უმეტესობა ვერ სცდება მულტისტრუქტურულ დონეს, ეს უნდა იყოს მინიშნება მასწავლებლისთვის, რომ მეტი იმუშაოს ცნებების თვალსაზრისით თავის მოსწავლეებთან, უფრო მეტი აქტივობა გააკეთებინოს მათ, სანამ კომპლექსურ დავალებას შეასრულებდნენ.

საგულისხმო და გასათვალისწინებელია, რომ სოლოტაქსონომია ძალიან საჭირო და კარგი ინსტრუმენტია მხოლოდ განმავითარებელი შეფასებისთვის და მისი განმსაზღვრელ შეფასებად გამოყენება (დონეების მიხედვით ქულების განაწილება) დაუშვებელია.

# სოლოტაქსონომია

რუბრიკა ივსება თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად

მოსწავლის სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

საგანი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ქართული ენა და ლიტერატურა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

საკითხი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

კომპლექსური დავალების პირობა: _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | ჟანრი | კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე | ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები | კონტექსტი | |
|---|---|---|---|---|---|
| აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | ***მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე*** | | | | |
| მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მულტისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | |
| უნისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | |
| პრე-სტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. |

**SOLO** ტაქსონომიის გამოყენებისას ყურადღება მიაქციეთ რამდენიმე გარემოებას:

4. რუბრიკაში მოცემულია საგნის ყველა სამიზნე ცნება. მასწავლებელს ყველა მათგანის შევსება არ ევალება, რუბრიკაში ის სამიზნე ცნების სვეტი უნდა შეავსოს, რომელსაც კომპლექსური დავალება ეხება;

5. კომენტარის გაკეთებისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს რომელ ცნებასთან და რომელ დონესთან მიმართებით აღიწერება მოსწავლის მიღწევები და შემდეგ შესაბამის გრაფაში ჩაწეროს კომენტარი. ამდენად, მასწავლებელი ავსებს მხოლოდ და მხოლოდ ერთ გრაფას;

6. მასწავლებელი განმავითარებელ შეფასების კომენტარს წერს არა ყოველი გაკვეთილის ბოლოს, არამედ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

# როგორ შევქმნათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები?

განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები იქმნება სავალდებულო თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგად ინდიკატორებზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემულია საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტში (მასწ. წიგნი, გვ. 10). აქედანვე გამომდინარეობს კონკრეტული დავალებისა თუ აქტივობის შეფასების კრიტერიუმები.

ინდიკატორების შეფასების კრიტერიუმებად გარდაქმნისთვის საჭიროა:

- სტანდარტიდან შევარჩიოთ სავალდებულო თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები დავალების პირობის შესაბამისად;
- შერჩეული ინდიკატორები დავაკონკრეტოთ დავალებისა თუ აქტივობის ქვესაკითხების მიხედვით;
- გავითვალისწინოთ, რომ თითოეული რუბრიკა შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ან ყველა სამიზნე ცნებას ერთდროულად (ეს დამოკიდებულია კონკრეტულ დავალებასა თუ აქტივობაზე);
- განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში მივანიჭოთ ქულობრივი წონა თითოეულ კრიტერიუმს.

კომპლექსური დავალებები ფასდება განმავითარებელი შეფასებით. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულია სახელმძღვანელოში შეტანილ კომპლექსურ დავალებაზე შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ორიოდე მაგალითი და ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ერთ-ერთი აქტივობისთვის.

**კომპლექსური დავალება: ანალიტიკური ესეი „მგზავრის წერილების“ მიხედვით**

„მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას შეეხო. ესენია:

- სტუდენტური წლების მნიშვნელობა ახალგაზრდა ადამიანისთვის;
- დროებით ემიგრანტად წასული ადამიანისა და ქვეყნის ურთიერთობა;
- მოძრაობა, ქმედება როგორც ადამიანის, ისე ქვეყნის სრულფასოვანი ცხოვრების განმსაზღვრელი;
- ქვეყნის თავისუფლების მნიშვნელობა რიგითი მოქალაქისთვის.

აირჩიე ერთ-ერთი მათგანი და დაწერე ანალიტიკური ესეი. წერისას დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

**ნამუშევარში წარმოაჩინე:**

- რატომ აირჩიე ეს პრობლემა;
- როგორაა ეს პრობლემა ასახული ნაწარმოებში;
- შესაბამისი არგუმენტები და ციტატები ტექსტიდან;
- პრობლემის აქტუალობა თანამედროვე ცხოვრებაში.
- ესეის სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

## განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსური დავალებისთვის

| საზიზნე ცნებები | საზიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | მოლოდინები მოსწავლეს შეუძლია: | მასწავლებლის კომენტარი |
|---|---|---|---|
| საზიზნე ცნება 1.<br>**ჟანრი** | 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | ანალიტიკური ესეის ჟანრობრივი მახასიათებლების (სტრუქტურა და ენობრივი სტილი) გამოყენება. | |
| საზიზნე ცნება 2.<br>**კომპოზიცია** | 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | მსჯელობა „მგზავრის წერილებში" ასახულ პრობლემასა და ავტორის პოზიციაზე კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით. გაანალიზება, თუ როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ტექსტში, როგორ უკავშირდება ის ნაწარმოების თემასა და იდეას. | |
| საზიზნე ცნება 3.<br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** | 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | საკუთარი პოზიციის წარმოჩენა არგუმენტირებულად, დასაბუთება ტექსტიდან შესაბამისი ციტატების გამოყენებით. | |
| საზიზნე ცნება 4.<br>**კონტექსტი** | 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | „მგზავრის წერილებში" წარმოდგენილი პრობლემისა და ავტორის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში, მისი შეფასება თანამედროვეობის გადმოსახედიდან. | |

**კომპლექსური დავალება: შედარებითი ესეი – ალუდა და მინდია**

თემის ფონზე, გარდა ალუდასი, თავისი პოზიციითა და ალუდასთან დამოკიდებულებით გამოირჩევა მინდია.

დაწერე შედარებითი ესეი, რომელშიც ერთმანეთს შეუპირისპირებ ორ პერსონაჟს: ალუდასა და მინდიას. დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

ნამუშევარში:

- წარმოაჩინე ორივე პერსონაჟის თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულება მთავარი პრობლემის მიმართ არგუმენტირებულად, ციტატების მოშველიებით;
- ისაუბრე მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე (რა ადგილი უჭირავს მინდიას ალუდას ფერისცვალების პროცესში);
- განმარტე, რომელი მხატვრული ხერხებით წარმოაჩენს ავტორი თითოეულ პერსონაჟს;
- გაითვალისწინე შედარებითი ესეის სტრუქტურა.

**განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსური დავალებისთვის**

| სამიზნე ცნებები | სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | მოლოდინები მოსწავლეს შეუძლია: | მასწავლებლის კომენტარი |
|---|---|---|---|
| სამიზნე ცნება 1. **ჟანრი** | 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. | შედარებითი ესეის ჟანრობრივი მახასიათებლების (სტრუქტურა და ენობრივი სტილი) გამოყენება. | |
| სამიზნე ცნება 2. **კომპოზიცია** | 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | • ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟების, ალუდასა და მინდიას, შედარება, მსჯელობა მათ პიროვნულ თვისებებზე, შეხედულებებზე,დამოკიდებულებაზე და მათ მიმართებაზე პოემის თემასა თუ მწერლის მთავარ სათქმელთან.<br>• პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება. | |
| სამიზნე ცნება 3. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** | 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | პერსონაჟებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად წარმოჩენა, ტექსტიდან შესაბამისი ციტატების გამოყენებით.<br>პერსონაჟთა დასახასიათებლად გამოყენებული ტროპის სახეების გაანალიზება-შეფასება. | |

**აქტივობა – „დიალოგი“ ლექსებით**

დააკვირდი გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ლექსების ამონარიდებს, დაწერე თემა და იმსჯელე შემდეგ საკითხებზე:

- რა ბრალდებას უყენებს ახალ თაობას გრიგოლ ორბელიანი?
- რას პასუხობს ბრალდებაზე ილია?
- შენთვის რომლის პოზიციაა მისაღები და რატომ?
- შენი აზრით, რა უნდა გააკეთონ ჩვენს საუკუნეში ადამიანებმა მშობლიური ენის დაცვისთვის?

**პასუხი შვილთა**
გრიგოლ ორბელიანი

სხვათა ხელი ჰყვეს
კეთილსა საქმეს:
სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

**პასუხის პასუხი**
ილია ჭავჭავაძე

„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის“ –
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვათ – ჩვენა თუ თქვენა?
ეხლა რომ ბლავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონი ჩვენზედ უწინა?!
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც გარეთ და შინა.
ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დაჰსთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.
„ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი“,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარა გადააფარა.

**განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას სახელმძღვანელოში მოცემული ერთ-ერთი აქტივობისთვის:**

| სამიზნე ცნებები | სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | მოლოდინები მოსწავლეს შეუძლია: | ქულები | მასწავლებლის კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| სამიზნე ცნება 1. **კომპოზიცია** | 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.<br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის;<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | მსჯელობა გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ლექსების ამონარიდებში ასახულ პრობლემასა და ავტორთა პოზიციასთან დაკავშირებით; გაანალიზება, თუ როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში, რა არის თითოეული ამონარიდის თემა და იდეა. | 2 ქულა | |
| სამიზნე ცნება 2. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** | 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2.მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3.ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | საკუთარი პოზიციის წარმოჩენა არგუმენტირებულად, ტექსტიდან შესაბამისი ციტატების გამოყენებით, პრობლემის მოგვარების მისეული გზის შემოთავაზება. | 2 ქულა | |
| სამიზნე ცნება 3. **კონტექსტი** | 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ლექსებში წარმოდგენილი პრობლემის, მისი მნიშვნელობისა და აქტუალობის შეფასება თანამედროვეობის გადმოსახედიდან. | 2 ქულა | |

*შენიშვნა: „მასწავლებლის კომენტარის" ველში პედაგოგმა უნდა ახსნას, რაში და რატომ დაუწერა ესა თუ ის ქულა მოსწავლეს. პირობითად, 2 ქულიდან რატომ მიიღო 1 ქულა ან რატომ დაეწერა 0.*

ოთხი ქულა (1-იდან 4-მდე) მოსწავლეს ავტომატურად ენიჭება, თუკი ჩართული იყო სასწავლო პროცესში და წარმოადგინა დავალება. ამას ემატება ქულების ის რაოდენობა, რომელსაც მიიღებს კრიტერიუმებით განსაზღვრული 6 ქულიდან.

თუკი მოსწავლე არ მონაწილეობდა სასწავლო პროცესში და არ წარმოადგინა დავალება, არ შეფასდება ქულებით.

# მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები

მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება სწავლა-სწავლების პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგან ის განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმაა. იდეებისთვის ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე სტრატეგიას, კითხვარების რამდენიმე ნიმუშს. თქვენ შეგიძლიათ, მოარგოთ სწავლების პროცესს თქვენთვის სასურველ ეტაპს, ასევე შეცვალოთ კითხვები, ფორმატი.

## თვითშეფასება

**აქტივობა – ბლიცინტერვიუ ვრცელი ნაწარმოების შესწავლის შემდეგ**

ეს შემაჯამებელი აქტივობა დაგეხმარება, გაიხსენო ნაწარმოების შესწავლის პროცესში შენ მიერ განვლილი გზა, შეაფასო გაწეული სამუშაო, დააკვირდე გამოცდილებას, რომელიც ნაწარმოებზე მუშაობამ შეგძინა.

- სავარჯიშოს შესასრულებლად დაგჭირდება ვიდეოს ჩაწერა (მოიმარჯვე ჩასაწერი მოწყობილობა).

თავდაპირველად ყურადღებით წაიკითხე და გაიაზრე აქ ჩამოწერილი კითხვები. შეგიძლია, მცირე ჩანიშვნებიც გააკეთო (რათა მნიშვნელოვანი სათქმელი არ დაგვიწყდეს).
მოცემულ კითხვებს უპასუხე გულწრფელად, ლაკონიურად და ამომწურავად:

1. როგორი განწყობით დაიწყე ნაწარმოების სწავლა?
2. თუ შეიცვალა შენი განწყობა სწავლის პროცესში? (ან კარგისკენ, ან ცუდისკენ?)
3. რა სირთულეს/სირთულეებს წააწყდი სწავლის პროცესში?
4. დაასახელე ერთი რამ ნაწარმოებიდან, რომელზეც შეგიძლია თქვა, რომ ჩვენს ახლანდელ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციასაც ერგება.
5. დაახასიათე ნაწარმოები სამი სიტყვით;
6. რომელი პერსონაჟი აღმოჩნდა შენთვის ყველაზე საინტერესო? რატომ?
7. ნაწარმოებში აღწერილი რომელი სიტუაცია შეიძლება გაგახსენდეს კრიტიკულ სიტუაციაში? რატომ?
8. როგორ ფიქრობ, მოგინდება თუ არა წლების მერე ამ ნაწარმოების გადაკითხვა? რატომ? (ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში)
9. რას ურჩევდი მათ, ვინც ახლა უნდა დაიწყოს ამ ნაწარმოების სწავლა?
10. ინტერვიუ დაასრულე ერთი ამონარიდით, რომელიც შენთვის მნიშვნელოვან აზრს გამოხატავს.

**ჩვენ გირჩევთ**

- კარგი იქნება, თუ ისეააწყობთ ვიდეოს, რომ ჯერ გამოჩნდეს ან ისმოდეს კითხვა და მერე თქვენ ისაუბროთ.
- ეცადეთ, ვიდეო არ იყოს 2 წუთზე მეტი.
- გააკეთე საცდელი ვიდეოჩანაწერი – ერთი წუთის განმავლობაში ისაუბრე შენთვის კარგად ნაცნობ ნებისმიერ თემაზე. დააკვირდი საკუთარ ჟესტიკულაციას, მიმიკას, საუბრის მანერას. მოინიშნე, რისი გაუმჯობესება გმართებს (არის თუ არა ხანგრძლივი პაუზები წინადადებებს შორის? ზედმეტად მკვეთრი ხომ არაა ჟესტიკულაცია? იმზირები თუ არა კამერის ობიექტივში?)
- აჩვენე ვიდეოჩანაწერი ოჯახის წევრს ან მეგობარს, სთხოვე, კრიტიკულად შეაფასონ ჩანაწერი. დაფიქრდი მიღებულ რჩევებზე.

## თვითშეფასების კითხვარი

სახელმძღვანელოს ამ თავის დასრულების შემდეგ შეყოვნების, დაფიქრების, შეჯამების, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაანალიზების, შეფასების დროა.

თვითანალიზი, თვითშეფასება დაგეხმარება, ჯეროვნად შეაფასო საკუთარი შესაძლებლობები, მიღებული ცოდნის ხარისხი.

ეს ჩაფიქრება საინტერესო და მნიშვნელოვანია პროცესია.

ერთგვარი „დიალოგი საკუთარ თავთან“, წრფელი, ობიექტური დამოკიდებულება გაჩვენებს – სად ხარ, რას მიაღწიე, რის გაუმჯობესება გჭირდება და რა უნდა გაითვალისწინო სამომავლოდ.

გთავაზობთ თვითშეფასების სხვადასხვა ტექნიკას.

**ა.** აქ თავმოყრილია კითხვები. დაფიქრდი და გაეცი პასუხი:
კითხვები მიღწეული წარმატების გასაცნობიერებლად
(ნაფიქრი ჩაიწერე სამუშაო რვეულში.)

- რა სირთულეები დავძლიე ნაწარმოებების შესწავლისას?
- როგორ მივაღწიე ამას?
- რა სტრატეგიები გამოვიყენე?
- რა არის ის, რის გაკეთებაც არ გამომდიოდა ადრე, ახლა კი, თავისუფლად შემიძლია?

**ბ.** დაასრულე წინადადებები ლოგიკურად, საკუთარ თავსა და სწავლის პროცესზე დაკვირვებით:

- განვლილი მასალის სწავლისა და დამუშავების პროცესში...
- საინტერესო იყო...
- ყველაზე უკეთ გამომივიდა...
- ჩემი განწყობა...
- მე ვისწავლე...
- რთული აღმოჩნდა...
- მე გავიგე, რომ...
- მე ახლა შემიძლია...
- ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ...
- მე მნიშვნელოვანი მომეჩვენა...
- სახალისოდ მეჩვენა...
- შთამბეჭდავი იყო...
- კლასელს დავეხმარე, ...
- კლასელი დამეხმარა...

## თვითშეფასების კითხვარი

თვალი გადაავლე ტექსტზე მუშაობის პროცესს, გზას, რომელიც გაიარე კომპლექსურ დავალებამდე სხვადასხვა აქტივობისა თუ რუბრიკის დახმარებით და შეავსე ცხრილი რვეულში (სურვილის შემთხვევაში, შეგიძლია, ისაუბრო):

| კითხვები თვითშეფასებისთვის | ჩემი კომენტარი |
|---|---|
| რამდენად საინტერესო აღმოჩნდა ეს თავი (ტექსტი, აქტივობები, კომპლექსური დავალებები) ჟანრობრივი თვალსაზრისით? | |
| რამდენად დაგეხმარა ნაწარმოების მთავარი სათქმელის, იდეის გაგებაში პერსონაჟებზე დაკვირვება? | |
| შენი აზრით, რამდენად საჭიროა ისტორიული კონტექსტის ცოდნა ამა თუ იმ ნაწარმოების სწორად გაგებისთვის? | |
| განსაკუთრებით რომელი აქტივობის შესრულებამ გაგიადვილა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა? | |
| რომელი რუბრიკა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე საინტერესო? | |

## თვითშეფასება

შესრულებული სამუშაო დაგანახვებს, რა შედეგს მიაღწიე, რა განწყობა და დამოკიდებულებები დაგიტოვა განვლილმა თემებმა, შესწავლილმა ტექსტებმა, საკითხებმა, რომლებსაც ჩაუღრმავდით..

**ტექნიკა 3 2 1**

მიღებული ინფორმაციის მოწესრიგება, მონაცემთა ანალიზი, ცნობების დახარისხება მნიშვნელოვანი უნარია. ტექნიკა 3 2 1 დაგეხმარება, მოაწესრიგო მონაცემები, გააანალიზო მიღებული ინფორმაცია:

დაასახელე:

3 რამ, რაც არ იცოდი და შეიტყვე სახელმძღვანელოს ამ ნაწილის დამუშავების შედეგად;

2 რამ, რის შესახებაც ისურვებდი, მეტი გაგეგო;

1 რამ, რაზეც მოიძიებ დამატებით ინფორმაციას ახლა.

დაასახელე:

3 რამ ლიტერატურის თეორიიდან;

2 რამ რუბრიკიდან „გაიფართოვე თვალსაწიერი“;

1 რამ, რაც XIX საუკუნის ლიტერატურაზე ხსენებაზე გაფიქრდება.

## ურთიერთშეფასება

**აქტივობა – ინტერვიუ კლასელთან**

- *სავარჯიშოს მიცემამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას ინტერვიუს ეთიკურად ჩატარების წესი. მნიშვნელოვანია რესპონდენტის გაფრთხილება, რომ მზადდება ჩანაწერი (აუდიო ან ვიდეო). აუცილებელია რესპონდენტისგან სიტყვიერი ან წერილობითი თანხმობის მიღება. რესპონდენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით და სად განთავსდება მასალა.*

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესწავლის შემდეგ საინტერესოა, რა განწყობა-დამოკიდებულება, რა მიმართება გაგიჩნდათ შენ და შენს თანატოლებს შესწავლილის მიმართ. ნებისმიერი პროცესის დასრულების შემდეგ „უკან მოხედვა“, მიღებულ გამოცდილებაზე დაკვირვება, ჩაღრმავება, თვალის გადავლება, შეფასება, სასარგებლო და საინტერესოა.

ინტერვიუს ფორმატი დაგეხმარება, გულწრფელი, უშუალო საუბარი წარმართო თანაკლასელთან ერთად; თქვენ საშუალება გექნებათ, გაუზიაროთ ერთმანეთს მიღებული გამოცდილება, მოსაზრებები; სხვისი შეხედულებების მოსმენა აფართოებს ჩვენს თვალსაწიერს, გვაჩვენებს განსხვავებულ ხედვის კუთხეს;

ინტერვიუს მიზანი არ იქნება კამათი ან დისკუსია. მნიშვნელოვანია, მოუსმინოთ ერთმანეთს და მიიღოთ სხვისი შეხედულება განსჯის, კრიტიკის გარეშე.

**მოემზადე ინტერვიუსთვის**
მოიმარჯვე სამუშაო რვეული, კალამი და ხმის ჩასაწერი მოწყობილობა (დიქტოფონი, ტელეფონი, კამერა...);

ჩამოწერე 3 კითხვა, რომლებსაც კლასელს დაუსვამ;

გაითვალისწინე, კითხვა არ უნდა იყოს ცალმხრივი და არ უნდა შეიცავდეს ინტერვიუერის განწყობას (ასეთი კითხვის ნიმუშია: გაუგებარი და რთული ტექსტების შესწავლა ძალიან გაგიჭირდა?). კითხვები განაპირობებს ინტერვიუს ხარისხს.

მოიფიქრე ისეთი კითხვები, რომლებიც კი/არა პასუხებს არ გულისხმობს და საშუალებას მისცემს რესპონდენტს, იფიქროს, იმსჯელოს.

თუკი მოსმენისას ახალი კითხვა დაგებადება, სამუშაო რვეულში ჩაინიშნე და მხოლოდ მას შემდეგ დაუსვი მოსაუბრეს, როდესაც ის დაასრულებს პასუხის გაცემას.

დამატებითი კითხვების დასმისას გამოიყენე ისეთი ენობრივი ფორმულები, როგორებიცაა: „როგორც საუბრისას აღნიშნე...“, „შენ ახსენე, რომ...“, „თუ სწორად გავიგე, გულისხმობ, რომ...“, „მივუბრუნდები შენ მიერ ნახსენებ... და დავაზუსტებ...“;

ინტერვიუ საინტერესოა, როცა საკითხი მრავალმხრივაა განხილული, კითხვების შედგენისას გაითვალისწინე ეს. შეეცადე, საუბარი ისე წარმართო, რომ მოსაუბრეს საშუალება ჰქონდეს, გამოავლინოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დამოკიდებულება. თუ პასუხები დაუსაბუთებლად მოგეჩვენება, დასვი დამაზუსტებელი კითხვები.

ინტერვიუს დასრულების შემდეგ იწყება მთავარი სამუშაო – შენ უნდა მოუსმინო ჩანაწერს და მოსმენილი სიტყვიერ ჩანაწერად აქციო. ეს შრომატევადი სამუშაოა. სხვისი ზეპირი მეტყველების ნაწერად ქცევისას გაიწაფები წინადადებების გამართვაში და წერითი მეტყველების უნარსაც დახვეწ.

# დამხმარე მასალები

## პოემა

სიტყვა „პოემა“ ბერძნულად ნიშნავს შეთხზულს, ქმნილებას. ძველი პოემები წარმოიშვა სხვადასხვა დამოუკიდებელი ლექსისაგან. თითოეულ მათგანში აღწერილი იყო საინტერესო ეპიზოდი სახალხო გმირისა თუ რომელიმე ცნობილი, მნიშვნელოვანი პიროვნების ცხოვრებიდან. შემდეგში ასეთი ლექსები შეუერთეს ერთი უფრო საინტერესო მოვლენის გამომხატველ ლექსს. ყველა ლექსში მოთხრობილი ამბები მიაწერეს ერთს, უფრო მნიშვნელოვან პიროვნებას და, ამგვარად, წარმოიშვა **ძველი საგმირო პოემა.**

მისთვის დამახასიათებელია:

დიდი ამბავი;

- კომპოზიციური სირთულე;
- დიდი მოცულობა;
- მოქმედების ფართოდ გაშლა და, შესაბამისად, დროის დიდი მონაკვეთი;
- პერსონაჟების სიმრავლე, ზოგჯერ გმირთა საქმეების იდეალიზაცია;
- ამბის ჰიპერბოლური გადმოცემა, დინჯი, დარბაისლური კილო.

არსებობს **ახალი პოემაც,** რომელიც შედარებით პატარა მოცულობისაა. მისი მახასიათებლებია:

- არ აქვს რთული სიუჟეტი, დროის მონაკვეთი მცირეა;
- ამბის ცენტრშია გმირი და მისი სულიერი განცდები, ლირიკული
- განწყობილება;
- ძველი საგმირო პოემისთვის დამახასიათებელი გმირის ზვიადობა, უძლეველობა, უჩვეულობა უარყოფილია.

ავტორი ერევა მოქმედების განვითარებაში, ხშირად ჩანს მისი დამოკიდებულება კონკრეტული პრობლემის მიმართ და განცდები.

მწერლის ყურადღება პიროვნებაზეა გადატანილი, თუმცა, მასში გამოსახვის საგნად ხშირად რჩება მნიშვნელოვანი ამბავი მთელი ერის ცხოვრებიდან. ამ შემთხვევაში ახალი პოემის ავტორები თავიანთი ნაწარმოების შინაარსს იღებენ არა ხალხური გადმოცემებიდან, როგორც იქცეოდნენ ძველი პოემის ავტორები, არამედ – ისტორიული წარსულიდან.

# ტროპის სახეები

ტროპი არის ენობრივი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება, რომლის ერთ-ერთი ზუსტი განსაზღვრა ჯერ კიდევ ძველ რომში გაჩნდა. „ტროპი სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის ისეთი შეცვლაა, როცა ხდება მნიშვნელობის გამდიდრება“. მთავარია მკითხველმა შეძლოს „მნიშვნელობის გამდიდრების“ დანახვა, ანუ იმ ახალი აზრის დანახვა, რომელიც ჩნდება მხატვრულ ტექსტში სიტყვის „გარდასახვის“ მეშვეობით.

ტროპის სახეებია: შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ალეგორია, ირონია, ჰიპერბოლა, გამეორება, გაპიროვნება და ა.შ.

**შედარება** – მხატვრული ხერხი, რომელშიც ერთი ფაქტი ან მოვლენა შედარებულია მეორესთან. ძირითადად შედარებაში გამოყენებულია კავშირები: ისე ... როგორც, თანდებული -ვით, -ებრ და ასე შემდეგ. მაგალითად: არ მიგრძნია ჩემი დედის ძუძუ, ყველაფერი სიზმარივით მიდის; კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ, მე გულს მაწევხარ ნისლადა.

**ეპითეტი** (ბერძნ. – ზედდართული, დამატებული) – მხატვრული განსაზღვრა, პოეტური განმარტება, დახასიათება. გამოხატულია ხშირად ზედსართავი სახელით. განსაზღვრებისგან გამოირჩევა იმით, რომ განსაზღვრება ხაზს უსვამს საგნისა თუ მოვლების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს. ეპითეტის მაგალითია: ანკარა წყალი, ნამლევი მთვარე და ა.შ.

**მეტაფორა** (ბერძნ. გადატანა) – მხატვრული გამოსახვის სტილისტიკური ხერხი. პოეტურად შესაძლებელს, დასაშვებს, ასოციაციებითა თუ კონტრასტით, ანალოგიებით წარმოსადგენს ემყარება ან აგებულია სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე.

*„მზემ მოკრიფა მთლად თავისი სხივები, ჩაიწყო უბეში, შეიხვია კალთაში, მოეფარა მთას და განისვენა“* – მეტაფორაა და გადმოსცემს დაღამებას. მეტაფორაში საგნებსა და მოვლენებს მიწერილი აქვთ ისეთი თვისება, რომელიც მათ არ ახასიათებთ, მაგრამ პოეტურად დასაშვებია. ხანდახან მისი გამოცნობა ძნელია. არისტოტელე ამბობდა: „თუ სათქმელი შედგება მეტაფორისგან, იგი გამოცანაა“.

**ალეგორია** (ბერძნ. – გადაკრულად თქმა) – გადაკრულად ნათქვამი სიტყვა თუ სიტყვათა რიგი, რომელშიც მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. მასში ნათქვამია ერთი და იგულისხმება მეორე (ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი და სხვ.). მისი მიზანია ავტორის აზრის შენიღბვა. აკაკი წერეთლის „ჭაღარაში“ გვხვდება ასეთი სტროფი:

*„ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,*

*მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს,*

*ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,*

*მოელის ტურფა გამომხსნელს!“*

ნესტან-დარეჯანი, ქაჯებისგან დატყვევებული სატრფო, დაპყრობილი საქართველოს ალეგორიაა.

**ჰიპერბოლა** (ბერძ. გაზვიადება) – ტროპის ისეთი სახეა, რომელიც საგანსა თუ მოვლენას გაზვიადებულად წარმოადგენს. ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და გადაჭარბებას, გაზვიადებას ნიშნავს. მაგალითად:

*„ქვითინებს გულამოსკვნითა, ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.“*

ხშირად ჰიპერბოლა და მეტაფორა ძნელი გასარჩევია, მათ გასარჩევად ყურადღება უნდა მიექცეს იმას,რომ მეტაფორის შემთხვევაში სათქმელი გაბუნდოვნებულია, ხოლო ჰიპერბოლაში ამოსაცნობი არაფერია, მხოლოდ გაზვიადებულია. მაგალითად: *„რა წყალი ნახის, გარდიხდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა, მას თანაჰრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“– ხაზგასმული სტრიქონში გამოყენებულია ჰიპერბოლა, წყაროს წყალს სისხლვარეული ცრემლი ერთვოდა, გამოხატავს ცრემლის სიჭარბეს (ცრემლს სისხლი ერთვის). „მოწყენის ტყვიებს მიმიზნებს წვიმა და სველი ფრთებით სად გავფრინდები?!“* – აქ კი გამოყენებულია მეტაფორა, ლირიკული გმირი უზომოდ მოწყენილი და იმედგაცრუებულია.

**გაპიროვნება** – პერსონიფიკაცია – მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულო საგანი წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. განსხვავდება მეტაფორისაგან იმით, რომ მეტაფორაში ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე, გაპიროვნებაში კი გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები. მაგალითად: *„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი.“– გაპიროვნებაა, მაგრამ: „დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა“* – მეტაფორაა.

**გამეორება** – მხატვრული საშუალება, რომელიც აზრის გაძლიერების მიზნით გამოიყენება. გამეორება, ძირითადად, პოეზიაში გვხვდება. მაგალითად: „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ...“

**ირონია** – დაცინვის მიზნით, შებრუნებული მნიშვნელობით აზრის გამოთქმა. ასეთ შემთხვევაში „მშვენიერს“, „კარგს“ დაცინვის მიზნით იყენებენ. ე.ი. მათში იგულისხმება მახინჯი, ცუდი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აზრი გამოთქმულია საწინააღმდეგო, ანუ შებრუნებული მნიშვნელობით. მაგალითად: „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“...

## ბგერწერა და ლექსთწყობა

**ასონანსი** ერთი და იგივე ხმოვანი ბგერების განმეორებაა სტრიქონში.

მაგალითად: *„დავეცი, დავბნდი, წამიხდა, ძალი მხართა და მკლავისა “.*

ასონანსი აძლიერებს შინაარსის გამომსახველობას. ზემოთმოყვანილ ციტატაში „ა“-ს გამეორება თითქოს გვაგრძნობინებს მოქმედი პირის გულისცემის აჩქარებას. ტარიელის ბაგიდან ნესტანის მშვენიერების მიმანიშნებელი სიტყვები „ა“ ბგერის გამეორების საშუალებით გლოვის მწუხარე მელოდიად ისმის. ასონანსი გამოიყენება აგრეთვე ვიწრო მნიშვნელობით და იგი არაზუსტი რითმის ერთ-ერთი სახეობაა.

**მაჯამა** იგივე ომონიმური რითმაა, სტრიქონები ერთი და იგივე სიტყვით/სიტყვებით სრულდება, თუმცა შინაარსი სხვადასხვა აქვს. მაგალითად:

*„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,*

*სერზე შევდეგ, ჭმუნვის ალი მენელა,*

*მზემან სხივი მომაფინა მაშინა,*

*სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა“.*

**ალიტერაცია** (ლათ. alliteratio) – ერთი და იმავე თანხმოვანი ბგერების გამეორებაა სალექსო სტრიქონში. იგი გამოსახვის პოეტური ხერხია, ემოციური ზეგავლენის საშუალებაა, ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმაა. ალიტერაცია ქმნის ლექსის კეთილხმოვნებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკური თვალსაჩინოებას და ამით მკითხველზე ახდენს ესთეტიკურ გავლენას. თითქმის ყველა პოეტი მეტ-ნაკლებად იყენებს ალიტერაციას. ალიტერაციის ოსტატური გამოყენებით ძალიან ხშირად წარმტაცი მუსიკალობაა მიღწეული.

აი მაგალითებიც:

1. *„გველნი გაშლით მოეკეცნეს, ბალი შელმა შერაშენდა“.*

ბგერების გამეორება მაშინაა პოეტური, ესთეტიკური, როცა მას ახლავს ამსახველობითი ემოციური ძალა. ბგერების უაზრო ფორმალისტური თამაში მოკლებულია მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

ალიტერაციულ ლექსში ხშირად რიტმის საყრდენია ტაეპთა საწყისი სიტყვები, რომლებიც ალიტერაციულადაა გამართული. ალიტერაციული ლექსთწყობა მიღებულია საერთოდ. იგი უყვარს ქართულ ხალხურ პოეზიასაც.

2. *„მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი,*

*მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი,*

*მოდი ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა,*

*მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა“.*

# დებატები

დებატები რომ სრულყოფილად წარიმართოს:

- წინასწარ მოიფიქრეთ არგუმენტები, მაგალითები, რომლებითაც მაქსიმალურად მოიცავთ დებატების თემას;
- გაითვალისწინეთ მოწინააღმდეგე გუნდის მზაობა და ინტერესები;
- ეფექტიანად, დამაჯერებლად გამოიყენეთ როგორც ვერბალური (სიტყვიერი), ისე არავერბალური (ჟესტი, მიმიკა, პოზა...) კომუნიკაციის საშუალებები;
- მკაცრად დაიცავით დებატების წესები.

**როგორ წარმართოთ დებატები**

კლასი იყოფა ორ გუნდად (უმჯობესია, ფარული კენჭისყრის პრინციპით), რომელთაგან ერთს მიენიჭება მტკიცებითი პოზიციის სტატუსი, ანუ გუნდის წევრები ეთანხმებიან მოცემულ თეზისს, ხოლო მეორე გუნდს – უარმყოფელი პოზიციის სტატუსი.

**მოსამზადებელი სამუშაოები:**

თითოეული მოსწავლე მუშაობს წინასწარ თავისი გუნდის პოზიციის გასამყარებელი დამაჯერებელი არგუმენტების მოძიებაზე. მერე თავი მოუყარეთ გუნდის თითოეული წევრის არგუმენტებს, შექმენით ვორდში დებატების სახელმძღვანელო მსგავსი ცხრილი და ერთობლივად შეავსეთ:

| მტკიცებითი/უარმყოფელი პოზიცია |
|---|
| თეზისი |
| |
| I არგუმენტი |
| |
| II არგუმენტი ნიმუში |
| |
| III არგუმენტი (შეიძლება, უფრო მეტი არგუმენტიც ჩაწეროთ) |
| |
| დამამტკიცებელი მასალა (ფაქტები, სტატისტიკა, სპეციალური ლიტერატურა, ლიტერატურული თუ ისტორიული პარალელები...) |

**გაითვალისწინეთ!**

გუნდები თავიანთ პოზიციას (მტკიცებითი ან უარმყოფელი) იგებენ თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე. ამით თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, დებატების დაწყებამდე დაამუშაოთ საწინააღმდეგო პოზიცია და მოიფიქროთ გამაბათილებელი არგუმენტები.

**ამის შემდეგ უნდა გაინაწილოთ ფუნქციები:**

**სპიკერების არჩევა**

გუნდში უნდა აირჩიოთ სამი სპიკერი, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან სხვადასხვა არგუმენტზე. სპიკ-ერები წარადგენენ გუნდის არგუმენტს და პასუხს სცემენ მოწინააღმდეგე გუნდის კითხვებს. დებატების დროს თითოეულ სპიკერს პასუხის მოფიქრებაში ეხმარება გუნდი.

**მსაჯები**

მსაჯების როლი დებატებში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ისინი წყვეტენ, საბოლოოდ რომელმა გუნდმა გაიმარჯვა.

მათი გადაწყვეტილება აუცილებლად თამაშიდან გამომდინარე და ობიექტური უნდა იყოს. მსაჯები უნდა ინიშნავდნენ მოთამაშეების მიერ დაშვებულ შეცდომებს, გაბათილებულ თუ გაუბათილებელ არგუმენტებს და წესების დარღვევებს. დებატების დასრულებისას თითოეულ მსაჯს აქვს პროცესის დეტალური ჩანაწერი, რათა ადვილად დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

**გახსოვდეთ!**

უმჯობესია, დებატებს ჰყავდეს რამდენიმე მსაჯი, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა იყოს ლუწი, რომ საბ-ოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს არ გაიყოს ხმები თანაბრად. მსაჯის დაკვირვების ბარათის ნიმუში (უნდა მოამზადოთ ცალ-ცალკე მტკიცებითი და უარმყოფელი პოზიციისთვის)

| თეზისი | I სპიკერი | II სპიკერი | III სპიკერი |
|---|---|---|---|
| | | | |
| I არგუმენტი | | | |
| II არგუმენტი | | | |
| III არგუმენტი | | ნიმუში | |
| დასკვნა | | | |

დებატები გუნდური თამაშია. გუნდის თითოეულ წევრს გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია, რაც გა-მოიხატება იმით, რომ იგი მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს. ფუნქციების შეუსრულებლობას ან არევას კი, როგორც წესი, გუნდი დამარცხებამდე მიჰყავს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დროის მართვაც, წინასწარ შეთანხმდით, რამდენ დროს დაუთმობთ თითოეულ სპიკერს სალაპარაკოდ და კითხვებზე პასუხის გასაცემად.

დებატების დასრულების შემდეგ აუცილებლად იმსჯელეთ, როგორ წარიმართა პროცესი, რა გამოგივიდათ კარგად, რა შეცდომები დაუშვით ზოგადად და რა უნდა გაითვალისწინოთ მომავალში, რათა უკეთ შეძლოთ ამ საკითხებზე მსჯელობა.

# პროექტი

## გზა ინტელექტუალურ თამაშამდე

## (თამაში „რა? სად? როდის?“ და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება)

სტატიის პირველივე წინადადებაში ის უნდა აღვნიშნო, რომ ვიცი, არც სათაურში ნახსენები ეს თამაშია ჩემი აღმოჩენა, არც მისი სასწავლო მიზნით გამოყენება – ჩემი მიგნება. უბრალოდ, ძალიან მომინდა, აღმეწერა სერიოზული თამაშისთვის მზადების პროცესი, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე თამაში (არადა, მოზარდების მიზანი სწორედ თამაში იყო) და დაინტერესებულ პირთათვის გამეზიარებინა გამოცდილება გამზადებული რესურსებითურთ.

მე-11 კლასის პროგრამა დახუნძლულია უმნიშვნელოვანესი მწერლების ნაწარმოებებით. პანდემიისას სკოლასთან გაგარეულებულ, საკლასო ოთახში ჯდომას გადაჩვეულ, ჯგუფურ- და წყვილებში მუშაობააკრძალულ, რიგი მიზეზების გამო ისევ ჰიბრიდულ რეჟიმში მსწავლელ, პირბადეებში დამალულ მეთერთმეტეკლასელებს მე-19 საუკუნის ლიტერატურას რომ ვასწავლიდი, ვერაფრით ვიშორებდი საშინლად მტანჯველ უკმარისობის განცდას, რომ ისე ვერ ვასწავლე, ისე ვერ დავანახე, ისე ვერ განვაცდევინე, როგორც საჭირო იყო. უმრავლესობა რაღაცნაირად ულიმღამოდ, აუნთებლად მომყვებოდა. არადა, მეორე სემესტრი თითქმის იწურებოდა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დავასრულეთ, მაგრამ მაინც ვერ ვეშვებოდი, ეს უკმარისობის განცდა არ მიშვებდა, ისევ ვუტრიალებდი.

რეგულაციები ბოლომდე მოიხსნა და აი, მაშინ ვიფიქრე, რომ „რა?სად?როდის?“ უშველიდა ამ საქმეს. ანკესი იყო ის, რომ კლასში რამდენიმე მოსწავლეს ჰქონდა ამ თამაშში ქალაქის დონეზე მონაწილეობის გამოცდილება და შესაბამისად, გამარჯვების ამბიციაც. პირობა იყო ასეთი: მასალის დამუშავებაში, კითხვების მომზადებაში ჩაერთვებოდა მთელი კლასი, შემდეგ კი შეიქმნებოდა მოთამაშეთა იმდენი 5-6-მოსწავლისაგან შემდგარი გუნდი, რამდენი მსურველიც იქნებოდა. გადაწყდა, რომ ისინი შეეჯიბრებოდნენ პარალელური კლასების მოსწავლეებს.

ამ სტატიაში ვეცდები, მთლიანი პროცესი გავწერო ნაბიჯებად.

***ნაბიჯი I*** – შევარჩიეთ ნაწარმოებები, რომლებსაც დაამუშავებდნენ თამაშისთვის.ესენი იყო პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“. შეეძლოთ, ჩაერთოთ ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიაც, მოგონებები მასზე.

***ნაბიჯი II*** – მოსწავლეებს გავაცანი მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე წიგნიდან: „ვაჟა-ფშაველა, 156 ამბავი“ (გამომცემლობა **არტანუჯი**), რამდენიმე გაკვეთილზევე წავიკითხეთ და ვიმსჯელეთ. სახლში დაბრუნებულმა უკვე წაკითხულ მოგონებებს დავუმატე ახლებიც და ავუტვირთე ონლაინჯგუფში და დავალებად მივეცი, აერჩიათ ნებისმიერი მოგონება და მოემზადებინათ მეორე დღისთვის 2-3 შეკითხვა, რომლებსაც კლასს დაუსვამდნენ. ეს მცირე აქტივობა კარგი სტარტი აღმოჩნდა სერიოზულ მუშაობაზე გადასასვლელად, რადგან გაკვეთილზე მოსწავლეებმა თავად გამოავლინეს, რომელი იყო ჩვენი თამაშის შესაფერისი (რომელიც მოითხოვდა ინტუიციას + ერუდიციას + ლოგიკას) და რომელი უბრალოდ, ფაქტობრივ ცოდნაზე გათვლილი ან სამსჯელო, ჩვეულებრივი სტრუქტურის შეკითხვა. ამ მსჯელობა-გადარჩევამ მოსწავლეებს უფრო ცხადი წარმოდგენა შეუქმნა, რა კუთხით უნდა ეფიქრათ, ემუშავათ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებზე. *კონკრეტულად: კითხვა უნდა იყოს ისე ჩამოყალიბებული, რომ პასუხის გამოცნობა ზოგადი განათლებისა და ლოგიკის დახმარებით იყოს შესაძლებელი. ამისთვის კითხვის შემდგენელმა უნდა მიმართოს პარალელებს, მინიშნებებს, ასოციაციებს, დაიხმაროს ნაწარმოების ეპოქალურ-კულტურული კონტექსტი, მწერლის საკვანძო, საყრდენი შეხედულებები.*

რადგან ზუსტად ვიცოდით, რომელ ნაწარმოებებზე მუშაობდნენ სხვა კლასის მოზარდებიც, ამიტომ დავუშვით ფაქტობრივ ცოდნაზე მორგებული შეკითხვებიც.

***III ნაბიჯი*** – უკვე შესწავლილ პოემებს ცალ-ცალკე დავუთმეთ დრო, რათა ხელმეორედ გადაეხედათ, დაემუშავებინათ და კითხვები მოემზადებინათ. კითხვებს ამზადებდნენ ინდივიდუალურად, სახლში, მიგზავნიდნენ წინასწარ. მე ვახარისხებდი, ჩემ მიერ მოფიქრებულ 1-2 კითხვასაც ვუმატებდი და მეორე დღეს ვაჩაღებდით გუნდურ თამაშს კლასში. ეს იყო ერთდროულად კითხვების დატესტვის რეჟიმიც და მოთამაშეთა წვრთნაც. პარალელურად ვმსჯელობდით საკვანძო საკითხებზეც. ასე დავამუშავეთ სამივე ნაწარმოები ცალ-ცალკე ხელმეორედ. ჩემთვის სასიხარულო იყო ის, რომ ამ პროცესში ჩაერთნენ ის მოზარდებიც, რომლებიც მანამდე დიდად არ იწუხებდნენ თავს სწავლით და შეიძლება ითქვას, ახლა უფრო გაიაზრეს და მოიხიბლნენ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებით.

III ნაბიჯი – საერთო ჯამში, საკმაოდ ბევრი სხვადასხვა სირთულისა და სტილის კითხვა მოიფიქრეს მოზარდებმა. როცა კითხვების ბანკი უკვე მზად გვქონდა და სამივე ნაწარმოებზე გავიარეთ შიდასაკლასო მომზადება, შევიმუშავეთ კონკრეტული წესები,რომელთა მიხედვითაც წარვმართავდით თამაშს. თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ მაქსიმალურად, რამდენადაც სასკოლო ფორმატი მოგვცემდა საშუალებას, ვეცდებოდით, მიგვემსგავსებინა ორიგინალი თამაშისთვის, რათა ის მუხტი და ატმოსფერო გადმოგვეტანა რეალურ სივრცეში. ფორმატი ასეთი იყო: ჯერ ერთი კლასი ჩაუტარებდა თავისი კითხვებით მეორე კლასს თამაშს, ხოლო შემდეგ როლები შეიცვლებოდა.

თამაშის წესები გადმოვიტანეთ ორიგინალი თამაშიდან, მაგრამ შემოკლების, საჩვენოდ მორგებისა და ინტერპრეტაციის მერე ასეთი სახე მიიღო:

- თამაშში მონაწილეობს 2 გუნდი: ჯერ ერთი თამაშობს, მერე – მეორე. თამაშს უძღვება მოწინააღმდეგე გუნდი.
- კითხვები შეადგინეს თავად მონაწილეებმა, ამიტომაც მოწინააღმდეგე გუნდს კითხვებითაც უპირისპირდებიან: თუ მოაზროვნეები სწორად უპასუხებენ დასმულ კითხვას, ისინი ეუფლებიან ქულას;
- თუ მოაზროვნეთა პასუხი მცდარია, ქულა ერიცხება მოწინააღმდეგე გუნდს.
- პასუხის სისწორეს განსაზღვრავს თამაშის წამყვანი. საკამათო ან არასაკმარისი კონკრეტიკის შემცველი პასუხის დროს, წამყვანს შეუძლია კონსულტაციისთვის მიმართოს სტუდიაში დამსწრე ნებისმიერ პირს (როგორც წესი, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუმრებს). ქულის ჩათვლა / არ ჩათვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თამაშის ორგანიზატორი მასწავლებელი.
- თითო თამაში შედგება 12 კითხვისაგან, ამათგან ერთ-ერთი არის „შავი ყუთის“ შეკითხვა და ერთიც „ბლიცი“, რომელშიც თამაშდება 3 კითხვა, წამყვანი უსვამს მოაზროვნეთა გუნდს კითხვებს, მათ თითოეულ კითხვაზე პასუხის მოსაფიქრებლად ეძლევათ 20 წამი (ჩვეულებრივი კითხვებისთვის 1 წუთი ეძლევათ). ბლიცის სექტორში გასამარჯვებლად გუნდმა სწორი პასუხი უნდა გასცეს სამივე კითხვას; თამაში გრძელდება კითხვების ამოწურვამდე.
- მოაზროვნეებს უფლება აქვთ უპასუხონ დასმულ კითხვას მოსაფიქრებელი წუთის გამოუყენებლად (ე.წ. „ვადამდელი პასუხის“ წესი). პასუხის სისწორის შემთხვევაში მოაზროვნეები იღებენ მოსაფიქრებლად „დამატებით წუთს“, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ამავე თამაშის მომდევნო რაუნდებში.
- თამაშის მსვლელობისას მოაზროვნეებს ერთხელ შეუძლიათ ისარგებლონ „დარბაზის დახმარებით“. ძირითადი განხილვის წუთის ან 20 წამის (ბლიცის შემთხვევაში) გასვლის შემდეგ გუნდის კაპიტანს შეუძლია აიღოს „დარბაზის დახმარება“; „დარბაზის დახმარების“ აღება არ შეიძლება, როცა მოაზროვნეების გუნდი იგებს ან როცა ანგარიში საყაიმოა, აგრეთვე რაუნდში „ბლიცი“;
- დარბაზში დამსწრეებს ეძლევათ 20 წამი მოთამაშე გუნდის დასახმარებლად. კლუბის წევრები მოაზროვნეების გუნდს სთავაზობენ საკუთარ ვერსიებსა და აზრებს. ამის შემდგომ გუნდმა უნდა გასცეს პასუხი. „დარბაზის დახმარებაში“ მონაწილეობა შეუძლია დარბაზში მყოფ ყველა პიროვნებას.
- ორივე გუნდის თამაშის დასრულების შემდეგ ხმათა უმრავლესობით გამოვლინდება დღის მოაზროვნე.

**დარბაზში მაყურებლის სტატუსით მყოფი ნებისმიერი პიროვნება კარნახის მცდელობისთვის გაძევებული იქნება დარბაზიდან, ხოლო მოაზროვნე – მოიხსნება თამაშიდან.**

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის, რომ ჩვეულებრივი თამაშისაგან განსხვავებით, მონაწილეები კითხვას ეკრანზეც ხედავდნენ, რაც მათ აღქმასა და უკეთ ფიქრში ეხმარებოდა.

***IV ნაბიჯი*** – ისევ ერთობლივი მუშაობით შევარჩიეთ კითხვების ბანკიდან, ჩვენი აზრით, თამაშისთვის საჭირო საუკეთესო 12 კითხვა და მოზარდებმა გადაიტანეს სლაიდებზე. როგორც უკვე აღვნიშნე, ვცდილობდით, მაქსიმალურად შემოგვეტანა თამაშის ატმოსფერო, ამიტომ დასაწყისსა და ფინალს მუსიკით ვაფორმებდით. ამ მუსიკას ადვილად იპოვით იუთუბე-ში. თამაში რამდენიმე მუსიკალური კომპოზიციითაა გაფორმებული, მაგრამ ჩვენ ეს ავარჩიეთ: https://www.youtube.com/watch?v=Q_0TOx20eSc&list=PL0nE0bBtKU1Ezn9JSV8MdTf-NEwlLNwcmg

ასევე კითხვების დასმის შემდეგ ვრთავდით ელექტრონულ წამმზომსაც, რომელიც სხვადასხვა ფორმატისა და გახმოვანებისაა, ჩვენ ეს გამოვიყენეთ: https://www.youtube.com/watch?v=r9jQBN4Dfug

სიმბოლური ბუს ფიგურები და დეკორატიული აქსესუარები ბუს გამოსახულებით მრავლად მოიპოვება, რომ გამოვლენილ საუკეთესო მოაზროვნეს გადასცეთ.

***V ნაბიჯი*** იყო უშუალოდ თამაშის პროცესი, რომლის სწორად, ზედმეტი ხმაურის გარეშე და საინტერესოდ წარმართვა ბევრ წვრილმანზეა დამოკიდებული.

მაგალითად, მნიშვნელოვანია, თამაშის პროცესის ორგანიზებაში რამდენიმე მოსწავლე იყოს ჩართული, რომელთაც ექნებათ ფუნქციები გადანაწილებული (წამყვანი, ვინც ეკრანს, მუსიკას, დროსა და და სლაიდებს გააკონტროლებს, ვინც „შავ ყუთს" შემოიტანს და ა.შ.), რათა შექმნილმა ქაოსმა ყურადღება არ გაუფანტოს მონაწილეებს. წამყვანი უნდა კითხულობდეს მკაფიოდ და სწორი ინტონაციებით, სჭირდება ცოტა არტისტიზმიც, რომ თამაშში თავის დროზე შექმნას დაძაბულობა, ან პირიქით, განმუხტვა შეძლოს. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე გუნდის წევრია, არ უნდა იყოს მიკერძოებული, რათა მოთამაშეებს უსამართლობის განცდა არ გაუჩნდეთ.

ასევე კარგი იქნება, თუ მაყურებელთა რიცხვი დიდი არ იქნება, რადგან დარბაზის მაქსიმალური ყურადღება, წესების დაცვა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მოთამაშეებისთვის.

წერილის ბოლოს გთავაზობთ კითხვებს, რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ თქვენს მოსწავლეებთან. მხოლოდ სანიმუშოდ, რადგან კითხვებზე მუშაობა, ტექსტში კირკიტი და პირობის ჩამოყალიბებაზე ფიქრი უფრო მეტს აძლევს მოზარდებს, ვიდრე გამზადებულ კითხვებზე დაფიქრება და პასუხის პოვნა.

1. **„ალუდა ქეთელაურის"** ერთ-ერთ ეპიზოდში, ალუდამ x „გასინჯა". დაასახელეთ x, თუ კი გეტყვით, რომ მოაზროვნე ცზი ლაის აზრით, „ცხოვრება x-ია, ხოლო სიკვდილი – გამოღვიძება".

   **პასუხი:** სიზმარი

2. პოემა **„სტუმარ-მასპინძელში"** მთავარი სტუმრის, ზვიადაურის, გამოჩენამდე ერთი „ცოტა ხნის" სტუმარი ჩნდება, მას „სძინავს დაფიქრებულის სახითა", ის „ყურს უგდებს არე-მარესა" და „გულ-ლაღობს სანახავითა". პოემა **„ბახტრიონში"** კი ვაჟა ამბობს, რომ ის „ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი". რის შესახებ ამბობს ამას მწერალი?

   **პასუხი:** ნისლი

3. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში „სტუმარ-მასპინძელი", როდესაც ორი მთავარი პერსონაჟი ერთმანეთს ელაპარაკება, არის ასეთი ციტატა: *„აი, ეს ჩემი ოჯახი, ჩემი X და სახლია".*

   რა სიტყვა არის შეცვლილი X-ით, თუ გეტყვით, რომ ის ერთდროულად აღნიშნავს ყველაზე **არასასურველ** ადგილსაც და ყველაზე საიმედოსაც. იმასაც დავამატებთ, რომ ამ ბოლო მნიშვნელობით გვხვდება ანდაზაში, რომელიც გვასწავლის, რომ ახლობელი ადამიანი სახიფათოც შეიძლება აღმოჩნდეს.

   **პასუხი:** ციხე

4. ვაჟა-ფშაველა თავისი გმირების გრძნობებზე საუბრისას ხშირად იყენებს მეტაფორებს.

   „მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს X-ისა";

   „გაჯავრდა ქეთელაური, ფერი დაიდვა X-ისა".

   ამ ორი ფრაზის დასასრულებლად, დაასახელეთ არსება, რომელიც ფიგურირებს გოდერძი ჩოხელისა და ჰერმან ჰესეს ნაწარმოებების სათაურებში.

   **პასუხი:** მგელი

5. როდესაც ვაჟა ჩამოვიდა თბილისში, მისმა მეგობრებმა გაუმართეს ქეიფი და მწერალმა სანდრო შანშიაშვილმა დახატა კარიკატურა, რომელზეც ასახულია დიდი ვაჟა (ზომაში დიდი).

ამ კარიკატურას აქვს წარწერა – **„ძლივს შეამჩნიეს ეს X ადამიანი“.**

ყურადღება, შეკითხვა: დაასახელეთ X ერთი სიტყვით.

**პასუხი:** პატარა




6. **მას** წარმართი ადამიანები აღმერთებდნენ, ქრისტიანებმა ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ აიღეს და ეს სიმბოლო ბიბლიაში შეიტანეს; ესპანელებმა ის თავიანთი ტრადიციის განუყოფელ ნაწილად აქციეს; ქართველი გლეხი კი ორნაირად იყენებდა მას: I – როგორც მთავარ დამხმარეს სოფლის მეურნეობაში და II – ისე, როგორც ალუდამ გამოიყენა.

   დაასახელეთ ის, თუ გეტყვით, რომ მისი ამ სახით გამოყენება ალუდასთვის დამღუპველი აღმოჩნდა.

   **პასუხი:** კურატი, ხარი

7. მინდია ამბობს:

   *„გ ზა-კვალი არ ამერევა,*

   *ყოველმხრივ ვიცი სავალი.*

   *დღესავ მოგივათ მინდია,*

   *სანამ დაბრძანდეს მრავალი “.*

8. დაასახელეთ, რა არის ყველაზე გავრცელებული სახელი იმისა, რასაც მინდია „მრავალს“ უწოდებს, თუკი გეტყვით, რომ ძველი ბერძნები მას **ეტლს** უწოდებდნენ, ჩინელები – **ჩრდილოეთის კოვზს,** სანსკრიტიდან კი მისი სახელი ითარგმნება, როგორც **„შვიდი ბრძენი“.**

   **პასუხი:** მრავალი – დიდი დათვის თანავარსკვლავედი

9. *„ჩამოდგა საღამოს ჟამი,*

   *მთიდამ მზის სხივი ჩამოხდა,*

*სიბნელე მოიპარება,*

*სინათლეს ... .* "‥ – ციტატის დასასრულებლად დაასახელეთ ორი სიტყვისგან შემდგარი ფრაზეოლოგიზმი. საქმე გაგიადვილდებათ, თუკი ელდარ შენგელაიას ლეგენდარული ფილმის, „შერეკილების“, ცნობილ დიალოგს გაიხსენებთ, სადაც მთავარი გმირი ამავე მნიშვნელობის მქონე სხვა ფრაზეოლოგიზმებს ჩამოთვლის:

„– აუუ, ჩაბარდა პატრონს...

– რომელ პატრონს?

– გევიდა გაღმა...

– სად გაღმა?

– მარილზე!“

10. *„ოცი წელია მწყემსად ვარ*

*თუშეთს, უცხოსა მხარესა,*

*და ფშავის ხევის სტუმარსა*

*მარტო ვხედავდი მთვარესა.*

*საბაროდ გადმამავალთა*

*ამბავს ვკითხავდი წეროთა, –*

*რა წერილობას გაგვიწევს,*

*............ზე ამბავი ვწეროთა?“*

ალადგინეთ გამოტოვებული სიტყვა, თუ გეტყვით, რომ საერთო ჯამში, ეს სტრიქონები ფუჭ, ამაო მოქმედებას გამოხატავს. დავამატებ იმას, რომ ის ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება და ხშირად პოეზიაში ერთდროულად არის სისპეტაკისა და მარტოსულობის, მიუსაფრობის სიმბოლო.

**პასუხი:** თოვლზე

11. მოისმინეთ ნაწყვეტი „სტუმარ-მასპინძლიდან“:

„წავიდა გახარებული,

შეატყობინა ყველასა.

X-ის საჯდომი თუ იცის,

მეტი რა უნდა Y-სა?“

დაასახელეთ X-ც და Y-ც, თუკი გეტყვით, რომ ერთი საფრანგეთის ეროვნული ცხოველია, მეორე კი – ალჟირის.

**პასუხი:** X – მამალი, Y– მელა

12. დაასახელეთ ის, რაც ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ პოემაში გვხვდება, თუკი გეტყვით, რომ ბავშვობაში ის ყველასთვის კარგად ნაცნობია და ალბათ, წარმოდგენილიც გვყავს საშიშად, საზიზღრად. თუმცა, მიუხედავად ამისა, პოემის კითხვისას მისი გამოჩენა გვიკვირს. ის „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება – მთავარი გმირი გაიმარჯვებს მათზე და მიიღებს სასურველს.

**პასუხი:** დევი

13. „დღემ დაიხურა X

მთებმა დახუჭეს თვალები

 აღარ შფოთობენ საფლავში

გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები“

თქვენი მიზანია, დაასახელოთ X, თუკი გეტყვით, რომ ის, გარდა ამ მონაკვეთში მოცემული მნიშვნელობისა, დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება, სხვადასხვა ქსოვილისგანაა დამზადებული და ხელს გვიწყობს, თავიდან ავირიდოთ ის, რამაც ჩვენი ცხოვრება სრულიად შეცვალა.

**პასუხი:** პირბადე

14. როგორც ვიცით, მოგება და წაგება ძმები არიან.

    ახლა თქვენ უნდა გამოიცნოთ ზუსტად ასეთი წყვილი, რომელიც ვაჟა-ფშაველასთან გვხვდება და პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ქმედებას.

    მკითხველებმა კი ვიცით, რომ თუ ერთი უფრო მეტად ზემოქმედებს მეორეზე, ცუდი შედეგები მოჰყვება საბოლოოდ.

    იმასაც აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებულია არა ორი, არამედ სამი ეს ასპექტი.

    დაასახელეთ ეს წყვილი, თუკი გეტყვით, რომ ერთ-ერთი მათგანი ადამიანის ორგანოცაა.

    **პასუხი:** გული და გონება

15. ახლა თქვენ უნდა დაასახელოთ ის, რაც ვაჟა-ფშაველას ორ პოემაში გვხვდება და გამოიყენება თემისათვის მნიშვნელოვან, სპეციალურ დროს. ერთ პოემაში ჩვენ დასაწყისში ვეცნობით პერსონაჟს, რომელიც მარტო აკეთებს ამას, ხოლო მეორეში თითქმის დასასრულისკენ აკეთებს მთავარი პერსონაჟი ამას, რის გამოც ყველას უკმაყოფილებას გამოიწვევს. ის, რაც თქვენ უნდა დაასახელოთ, გვხვდება „დავითიანშიც“, თუმცა ამ ქმედების მთავარი საგანი არა აქვს, რის გამოც ძალიან წუხს და მის მაგივრად სხვა რამეს მოიმოქმედებს.

    **პასუხი:** მსხვერპლთშეწირვა

16. *„მაღლა დაგიცდა, ბეჩავო*

    *კენჩხას არა სჭირს ძვლისასა“*

    ვაჟა თავის ლექსებს ხშირად თან ურთავს თავის განმარტებებს. სიტყვა **კენჩხა** დიალექტიზმია და ლიტერატურაში თავისი შესატყვისი ახლავს. თქვენი მიზანია, დაწეროთ მისი მნიშვნელობა, თუკი გეტყვით, რომ ის 29 ძვლისგან შედგება. გარდა ამისა, ყველაზე ძველი X, რომელიც შემორჩენილია, უარყოფს ერთ-ერთ რელიგიურ თეორიას. დაასახელეთ, რაზეა საუბარი.

    **პასუხი:** თავის ქალა

17. ერთ-ერთი პოემის დასაწყისში ვაჟა-ფშაველა ახალი პერსონაჟის შემოყვანისას იყენებს საინტერესო **სიტყვას.** ეს პერსონაჟი დაღლილი და შორი გზიდან მოსულია, ხოლო ეს გამოსაცნობი სიტყვა თითქოს მიანიშნებს მის კავშირს სამშობლოსთან.

    იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით (მხოლოდ პირველი ასოა განსხვავებული) რამდენჯერმე გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“. ძირითადად, ავთანდილი უწოდებს საკუთარ თავს, რათა ამით გამოხატოს, რა გზა გამოიარა.

    მოგვიანებით სიტყვამ შინაარსი იცვალა და დღესდღეობით დამკვიდრებული მნიშვნელობით ეს ზედსართავი სახელი ახასიათებს სულხან-საბას იგავის ერთ-ერთ პერსონაჟს, რომელიც ფიქრებში გადაერთო და ოცნებამ „დაღუპა“.

    გამოიცანით სიტყვა.

    **პასუხი:** ღარიბი, ყარიბი

18. ვაჟა-ფშაველა თავის ერთ-ერთ პოემაში ახსენებს იმას, რაც ახლა შავ ყუთში დევს. ორ პერსონაჟს შორის იმართება დაძაბული დიალოგი და ერთ კითხვაზე პასუხისას გმირი იყენებს სწორედ ამ სიტყვას. ესაა

ნივთი, რომელიც სხვადასხვა ქსოვილისგან მზადდება. ნიკო ფიროსმანის ერთ ძალიან ცნობილ ნახატში ის მრგვალი და ყვითელია. ფილმ „შერეკილებში“ კი თეთრია და მელოდიის ფონზე ჩანს, თუ როგორ აფრიალებს ქარი. ყურადღებით, კითხვა – რა დევს შავ ყუთში?

**პასუხი:** ქუდი

19. თქვენ წინაშეა ნიკო ფიროსმანის ნახატი, რომელზეც გამოსახულია ის, რაც ვაჟა-ფშაველასაც აქვს გამოყენებული თავის ერთ-ერთ პოემაში. დაასახელეთ, რომელი საგანი იგულისხმება, თუკი გეტყვით, რომ ნაწარმოებში ის ღირსებას უსვამს ხაზს.



**პასუხი:** ლეჩაქი, ჩიქილა

20. მაშინ, როდესაც ალუდა თემს უამბობს, თუ რა გადახდა თავს ქისტებთან ორთაბრძოლისას, ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდებზე ამბობს:

„ხევსურთა *ახალ-უხლები*

გადაიქციან „X-ადა“,

ავად შაჰხედნეს ალუდას,

შაუძრახნიან *ხმელადა:*“

სიტყვა კი, რომელიც X-ით შევცვალეთ, **მრავალწლოვანი** ხეხილოვანი მცენარეა. პირდაპირ მირთმევის გარდა, მისგან აკეთებენ თხევად მასასაც სხვადასხვა მწვანილთან ერთად და ჰქვია ის, რაც მცენარეს. თქვენი მიზანია, დაასახელოთ სიტყვა, რომელიც შევცვალეთ იქსით.

**პასუხი:** ტყემალი

21. „ზოგჯერ ავდარი დადგება,

ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.

რა უყვათ, ბევრი უნახავ

...-აშლილი მკვდარია!

ბევრჯელ წასულა საჭალოდ

დახოცილთ სისხლის ღვარია;“

სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია მოცემულ მონაკვეთში, ერთგვარი პატიოსნების სიმბოლოა. აკა მორჩილაძესთან კი ის ერთი მხიარული ისტორიით გვამახსოვრდება, რომელიც აკაკი წერეთლის მამას გადახდა თავს. დაასახელეთ, რაზეა საუბარი, თუკი გეტყვით, რომ ერთ-ერთი ესპანელი სიურრეალიზმის წარმომადგენელი მხატვარი თითქმის ყველასთვის სწორედ ამით იყო დასამახსოვრებელი.

**პასუხი:** ულვაში

22. ახლა თქვენ უნდა გამოიცნოთ ის, რაც საქართველოს ისტორიისთვის უცხო ნამდვილად არაა. ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება კი ამბობდა, ქართველებს რომ არ ჰყოლოდათ X, უძლეველები იქნებოდნენ. დაასახელეთ, რა სიტყვაზეა საუბარი, თუკი გეტყვით, რომ ვაჟა-ფშაველას სამივე პოემაში ამ სიტყვას თითქოს იარლიყად იყენებენ, სამართლიანად თუ უსამართლოდ რომ მიაკრან პერსონაჟებს.

**პასუხი:** მოღალატე

23. **ის** მაღალია და მყარი. ვაჟას მიხედვით, პირველი, რაც **მისი** დანახვისას თვალში მოგვხვდება, სხეულის ერთ-ერთი ნაწილია, რომელსაც მის პოემებში სხვა ღირებულებაც, დატვირთვაც ჰქონდა,სხეულის ეს ნაწილი შემდეგი საუკუნის მწერალთან დასჯის ერთ-ერთ მეთოდსა და დიდ ტაძარს ერთდროულად უკავშირდება. არ გთხოვთ, დაასახელოთ სხეულის ეს ნაწილი. 1 წუთის შემდეგ ზუსტად დაგვიწერეთ, თუ რა ერქვა იმას, რასაც მთაში თურმე ერთგვარი საკიდის ფუნქციაც ჰქონდა.

**პასუხი:** ქავი

*მაია მენაბდე*

# მეთოდური სტატიები

## როგორ დავწერო ანალიზი – გზამკვლევი, ნიმუშები

პროზაული ან პოეტური ტექსტის მხატვრული ანალიზი საშუალო საფეხურის ლიტერატურის კურსის კური-კულუმის სავალდებულო შემადგენელია.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსწავლეებს ხშირად უჭირთ იმის გაგება, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყო-ფილებდეს კარგად შესრულებული მხატვრული ანალიზი.

დეტალურად მიმოვიხილავთ ანალიზის რაობას. წარმოგიდგენთ ნიმუშებს.

### რას ნიშნავს მხატვრული ანალიზი?

მხატვრული ანალიზი არის მხატვრული ტექსტის კვლევა-შესწავლის მეთოდი, რომლის დროსაც ნაწარმოე-ბი განიხილება ცალკეულ ნაწილებზე, დეტალებზე, თვისებებზე დაკვირვების გზით. დაკვირვების შედეგად შემსწავლელის ცნობიერებაში ყალიბდება გარკვეული მოსაზრებები, წარმოდგენები, დასკვნები, განსჯა. ანალიზი მოიცავს ამ მოსაზრებების მოწესრიგებას, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას, დასაბუთე-ბა-არგუმენტირებას.

### ანალიზის პროცესში:

ნაწარმოებზე დაკვირვება იწყება შემადგენელ ნაწილებად მისი დაყოფით. ანალიზის დროს ხდება: ნაწილებს შორის კავშირის ან მიმართების გამოყოფა; სტრიქონებში გაცხადებული თუ დაფარული აზრის აღმოჩენა-ახ-სნა; მიზეზშედეგობრივი კავშირების ძიება; არსებული წინარე ცოდნის (გარე ცოდნა, ექსტრატექსტუალური ცოდნა) გამოყენებით საინტერესო დასკვნების გამოტანა; გამოთქმული მოსაზრებების დასაბუთება-არგუ-მენტირება.

### ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: რაში მჭირდება, რას მმატებს ეს სამუშაო?

ანალიზის უნარის განვითარება მნიშვნელოვანია აზროვნების განვითარებისთვის. ეს გახლავთ გაგების, აღქ-მა-გააზრების, კვლევის, დაკვირვების, შეცნობისა და შემეცნების უნარების განმავითარებელი მეთოდი. ყვე-ლა ეს უნარი ადამიანს სჭირდება სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის ნებისმიერ გამოვლინებაში.

### ეტაპები დეტალურად:

ობიექტზე დაკვირვება – დააკვირდით ყურადღებით. ნაწარმოები/საანალიზო მონაკვეთი წაიკითხეთ სულ მცირე, სამჯერ. მოიმარჯვეთ წარმოსახვითი ლუპა. „გადაბარგდით“ იმ რეალობაში, რომელსაც ნიმუში გთავაზობთ. კითხვისას წარმოსახვით აჰყევით წაკითხულს, დახატეთ გონებაში ილუსტრაციები.

დაკვირვების შედეგების, მოსაზრებებისა და ფიქრების მოწესრიგება – პირველ ეტაპზე ეს იყოს სამუშაო ფურცელზე მოსაზრებების გადმოტანა ნებისმიერი მოხერხებული ფორმით: „რის თქმას ვაპირებ“, „რა აზრი მიჩნდება“, „რა მახსენდება“.

ყველაფერს უნდა ჰქონდეს სამხილი, დასტური, საბუთი. ანალიზი გამოძიებასავითაა. უბრალოდ ვერაფერს „დააბრალებ“ ტექსტს. მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ცისა ფერს“ ანალიზისას მოსწავლე ასკვნის, რომ ლექსი პოეტის სატრფოს, ეკატერინე ჭავჭავაძეს ეძღვნება. კითხვაზე: სადაა „სამხილი“? – არ-გუმენტად ლექსიდან სტრიქონის მოშველიება შეუძლებელია, რადგან ლექსში სატრფიალო, სასიყვარულო მოტივი საერთოდ არ არის წამყვანი.

ანალიზი არ არის მხოლოდ აღწერა. „რა გავიგე“ – ამის წარმოჩენა აღწერის (გაგების) დონეა. ანალიზისთვის ეს საკმარისი არ არის. მაგალითად:

*ლექსის „ცისა ფერს“ ლირიკულ გმირს ეს ფერი ურჩევნია ყველა სხვა ფერს. მისთვის ეს ფერი ბავშვო-ბიდანვე გამორჩეულია. მაშინაც კი, როდესაც თავს ცუდად გრძნობს, როდესაც დაცლილია ემოციებისგან, გრძნობებისგან, უსიცოცხლო და უენერგიოა („როს სისხლი მაქვს გაციებული“), ამ ფერისადმი ინარჩუნებს ძლიერ განცდას. ლექსში გვესმის წინასწარმეტყველური ფრაზაც – ბარათაშვილი მართლაც უცხოობაში მოკვდება.*

ამ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები მართებულია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და ანალიზად ვერ ჩაითვლება.

შეადარეთ:

*„ლირიკული გმირისთვის ცხოვრება ვნებებს მოკლებულია, სისხლის მჩქეფარება მინავლებულია, ეიფორიას შინაგანი სიცარიელე ჩაენაცვლა. ცხოვრების ამ ეტაპზე ის უსიცოცხლო, შინაგანად მკვდარი, უემოციო, უგრძნობია, მაგრამ მაინც არ ღალატობს საყვარელ ფერს. ცის ფერითაა მოცული, შეპყრობილი. „ახლაც, როს სისხლი მაქვს გაციებული, ვფიცავ, მე არ ვეტრფო არ ოდეს ფერსა სხვას“, – ამბობს პოეტი და მკითხველი ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ეს კავშირი ცისფერთან. და მაინც, რას ნიშნავს ცისფერი? რისი გამოხატულებაა? იქნებ მარტოსული, სევდიანი, უსიცოცხლო ყოფის სიმბოლოა? მაგრამ თუ გავიხსენებთ რომანტიზმისთვის სახასიათო ლტოლვას უსაზღვროებისკენ, დაუოკებელ სურვილს ბედის საზღვრის გადალახვისა, თუ გავიხსენებთ ბარათაშვილის სხვა ლექსებში გამოხატულ გრძნობებს მიღმიერ სამყაროსთან შეერთებისა, გასაგები გახდება, რომ ცის ფერში ის ერთგვარ თავშესაფარს, ნავსაყუდელს, სიმშვიდესა და ნეტარებას გულისხმობს და ილტვის, „ეშხით დამდნარი“ შეერთოს ამ იდილიურ, იდეალურ სამყაროს“.*

ანალიზის დროს აუცილებელია საინტერესო დაკვირვებების დაჯგუფება, აბზაცებისა და სტრუქტურის გათვალისწინება.

გააზრების დონის წარმოსაჩენად საჭიროა ექსტრატექსტუალური (გარე, წინარე) ცოდნის გააქტიურება და ადეკვატურად გამოყენება. კავშირი უნდა იყოს მკაფიო, ლოგიკური.

*„ცა რომანტიკოსებისთვის იყო უსასრულობის სიმბოლო. მიღმიერ სამყაროში გასვლა, უსაზღვროებისკენ ლტოლვა მათთვის სახასიათო მოტივია. ბარათაშვილის ლექსში „ცისა ფერს“ ამის გამოხატულებაა სტრიქონები „ფიქრი მე სანატრი მიმიწევს ცისა ქედს, რომ ეშხით დამდნარი შევერთო ლურჯსა ფერს“. ეს დაუოკებელი სწრაფვა, საზღვრებისა და ჩარჩოების არაღიარება, ცხოვრების საზრისის ძიება დაუმორჩილებელ მარადიულ რბოლაში „მერანშიც“ გვხვდება და „შემოღამებაშიც“. აქვე მახსენდება ფრიდრიხის ნახატი „მოგ ზაური“ . კაცი გაჰყურებს სივრცეს, რომელსაც არ აქვს ჰორიზონტი, იცქირება უსასრულობისკენ, მის სახესა და ემოციებს მნახველი ვერ ხედავს, მაგრამ ნახატის კომპოზიცია, ფერები, ზოგადი განწყობა ისეთია, როგორიც ჩვენი ლექსის მთავარი სათქმელი – „ეშხით დამდნარი შევერთო ლურჯსა ფერს“ – „ისმის“ ნახატიდან“.*

**თანდართული ნიმუშები**

(გამოყენებულია ამონარიდები მეთერთმეტეკლასელთა ნაშრომებიდან)

**ნიმუში 1 – აღწერა (არ არის საკმარისი):**

*„მერანის“ ლირიკული გმირი გაურბის შავ ყორანს, ის უგ ზო-უკვლოდ მიექანება და არანაირ დაბრკოლებას არ უშინდება. მერანს აგულიანებს, შეუჩერებლად რბოლას სთხოვს, არანაირი გამოწვევის წინაშე არ ანელებს ამ გიჟურ რბოლას. მიქრის იქითკენ, სადაც ბედის სამძღვარი ეგულება. უნდა, რომ გადალახოს. მისი მიზანია, გაიაროს უვალი გ ზა და დაეხმაროს მოძმეს.*

**ნიმუში 2 – ანალიზის ელემენტები:**

*„მერანის“ ლირიკული გმირი განწირული სულისკვეთებით მიაჭენებს მერანს იქითკენ, საითაც მისთვის ღირებული ეგულება. მიაჭენებს ბედისწერისგან გასარიდებლად, თავდასაღწევად, მიაჭენებს ბნელი ფიქრებისგან. ცდილობს, არ შეეგუოს ბედს და არ დანებდეს. უნდა, თავისი კვალი დატოვოს ცხოვრებაში. აქვს იმედი, რომ მის მიერ გაკვალული იქამდე უვლელი გ ზა „მოძმესა თვისსა“ დაეხმარება ოდესმე. კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის ამგვარი გამოვლინება სწორედ ისაა, რაც ამ სამყაროს უკეთესს ხდის. ადამიანები ზოგჯერ ფიქრობენ, რომ მხოლოდ დიად და მსოფლიო მასშტაბის საქმეებს აქვს აზრი, საზრისი. მაგრამ ავიწყდებათ, რომ სამყაროს ცვლილება საკუთარი თავით იწყება. მცირედის კეთებითაცაა შესაძლებელი საკაცობრიო სასიკეთო ცვლილებები. „თუ გინდა, შეცვალო სამყარო, დაიწყე საკუთარი თავით“, – მაჰათმა განდის ეს სიტყვები თითქოს „მერანის“ მხედარზეა დაწერილი.*

**კითხვები გასააზრებლად:**

ანალიზის რომელი ელემენტები აკლია პირველ ნიმუშს?

სტატიაში მიმოხილული ანალიზის ელემენტებიდან რომელი გხვდება მეორე ნიმუშში?

**შესრულებულ ნაშრომში დასახელებული/მიმოხილული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:**

- ავტორი, სათაური (დაწერის თარიღი, თუკი ცნობილია/გვახსოვს);
- შექმნის ისტორია (ვის მიეძღვნა ტექსტი, არის თუ არა რაიმე საინტერესო ფაქტი ცნობილი დაწერის მიზეზსა თუ მიზანზე);
- მიეკუთვნება თუ არა ავტორი რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებას, მიმდინარეობას და ჩანს თუ არა ტექსტში/ამონარიდში ამ ლიტერატურული დაჯგუფებისთვის/მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები;
- თემა, იდეა, ძირითადი აზრი – მოკლედ, რაზეა ტექსტი. შესაძლებელია მოკლე პერიფრაზი ან საკვანძო ადგილების ციტირება.
- მხატვრული საშუალებები – ტროპი (ეპითეტები, შედარებები, გაპიროვნება, მეტაფორა, ჰიპერბოლა);
- მხატვრული ხერხები (ალიტერაცია, ალეგორია, ალუზია)
- პროტაგონისტი, მთავარი გმირი, მოქმედი გმირი, პერსონაჟი, ლირიკული გმირი (ავტორი თავადაა თუ ვისიმე პირით გადმოსცემს სათქმელს) – რომელ პირშია თხრობა? გმირის რა სულიერ-ემოციური მდგომარეობაა გადმოცემული?
- ტექსტის ფორმა, სტრუქტურა, გარეგნული საბურველი (თუ ლექსია – რითმა, რიტმი) – დაყოფილია თუ არა ტექსტი თავებად, არის თუ არა ქვესათაურები და ა.შ.

**მზა ენობრივი ფორმულები:**

ხშირად მოსწავლეებს უჭირთ აბზაციდან აბზაცზე გადასვლა, თანმიმდევრობის შენარჩუნება ან სულაც დაწყება. მსგავსი ენობრივი ფორმულების გაცნობა მათ ამ სირთულეების დაძლევაში დაეხმარება:

ტექსტში (ლექსში, პოეტურ ნაწარმოებში, ლირიკულ ნაწარმოებში) საუბარია... აღწერილია... ავტორი ეხება... აღწერს... საუბრობს... მოგვითხრობს... გვიყვება...

*ნინო ლომიძე*

# მთავარი სათქმელი, მწერლის საზრისი და მკითხველის აღქმა

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეებს წაკითხულის გააზრებას ვასწავლით. ამასთან, ვთხოვთ იმსჯელონ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებზე, მათი ქცევის მოტივებზე, ამოიცნონ მწერლის სათქმელი, გმირების სულიერ-ემოციური მდგომარეობა, იკვლიონ კავშირები ტექსტებს შორის

ტექსტისადმი მკითხველის დამოკიდებულება, ტექსტთან მისი ურთიერთობა უნიკალური გამოცდილებაა. ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა ემოციას, საფიქრალს აღძრავს. შესაძლებელია კი, საზოგადოდ, „მწერლის საზრისის“, ტექსტის „მთავარი სათქმელის“ ამოცნობა?

ჰერმან ჰესე „ტრამალის მგლის“ ბოლოთქმაში საინტერესოდ მსჯელობს მკითხველის აღქმის თავისუფლებასა და ავტორისეული ჩანაფიქრის მიმართებაზე:

*„ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებზე მკითხველს შეიძლება სწორი აზრიც შეექმნას და უმართებულოც, მწერალს კი უმეტესწილად არ ძალუძს, წინასწარ განსაჯოს, მისი ჩანაფიქრი როდის გახდება ხელმისაწვდომი მკითხველისთვის და როდის – არა. ისეც ხდება, რომ ნაწარმოებში მკითხველი თვით ავტორზე მეტ აზრობრივ შრეებს აღმოაჩენს, მაგრამ საგულისხმოა, რომ მწერლის საზრისის ასეთი არაერთმნიშვნელოვანი აღქმა ზოგ შემთხვევაში სასარგებლოც კი გამოდგება ხოლმე. „ტრამალის მგელს“ ჩემს შემოქმედებაში ყოველთვის იმ ნაწარმოებთა რიცხვს მივაკუთვნებდი, უფრო ხშირად არასწორად რომ ესმოდათ. ამ წიგნით აღფრთოვანებულ ზოგ მკითხველს ჩემი თვალსაზრისის საწინააღმდეგო აზრიც კი გამოუთქვამს. ეს ამბავი ნაწილობრივ – დიახ, მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ – იმით შეიძლება აიხსნას, რომ ორმოცდაათი წლის კაცის ხელით დაწერილ ამ წიგნს, რომელიც, სახელდობრ, ამ ასაკთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება, უფრო ხშირად სრულიად ახალგაზრდა მკითხველები ეტანებოდნენ ხოლმე. მაგრამ ჩემი ხნის მკითხველთა შორისაც მინახავს ისეთები, რომლებზედაც ამ წიგნს შთაბეჭდილება კი მოუხდენია, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მის არსს მხოლოდ მიახლოებით თუ ჩასწვდომიან. რატომღაც მგონია, ეს მკითხველები ტრამალის მგელში მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ თავს ხედავენ და მას საკუთარ „მესთან“ აიგივებენ, მის სატკივარს განიცდიან და აზრებსაც იზიარებენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ წიგნს ჰარი ჰალერის სიძნელეებთან ერთად სხვა საზრუნავიც გააჩნია და სათქმელი სხვაც ბევრი აქვს. ეს მკითხველები ვერ ხედავენ ტრამალის მგლისა და მისეული პრობლემებით აღსავსე ცხოვრების მიღმა აღმართულ ზეგარდმო, უჭკნობ სამყაროს, ვერ მიმხვდარან, რომ „ტრაქტატზე“, სულზე თუ ხელოვნებასა და „უკვდავთა დასზე“ მსჯელობისას ტრამალის მგლის დუხჭირ ცხოვრებას უპირისპირდება ზეპიროვნული და ზედროითი – ხალისიანი რწმენით გამსჭვალული ჭეშმარიტი სამყარო და თუმცა წიგნი სულიერ ტანჯვაზე მოგვითხრობს, იგი მაინც სასოწარკვეთილი კი არა, რწმენასთან წილნაყარი კაცის ნაღვაწია. რა თქმა უნდა, არ შემიძლია და არც მსურს, მკითხველს საკუთარი ჩანაფიქრი წინასწარ მოვახვიო თავს. დაე, თითოეულმა მათგანმა თავის წარმოსახვაში შექმნას მისთვის ხელსაპყრობი და გამორჩეული სამყარო. მაგრამ მაინც დიდად მეამებოდა, თუ მკითხველთა უმრავლესობა გაითვალისწინებდა ჩემს შეგონებას და ირწმუნებდა, რომ მართალია, ტრამალის მგელზე დაწერილი ეს წიგნი მის სულიერ სენსა და შინაგან ხელმოცარულობას აღწერს, მაგრამ ეს ის სატკივარია, რომელიც სიკვდილს კი არა, განკურნებას ელტვის“.*

საინტერესოა, არა?

მწერლები ყოველთვის არ გვთავაზობენ ხოლმე საკუთარი ხედვის, ჩანაფიქრის, საზრისის ამგვარ ახსნა-განმარტებას წიგნის ბოლოს. ამასთან, როგორი „ლმობიერი“ ავტორია ჰესე – დაე, თითოეულმა მკითხველმა თავის წარმოსახვაში შექმნას მისთვის ხელსაპყრობი და გამორჩეული სამყაროო

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია იმის განსაზღვრა, სად იწყება ის, რასაც ჰესე „არაერთმნიშვნელოვან აღქმას“ უწოდებს და სადაა „მწერლის საზრისი“.

წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც ხშირად აბნევს მოსწავლესაც და მასწავლებელსაც, ესაა:

- რამდენად თავისუფალია მკითხველი თავის ინტერპრეტაციაში?
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს, ისე გაიაზროს წაკითხული, როგორც მოესურვება?
- შეუძლია თუ არა, საკუთარი წარმოსახვის მეშვეობით გასცდეს მოცემულობას (მხატვრული ტექსტის რეალობას, მხატვრული ტექსტის მოცემულობას) და არაარგუმენტირებული, ე.წ. „არალეგიტიმური ინტერპრეტაცია“ შემოგვთავაზოს ანალიზისას?
- რას უნდა ეფუძნებოდეს მხატვრული ლიტერატურის გააზრებისას ჩვენი ინტერპრეტაცია? მკითხველის პირად დამოკიდებულებას, შეფასებას, ემოციასა და განწყობას თუ გარკვეულ წანამძღვრებს, ტექსტის მონაცემებს, ავტორისეულ მინიშნებებს?

**ნიმუში პირველი**

**პერსონაჟი: საფარ-ბეგი**

**სამსჯელო კითხვა: ინანიებს თუ არა გულწრფელად საფარი ჩადენილს? გაისიგრძეგანა თუ არა მან დანაშაული?**

„გამზრდელის" შესწავლისას მოსწავლე ასკვნის, რომ საფარ-ბეგი როგორი ავკაცი და ავხორციც იყო, ისეთივე დარჩა, იმ მცირე დროში შეუძლებელი იყო ტრანსფორმაცია, მას „არ სჯერა" მისი სულიერი გარდასახვისა და სინანულის. სინამდვილეში საფარს არ მოუნანიებია საქციელი, რადგან დილით „მშვენივრად გამოიძინა" და ბათუ თავად რომ არ მიმხვდარიყო, რაც მოხდა, არც აპირებდა შენანებას, არც აწუხებდა სინდისი.

ამ შემთხვევაში მოსწავლე პერსონაჟის უღირსი საქციელიდან გამომდინარე შექმნილი განწყობით ხელმძღვანელობს. მისთვის მიუღებელია ის, რაც საფარმა გააკეთა და არ არის დამაჯერებელი გმირის გარდასახვა, რომელშიც ავტორი გვარწმუნებს. არგუმენტი – დილით არც კი შეიმჩნია მომხდარი და ტკბილადაც გამოიძინა, სინდისსაც კი არ შეუწუხებია – აქ არარელევანტურია, რადგან წინარე მდგომარეობას აღწერს და არა იმ სულიერ მდგომარეობას, როცა „გარდასახვას" ვაკვირდებით.

შესაბამისად, თუ კითხვა ასეა დასმული: – ვხედავთ თუ არა საფარის გარდასახვას, მის სინანულს? – პასუხი უნდა გამომდინარეობდეს იმ მოცემულობიდან, იმ წანამძღვრებიდან, რაც ტექსტში გვაქვს.

ტექსტი კი აშკარად „ირწმუნება", რომ საფარმა შეინანა, გაისიგრძეგანა დანაშაული და რომ გმირი მომხდარს განიცდის.

1. მას შეეძლო გადაეხვია გზიდან და ბათუს ურთულესი დავალება არ შეესრულებინა;

2. მას შეეძლო მოეტყუებინა გამზრდელი, შეერბილებინა ან გადაესხვაფერებინა ამბავი, მაგრამ „ეუბნება ყოველიფერს", თანაც „ცრემლები სდის და ეჩრება ბურთად ყელში მწარე სიტყვა". ჩანს, როგორ განიცდის მომხდარს.

3. ის მზადაა, მიიღოს სასჯელი. პირველად მაშინ, როცა ბათუს ეუბნება: „მომკალ ტანჯულს რამ მიშველე, მაზღვევინე, რაც შეგცოდე, სინიდისი გამიმრთელეო" და მეორედ მაშინ, როცა გამზრდელის წინ მოიღელავს მკერდს.

შესაბამისად, მკითხველი გმირის მონანიების, სულიერი გარდასახვის თვითმხილველია. სხვა საქმეა, რა განწყობა-დამოკიდებულებას აღძრავს გმირი მკითხველში, მოსწონს თუ არა ის. აქ მკითხველი, რასაკვირველია, თავისუფალია. მას ვერავინ განაწყობს პერსონაჟისადმი ემპათიით/სიმპათიით ან პირიქით მაგრამ დასმულ სამსჯელო კითხვაზე პასუხი ვერ იქნება უარყოფითი, რადგან ტექსტის მოცემულობა საპირისპიროს აჩვენებს.

**საზოგადოდ, ლიტერატურული ტექსტის ანალიზი დედუქციურ აზროვნებას უნდა ეფუძნებოდეს. დედუქციური აზროვნება ლოგიკური აზროვნების ის მეთოდია, რომელსაც მოცემულ წანამძღვრებზე, წინაპირობებზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა და მხატვრულ ტექსტში გაბნეული ასეთი წანამძღვრები, წინაპირობები აუცილებლად გასათვალისწინებელია განსაზღვრული დასკვნების გამოტანისას.**

თუ ლიტერატურული ინტერპრეტაცია გასცდა ტექსტის „რეალობას", ტექსტის მოცემულობას, იმ „წანამძღვრებს", რომლებსაც მწერალი მინიშნებებივით გვიტოვებს ტექსტში, ის სუბიექტურ, დაუსაბუთებელ მოსაზრებად იქცევა ან ანალიზის ავტორს დიდი ოსტატობა დასჭირდება მსჯელობის წარსამართავად.

**ნიმუში მეორე**

**პერსონაჟი: ლუარსაბ თათქარიძე**

**სამსჯელო კითხვა: რა მიზნით დახატა მწერალმა ეს პერსონაჟი? რა იყო მისი გზავნილი?**

ტექსტის შესწავლის შემდეგ მოსწავლე ასკვნის: ლუარსაბი ბედნიერი, ცხოვრებით კმაყოფილი კაცია. მან უზრუნველი ცხოვრება განვლო და ადამიანის არსებობის მთავარი საზრისიც ასეთი უზრუნველი ცხოვრების ბედნიერად გატარებაა. რა უფლება გვაქვს, განვსაჯოთ მისი ცხოვრების წესი? ისე იცხოვრა, როგორც უნდოდა. საკუთარი ცხოვრებისეული ფილოსოფია ჰქონდა. ადამიანი, მისი თქმით, ქვევრია, რომელიც ხორაგით უნდა აავსო. საჭმელ-სასმელზე ზრუნვა, ბუზების თვლა, უქმობა და მოჩვენებითი საქმიანობაა ბედნიერი ცხოვრების გარანტია იყო მისთვის.

ამ „თავისუფალ ინტერპრეტაციაში“ უგულებელყოფილია ყველა ის წანამძღვარი, რასაც მწერალი უშურველად, პირდაპირ, დაუფარავად ან შეფარვითა და ირონიით გვაწვდის ტექსტში. ლუარსაბი ქონში ჩაძირული კაცია (გავიხსენოთ ავტორისეული გენიალური აღწერა, პროზაული პორტრეტის გასაოცარი ნიმუში). მთელი მისი ცხოვრება შემოიფარგლება მისი აყროლებული ეზო-კარით, ბუზების თვლით, საჭმელზე ფიქრით. ლუარსაბი „სკდება ჭამით“ (პირდაპირი მნიშვნელობით). მისი ცხოვრება ილუსტრაციაა იმისა, როგორ არ უნდა იცხოვროს ადამიანმა, „არაფრობაში“ განვლილი ცხოვრების აღწერაა. მისი არსებობა, ვაჟას სიტყვები რომ მოვიხმოთ, „ლეშის ლაღობაა“, „უქმად ცხოვრების ჩამოლევაა“ და არა ბედნიერება.

**„მე ასე მესმის“**

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტირებისას, ანალიზისას ხშირად გვხვდება ფრაზები: „მე ასე გავიგე“, „მე ასე წავიკითხე“, „მე ასე მესმის“, „მაქვს უფლება, ისე ვიფიქრო, როგორც მინდა“. რასაკვირველია, მკითხველს აქვს უფლება (და მას ამ უფლებას არავინ ართმევს), იგრძნოს, განიცადოს, იფიქროს ისე, როგორც მას მოესურვება, როგორც შეუძლია. მაგრამ როდესაც საუბარია მსჯელობასა და საანალიზო კითხვებისთვის პასუხების მოძიებაზე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ინტერპრეტაციის ვალიდურობა.

ისევ დედუქციას ვახსენებ – მეთოდს, რომელსაც შერლოკ ჰოლმსი წარმატებით იყენებდა გამოძიებისას. ისე, საინტერესო იქნება ლიტერატურული ტექსტის ანალიზის გამოძიებად წარმოდგენა; მკითხველი, რომელიც მსჯელობისა და ანალიზისთვის ემზადება, სწორედ „გამომძიებლად“ უნდა იქცეს და ყურადღებით მოიძიოს „სამხილები“, რომლებიც მართებული დასკვნების გამოტანის საშუალებას მისცემს.

*ნინო ლომიძე*

# ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲑᲝᲚᲝᲘᲐᲜᲘ ᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲑᲔᲗᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ – ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲒᲕ.18-19

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | ბ | ბ | ა | ა | ბ | ა | ა |

„ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲘ ᲒᲝᲩᲐ“, ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲒᲕ. 452-53

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბ | ა | ბ | გ | გ | გ | ა | ა | გ | ა |

# ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**დავალება 11. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი, გაასწორე შეცდომები და გადაწერე რვეულში. (გვ. 367 )**

**ტექსტში შეგხვდება სტილისტური ხარვეზები და ასევე, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები. გაასწორე ხარვეზები და შეცდომები, ნიმუშის მიხედვით, აღნიშნე რა ტიპის შეცდომაა დაშვებული.**

ანასტასია გედევანიშვილი იყო პირველი ქართველი ქალი, **რომელმაც** ქალთა უფლებების საკითხი საერთაშორისო **ასპარეზზე** გაიტანა. 1896 წელს მან პარიზში გამართულ ფემინისტ ქალთა საერთაშორისო კონგრესში მიიღო მონაწილეობა, როგორც ერთადერთმა ქართველმა ქალმა დელეგატმა.

**ვერაზე,** ყორღანოვის ქუჩაზე N20-ში, ანასტასია და მიხეილ გედევანიშვილების ორსართულიან ისტორიულ სახლში, ანასტასიას თაოსნობით გაიმართა „ქართველ ქალთა **თანასწორუფლებიანობის** კავშირის“ დამფუძნებელი კრება, **რომელსაც** სხვადასხვა ფენისა და სოციალური სტატუსის წარმომადგენელი **ას ორმოცდაათი** დელეგატი ქალი **დაესწრო.** კრებაზე ანასტასია გედევანიშვილი აირჩიეს **თავმჯდომარედ**.

1908 წელს ანასტასია გედევანიშვილმა **თავის** სახლში პირველი ქართული საბავშვო ბაღი გახსნა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობა ამის უფლებას არ რთავდა. ბაღი გაიხსნა და წლების განმავლობაში არალეგალურად ფუნქციონირებდა. ბაღს იაკობ გოგებაშვილი და აკაკი წერეთელი **მფარველობდნენ**. პატარებს გაჭირვებული ოჯახებიდან იაკობი სტიპენდიას უნიშნავდა.

ანასტასია გედევანიშვილი გახლდათ ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის უახლოესი **მეგობრის**, მიხეილ გედევანიშვილის (საქართველოში პირველი რენტგენოლოგი, ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი და ფიზიოთერაპევტი), მეუღლე. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ თავის სახლში (ნიკოლოზის ქ N 21), შენობის პირველ სართულზე, **უსასყიდლოდ** დაუთმო ორი ოთახი კლინიკისთვის თავისი საწოლი ოთახებით, ხოლო მეორე **სართულზე** – სამი ოთახი საცხოვრებლად. სამკურნალო უფასოდ ემსახურებოდა ღარიბ მოსახლეობას.

**დავალება 8. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი, გაასწორე შეცდომები და გადაწერე რვეულში. (გვ. 491)**

**ტექსტში შეგხვდება სტილისტური ხარვეზები და ასევე, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები. გაასწორე ხარვეზები და შეცდომები, ნიმუშის მიხედვით, აღნიშნე რა ტიპის შეცდომაა დაშვებული.**

ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი-ჭავჭავაძისა **დაიბადა** 1842 წლის 12 მარტს ქვემო ავჭალაში. ოლღას დედა – ელისაბედ გიორგის ასული (სამწუხაროდ, გვარი დღემდე უცნობია) – ნაადრევად გარდაიცვალა. თადეოზ გურამიშვილს მისგან ორი ასული დარჩა. დედით დაობლებული **დები** – ოლღა და ეკატერინე – თბილისში დიდგვაროვან ახლო ნათესავთან, კერძოდ, მამიდასთან, სიდონია გურამიშვილთან, გურამიშვილთან, მდიდარ გენერალ-მაიორ სავარსამიძის **უშვილოდ** დარჩენილ ქვრივთან, გადადიან. სწორედ მისგანვე ერგო ოლღას ქონება, რომელიც 1862 წლით დათარიღებული ანდერძით დასტურდება.

1854 წლის 1-ელ სექტემბერს ოლღა გურამიშვილი ჩაირიცხა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, თბილისში, სადაც **შეისწავლა**: საღვთო რჯული, მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, არითმეტიკა, რუსული, ფრანგული და მშობლიური ქართული ენა. გარდა ამისა, მისაბაძი **ყოფაქცევის** წყალობით 1856 წლის სექტემბერში წარმატებით გადავიდა მომდევნო კლასში, მაგრამ იმავე წლის 7 დეკემბერს მამის სურვილით სასწავლებლისთვის თავი **დაანებებინეს**.

წარჩინებულ ოჯახში აღზრდილი ოლღა გურამიშვილი თბილისის **მაშინდელი** მაღალი საზოგადოების წრეში ტრიალებდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს „ცისკრის“ გამოცემაში გაჩაღებულ „მამათა და შვილთა“ ბრძოლას. ეს ის პერიოდია, როდესაც პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული ილია ჭავჭავაძე სამშობლოში საკუთარ ადგილს იმკვიდრებს. ილიას და ოლღას დაახლოება ემთხვევა „საქართველოს მოამბის“ პუბლიკაციას, კერძოდ, 1863 წლის იანვარს, რაც, თავის მხრივ, მიუთითებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას. ოლღა გურამიშვილში ილიამ დაინახა მომავალი მეუღლისა და მძიმე **ჭაპნის** ერთგულად გამზიარებლის სახე და პირველივე წერილში, რომელიც 1863 წლის 8 თებერვლით თარიღდება, იმ დროისათვის ჯერ კიდევ გამოუცემელი „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსობას **სთავაზობს**. როგორც **ჩანს**, ოლღამ სატრფოსთან მიმოწერის შესახებ თავის დას, ეკატერინეს, გაუმხილა. აღელვებული ოლღა 1863 წლის 14 მარტს ილიას ატყობინებს: „*საშინლად ვნანობ, რომ ვუთხარი ჩემს დას, მომიტევე ჩემი დაუფიქრებელი დანაშაული. იმედი მაქვს, რომ ჩემი სიცოცხლე მომიტევებს და თუ ამაღამ მოვახერხე, შემოვთვლი და მოხვალ. შენ გენაცვალე, საშინლად ვნანობ, მაგრამ რაღა გაეწყობა*“. ილიამ და ოლღამ ჯვარი საიდუმლოდ **დაიწერეს**.

**ილია**, რა თქმა უნდა, დიდად აფასებდა და ანგარიშს უწევდა ოლღას ნიჭიერებასა და ლიტერატურულ გემოვნებას. მეუღლის მიმართ დიდი სიყვარული და პატივისცემა ილიამ იმითაც ცხადყო, რომ **სწორედ** მას უძღვნა არაერთი ლექსი და, რაც ყველაზე მთავარია, პოემა „განდეგილი“.

# მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები

საქმით მეტყველი სული – აკაკი ბაქრაძე
http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/statiebi/saqmiT-metyveli_suli.htm

არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა – აკაკი ბაქრაძე
http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/ararsebuli.htm

„ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი“ – მეორე წერილი მეთერთმეტეკლასელებს – დავით პაიჭაძე
https://bit.ly/3Khg0LO

ლევან ბებურიშვილი – თაობათა ურთიერთობის საკითხი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ ნააზრევში
https://bit.ly/3xyzcx5

ალექსანდრე ყაზბეგი – საიუბილეო კრებული
https://literaturatmcodneoba.tsu.ge/kazbegi-165.pdf

გიგი ხორნაული – „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“
https://el.ge/articles/419

ტრაგიკული ნიღბები – თამაზ ჩხენკელი
https://el.ge/articles/607

ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში – თამაზ ვასაძე
https://bit.ly/3xwMU3t

ლიტერტურული ძიებანი – 2018
https://bit.ly/3EjJPYx

მეორეხარისხოვანი პერსონაჟები
http://mastsavlebeli.ge/?p=16890

ბიოგრაფია – მოსამართლე ილია ჭავჭავაძე
https://bit.ly/3kaiXmO

განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის – მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი
https://bit.ly/3IAcURZ